წლიწადი მეექვსე

პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დაწესებულებათათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებანი: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

პარასკევი, 15 ოქტომბერი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 235 (1780)

დ ღ ი უ რ ი

— გადადგა სამხრეთ-სლავიის მთავრობა.
— მდ. იან-ცზი-ცზიანზე საფრანგეთის სამხედრო გემს ჩინელებმა ყუმბარები დაუშინეს.
— სამშაბათს გაიხსნება ინგლისის საიმპერიო კონფერენცია.
— ვარშავაში გაჩერდა კომუნისტების თანაგრძნობის — [illegible] მოკლულის შემთხვევები.
— კომუნალურ არჩევნებში შვეიცარიის სოც. პარტიამ გაიმარჯვა.
— საფრანგეთის განზრახვა აქვს შეამციროს საოკუპაციო ჯარები რეინის ოლქში.
— ინგლისის საელჩოს ტოკიოში დაწვას უპირებდენ.

დამსხვრეული ოპოზიცია

(თბილისის კომიტეტის პლენუმის გამო)

ანტი-ლენინურ ოპოზიციას შეგვიძლია მიულოცოთ... სასტიკი დამარცხება თბილისის ორგანიზაციაში მას შემდეგ, რაც არა ნაკლებ სამარცხვინოთ დამთავრდა მისი გამოსვლები ლენინგრადში და მოსკოვში.

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში კომუჯრედების მთელ რიგ კრებებზე, სადაც თბილისის კომიტეტი ატარებდა საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ც. საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ახსნა-შესწავლის კამპანიას, ძველი პარტ-ამხანაგების ერთმა ჯგუფმა, რომელიც წარმოადგენს ყველაზე უფრო გაუსწორებელ და ჩამორჩენილ ელემენტებს ყოფ. უკლონისტებიდან, სცადა გამოსულიყო ტროცკი-ზინოვიევის კარნახით დისკუსიის გასაჩაღებლად ჩვენშიც. პარტიის სახელოვანი ტრადიციის, მისი დისციპლინის ტლანქი დარღვევით, იმ დისციპლინის, რომელმაც შექმნა ერთიანობა და ძლიერება ჩვენი პარტიის, აქაურმა ოპოზიციამაც ისევე, როგორც საკავშირო სხვა ცენტრებში მოქმედ ოპოზიციონურმა ჯგუფებმა მალე გამოიწვიეს აღშფოთება პარტიის მასიურ წრეებში, რომლებმაც სამართლიანათ დაინახეს ცინცაძეების, ოკუჯავების, კიკნაძეების და სხვების გამოსვლებში საფრთხე პარტიის მთლიანობისა და პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცისათვის. კომუჯრედების ჯგუფური კრებები, მათი დეზორგანიზატორული გამოსვლებით აღშფოთებულნი, გარდაიქცნენ პარტიის მთლიანობის დასაცავ და გამთიშველთა სასტიკად დამგმობ სისტემატიურ დემონსტრაციებათ.

ჯგუფური კრებები თბილისის ორგანიზაციაში თითქმის დათავებულია. ამ დათავებულმა მუშაობამ პოვა თავისი საბოლოო გამოხატულება თბილისის პარტორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოს გაფართოებული პლენუმის გუშინდელ სხდომაში, რომლის ანგარიშს მკითხველი იპოვნის ქვემოთ დღეს ჩვენს გაზეთში. არაჩვეულებრივი ერთსულოვნება, რომლითაც აღიბეჭდა მთელ რიგ ძველ მუშა ამხანაგების გამოსვლა ოპოზიციის მიერ წარმოებული გამხრწნელი მუშაობის წინააღმდეგ, არის იმის მაჩვენებელი, თუ როგორ ფოლადისებურ ერთიან კედელს ლენინელებისას მიამსხვრია გარეტებული თავი ოპოზიციამ.

თბილისის ორგანიზაციამ, ჩვენი პარტიის ერთ-ერთმა ძლიერმა დასაყრდენმა ამიერ-კავკასიაში, სთქვა ამ უკანასკნელ დღეებში და დაადასტურა გუშინ თბილისის კომიტეტის პლენუმზე თავისი სიტყვა. საქართველოს კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციებიც, სადაც ჯერ კიდევ არ თქმულა ეს სიტყვა, ეჭვს გარეშეა, მიჰბაძავენ თბილისის პროლეტარულ ორგანიზაციებს და სამაგალითოდ დაისახავენ იმ ერთსულოვან გამანადგურებელ პასუხს, რომელიც გასცეს მათ ერთი მუჭა თავზე ხელაღებულ სკანდალისტების გამოსვლებზე.

ჩვენი პარტია იყო და არის მთლიანი, ის იყო და არის ძლიერი ამ მთლიანობით. ის კვლავაც დარჩება ძველებურად მთლიანი და ძლიერი, ამ ოპოზიციონერებთან ერთად—თუ ისინი გასწორდებიან და დაუბრუნდებიან პარტიას, ამ ოპოზიციონერების დასამარებით—თუ ისინი კვლავაც არ დაიშლიან და წავლენ გამთიშველი მუშაობის გზით.

◆

ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულების დადების შემდეგ

ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გამო, როგორც ვიცით, ერთი განგაში ასტეხეს ჩვენდამი მტრულად განწყობილ ბურჟუაზიულ ქვეყნების მესვეურებმა და პრესამ. ამ ხელშეკრულებამ არივ-დარია დიდი თუ პატარა იმპერიალისტების აგრესიული გეგმები საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, სერიოზული დაბრკოლება შექმნა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ანტისაბჭოთა მთლიანი ფრონტის შექმნისათვის, რასაც დიდი ხანია ცდილობენ ჩვენი მტრები, და საერთოდ წინ წასწია მშვიდობიანობის განმტკიცების საქმე აღმოსავლეთ ევროპაში.

ამას, რა თქმა უნდა, ადვილად ვერ შეურიგდებოდენ იმპერიალისტური სახელმწიფოები. მათ შორის ყველაზე მეტი გაწიწმატება პოლონეთის მმართველ წრეებმა გამოიჩინეს. თავის თავად ცხადია, რომ პოლონეთის თუ სხვა ქვეყნების იმპერიალისტები აშკარად ვერ იტყოდენ, თუ რატომ არ მოსწონთ მათ ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულება. მათ მიმართეს „ჩემი შენ გითხარის“ პოლიტიკას. პოლონეთმა ამ ხელშეკრულებაში დაინახა მუქარა თავის თავის წინააღმდეგ და საქმე ისე დახატა, თითქო საბჭოთა კავშირმა და ლიტვამ შეკრეს კავშირი პოლონეთზე თავდასასხმელად.

პილსუდსკისათვის საკითხის ასეთი გაშუქება საჭირო იყო, ჯერ ერთი სამხედრო მზადების გასამართლებლად გულუბრყვილო მასსების თვალში და, მეორე, შინაური ოპოზიციის გასაჩუმებლად; პილსუდსკი ეუბნებოდა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, რომლებმაც მას პირველი სერიოზული ომი გაუმართეს (სეიმის და მთავრობას შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი): აღმოსავლეთით საფრთხე მოგველის და ეხლა საჭიროა არა შინაური ბრძოლის წარმოება, არამედ ქვეყნის ყველა ძალების მთლიანი ფრონტის შეკვრა გარედან კარზე მომდგარ საშიშროების წინააღმდეგო.

მაგრამ პილსუდსკი ანგარიშში შესცდა. მისთვის არც ისე იოლი გამოდგა ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულების გამოყენება თავის შინაურ პოლიტიკის მიზნებისათვის. ნაციონალ-დემოკრატების ლიდერმა, გლებინსკიმ პროტესტი განაცხადა პილსუდსკის ასეთი ცდისა და საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების ხელოვნურად გამწვავების წინააღმდეგ.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. ვინც ბრმა არ არის ან განზრახ არ იბრმავებს თავს, რომ ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულება ოდნავადაც არ არის მიმართული პოლონეთის წინააღმდეგ. და საეჭვოა, რომ პილსუდსკიმ შესძლოს ამ აქტის გამოყენება პროვოკაციული მიზნებისათვის. პოლონეთის მილიტარისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა მთავრობის პოზიციას ვილნოს საკითხში და ამ პოზიციას თვლიან რიგის ხელშეკრულების დარღვევად. მაგრამ რიგის ხელშეკრულებაში ვილნოს შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. საბჭოთა მთავრობა, რა თქმა უნდა, თავის დასტურს ვერ მისცემდა ლიტვიდან პოლონეთის მიერ ვილნოს ძალით ჩამოგლეჯას, თუნდაც ეს დაკანონებული იყოს დიდ სახელმწიფოებისაგან. საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი, რომელიც რამდენიმეჯერ იყო გამოთქმული და ეხლაც იქნა განმეორებული ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულების დროს, იმაში მდგომარეობს, რომ ის მზად არის იცნოს ყოველგვარი გადაწყვეტილება ვილნოს საკითხის შესახებ, რომელიც მიღწეულ იქნება ნებაყოფლობითი შეთანხმებით ლიტვასა და პოლონეთ შორის. ეს მტრულ აქტს კი არ წარმოადგენს პოლონეთის წინააღმდეგ, არამედ საკითხის ერთად-ერთ სწორ და მშვიდობიან გადაჭრის შესაძლებლობას. სამაგიეროთ პოლონეთ-რუმინიის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით პოლონეთმა რუმინიის მიერ ბესარაბიის დაპყრობას კვერი დაუკრა, აშკარად ანტისაბჭოთა ნაბიჯია. არა საბჭოთა კავშირი, ილაშქრებს პოლონეთის წინააღმდეგ, არამედ სწორედ უკანასკნელი აწარმოებს დღემდე ანტისაბჭოთა პოლიტიკას. ჩვენი არა ერთხელ განმეორებულ წინადადებას საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ იგი უარყოფითად ეკიდება.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ სულ ბოლო დროს ერთგვარი გარდატეხის ნიშნები ემჩნევა პოლონეთის ჩვენთან დამოკიდებულებაში. პოლონეთის პრესაში წინანდელი მკაცრი კილო ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულების გამო შენელდა. პოლონეთის მთავრობა ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობის სახელზე ამზადებს ნოტას, რომელსაც, გაზეთების გადმოცემით, მშვიდობიანი ხასიათი ექნება. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ცდილობს დაიცვას „სულიერი წონასწორობა“ და ხელშეკრულების მნიშვნელობა გააქარწყლოს.

პოლონეთის საქმიანი წრეები მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას და ბრალს სდებენ მთავრობას, რომ ამ მხრივ მას აქტიური პოლიტიკა არ უწარმოებია. მათ სამართლიანად ეშინიათ, რომ პოლონეთს სხვები დაასწრებენ ჩვენთან ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენაში და ის განმარტოებული და წაგებული დარჩება. ამის გაკვეთილი პოლონეთმა უკვე მიიღო ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულების სახით. აგრეთვე ცნობა იყო, რომ ესტონია ნაბიჯებს სდგამს ჩვენთან საგარანტიო ხელშეკრულების დასადებად და ამ საკითხის დასამუშავებლად სპეციალური კომისია დაიარსა. დღეს თუ ხვალ ამავე გზას დაადგებიან ლატვია და ფინეთი. ეს გარემოება ბოლოს და ბოლოს პოლონეთსაც აიძულებს ეძიოს საბჭოთა კავშირთან შეთანხმების გზები.

ეს, რა თქმა უნდა, კიდევ არ ნიშნავს, რომ პილსუდსკის პოლონეთი არ შეეცდება უკანასკნელ შესაძლებლობათა გამოყენებას თავის აგრესიულ ზრახვების გასანაღდებლად. ამ მხრივ საგულისხმოა ცნობა, რომ პოლონეთის მთავრობამ მიიღო ზომები ბალტიის ქვეყნების კონფერენციის მოსაწვევად, რომელზედაც შეთანხმებული და დადებული უნდა იქნეს პოლონეთთან ერთად საგარანტიო ხელშეკრულება. ამ კონფერენციის მიზანი იქნება ხელი შეუშალოს ბალტიის ქვეყნებს ჩვენთან შეთანხმების დადებაში, ან, თუ ეს არ მოხერხდა, ხელშეკრულება დადებულ იქნეს ერთად და პოლონეთის მეთაურობით. პოლონეთს სწადია ბალტიის ქვეყნებზე ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდება და მათ მიმართ ჰეგემონის როლის თამაში. მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ ეს წადილი განხორციელდეს. ბალტიის თვითეულ ქვეყნისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელია საბჭოთა კავშირთან ცალ-ცალკე შეთანხმება, ვინემ პოლონეთის გავლენის ქვეშ მოქცევა.

კერძოდ ანტისაბჭოთა მთლიანი ფრონტის შესაძლებლობა გაქარწყლებულად უნდა ჩაითვალოს. ეს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მისი სულის ჩამდგმელის, ინგლისის პოზიციები ევროპაში ძალიან შეირყა;—შემდეგ: პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებ შორის სრულებით არა არსებობს ინტერესთა ერთიანობა. გარდა ამისა, როგორც პოლონეთის, ისე ბალტიის ქვეყნების არა მარტო მშრომელი მასსები, არამედ გონიერი ბურჟუაზიული წრეებიც მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან მეზობლურ ურთიერთობის აღდგენას. ბოლოს, ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებამ ამ მხრივ თავისი გავლენა უნდა მოახდინოს იმათზე, ვინც დღემდე გაურბოდა ჩვენთან შეთანხმებას. ამ ხელშეკრულებამ უნდა დააფიქროს ისინი და კონკრეტულად დასვას მათი საგარეო პოლიტიკის გადასინჯვის საკითხი. ამის ნიშნები ეხლავე მოჩანს.

გ. პ—უვილი.

პარტიის მთლიანობისათვის—ოპოზიციის წინააღმდეგ

თბილისის კომიტეტის პლენუმი

ოპოზიციის სასტიკი დამარცხება

„მიემართოს საქ. კომპარტიის ცეკას და ცენტ. საკონტროლო კომისიას—ლაგამი ამოსდონ გაკოტრებულ ოპოზიციონერებს, რომელნიც თავიანთ დამქსაქსველი მოქმედებით აფერხებენ, როგორც პარტიის, ისე საბჭოთა ორგანოების შემოქმედებითი მუშაობას. ოპოზიციის იმ გაუსწორებელ წარმომადგენლების მიმართ, რომელთაც თავიანთი მუშაობით უკვე პარტიის გარეშე დააყენეს თავისი თავი და რომელთა შესახებაც აღარ არის იმედი, რომ ისინი დაემორჩილებიან პარტდისციპლინას და ცხოვრებაში გაატარებენ პარტიის დადგენილებებს, მიღებულ იქნას პარტიული სასჯელის უმაღლესი ზომა—პარტიიდან გარიცხვა“.

ამხ. კახიანის მოხსენება

გუშინ ჩვენ მოწამენი შევიქენით გამთიშველი ოპოზიციის კიდევ ერთი სასტიკი დამარცხების.

თბილისის აღმასკომის მცირე დარბაზში შესდგა ს. კ. პ. (ბ) თბილ. კომიტეტის გაფართოებული პლენუმი რაიკომების თანადასწრებით.

ვრცელი დასაბუთებული მოხსენებით, ს. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ამოცანების შესახებ გამოვიდა ამხ. მ. კახიანი.

თბილისის ორგანიზაციის ყურადღება უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში —ამბობს ამხ. კახიანი—მიპყრობილი იყო სამ მომენტზე. უჯრედთა ბიუროების გადარჩევა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტების კამპანიის ჩატარება და პარტიული სწავლების გაღრმავება.

უჯრედების გადარჩევის დროს ოპოზიციას არ გამოუჩენია მუშაობის თითქმის არავითარი ცდა, თუმცა იყო ცნობები, რომ მათ ბელადებს მიცემული ჰქონდათ დირექტივები გამოეყენებიათ ეს არჩევნები და უჯრედთა ბიუროებში გაეყვანათ თავიანთი ხალხი.

მაგრამ ვინაიდან ხელახალი არჩევნების დროს ბიუროებში ხდებოდა საქმიანი ამხანაგების არჩევა, ამიტომ ოპოზიციამ ვერ მოახერხა თავის კაცების გაძვრენა ბიუროების შემადგენლობაში.

ახსნა - განმარტებითი კამპანია საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ც. საკ. კომ. პლენუმის შესახებ, ჩატარებულ იქნა თბილისის ორგანიზაციის ჯგუფურ კრებებზე, სადაც ოპოზიციამ მოაწყო უფრო გაბედული გამოსვლები. კამპანიის პირველ ხანებში, ოპოზიცია არ გამოდიოდა აშკარათ და კმაყოფილდებოდა ოპოზიციონურ ყაიდაზე შედგენილ ბარათების გამოგზავნით, რომლებიც ხელმოუწერელი იყვნენ.

სექტემბერში ჩვენ ვამჩნევთ ფრაქციული მუშაობის უფრო გაცხოველების სურათს.

ვინაიდან ოპოზიციამ მიიღო ცენტრიდან ზოგიერთი დოკუმენტები და რადგან თავის-თავს სთვლიდა მშრომელთა მასის ინტერესების წარმომადგენლათ, მან გადასწყვიტა გამოსულიყო ლენინის რაიონში 10 სექტემბერს დანიშნულ რკ. გზ. მთავარ სახელოსნოების სახარატო საცეხო უჯრედების კრებაზე.

აქ პირველათ გვიჩვენა მან თავისი სახე.

ფრაქციონერი ჭყუასელი გამოვიდა სიტყვით, რომელიც სავსე იყო მენშევიკური არგუმენტებით. მეორე გამოსვლა ოპოზიციის მიერ მოწყობილ იყო ისევ ლენინის რაიონში. აქ ზოგიერთმა პირებმა გაილაშქრეს ამხ. ფ. მახარაძის წინააღმდეგ.

ფრაქციული მუშაობის მეორე პერიოდი ხასიათდება არალეგალური ლიტერატურის გავრცელებით—ცალმხრივად შეგროვილ საიდუმლო დოკუმენტებისა და ნოე ჟორდანიას სტილით შედგენილ კითხვების სახით. ზოგიერთი კითხვარი შეიცავს 61 კითხვამდე. ზოგიერთი კითხვები არაფრით არ განსხვავდება იმ ბრალდებებისაგან, რომელთაც უყენებენ კომუნისტებს საზღვარგარეთელ მენშევიკ-თეთრგვარდიელების გამოცემები. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის კითხვაზე, თუ რა წყაროდანაა ეს ლიტერატურა,—ივანე ცინცაძემ, ამ ლიტერატურის ერთმა გამავრცელებელთაგანმა, არ გასცა პირდაპირი პასუხი, მაგრამ გამოირკვა, რომ ამ მასალის გამავრცელებელი იყო თბილისის ოპოზიციონური ცენტრი. დოკუმენტების ნაწილი, როგორც მაგალითად, ლენინის ანდერძი და ტროცკის წერილი, „მოსავლის შესახებ“ გადათარგმნილია ქართულ ენაზე და დაბეჭდილია „სტეკლოგრაფზე“.

ოპოზიციის მოღვაწეობის მესამე პერიოდი იწყება ოქტომბრიდან და ხასიათდება **პარტდისციპლინის გაუგონარი დარღვევით.** თბილისის ოპოზიციის მეთაურები, ჰბაძავენ რა მათ ბელადებს —ტროცკის, ზინოვიევს და სხვ., აწყობენ მთელ რიგ გამოსვლებს გაერთიანებულ პარტიულ კრებებზე. პირველ რაიონში, როგორც ვიცით, მათ გაგზავნეს **მიშა ოკუჯავა, პეტრე ზალუცკი და კოტე ცინცაძე.** მეორე რაიონში—**ნიკო კიკნაძე, ზენო კალანდაძე** და სხვ. მესამეში —ხეფი და სხვ. უეჭველია, რომ ისინი ასრულებდენ ფრაქციონული ცენტრიდან მიღებულ დირექტივას.

როგორც იცით, ოპოზიციის გამოსვლა სრული მარცხით დამთავრდა. მუშები არ გაჰყვა მას. ერთად-ერთი რაც მათ შესძლეს—ეს იყო კრებების საქმიანი მუშაობის შეფერხება და აურ-ზაურის და სკანდალების ატეხა. ამიტომ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა ცენტრალურ კომიტეტს და ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტს მიმართა, რომ მათ მოეღოთ ბოლო ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობისათვის.

ამხ. კახიანის მოხსენების შემდეგ გამოდიან მთელი რიგი მუშა-ამხანაგები სხვადასხვა რაიონებიდან, რომლებიც ერთხმათ და გადაჭრით გმობენ ოპოზიციას.

კ ა მ ა თ ი

ამხ. სარდლიშვილი

(პირველი რაიკომიდან) ამბობს, რომ მუშები მოითხოვენ გადამჭრელ ბრძოლას ოპოზიციის წინააღმდეგ და პარტიის რიგების მთლიანობის აღდგენას. ოპოზიცია ხელს უშლის ჩვენი მეურნეობის აღსადგენათ წარმოებულ საქმიან მუშაობას.

ამხ. ბურცევი

აღნიშნავს, რომ ოპოზიციას არ აქვს არავითარი ნიადაგი მუშათა მასებში.

ოპოზიციის ლოზუნგი საქონელზე ფასების აწევის შესახებ არღვევს მუშებისა და გლეხების კავშირს და აუარესებს ორთავეს მდგომარეობას.

ოპოზიციის ყალბი განცხადებები შინა-პარტიულ დემოკრატიის შესახებ ჩვენ არ გვჭირდება. პარტიამ შესძლო შინაპარტიული დემოკრატიის გატარება და ამან გააცხოველა კიდეც პარტმუშაობა. ტროცკი კვლავ განაგრძობს ძველ ამბავს და იმდენათ, რამდენადაც ის ხელმძღვანელობს ლენინის პარტიის წინააღმდეგ მიმართულ მუშაობას მის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები.

ამხ. სულავა

აღნიშნავს, რომ ოპოზიცია ხელს უწყობს ჩვენს კლასიურ მტრებს და ხელს გვიშლის სამეურნეო აღმშენებლობაში. საქმიანი მუშაობის დამშვიდებულათ გაგრძელებისათვის საჭიროა ოპოზიციის ალაგმვა, მისი ბელადების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღება.

ამხ. ბოლქვაძე და პრეობრაჟენსკი

მიუთითებენ ოპოზიციის უპრინციპობაზე, რომელიც მეშჩანურ-თეთრგვარდიელთა საქმეს აკეთებს ობიექტიურათ, ხელს უშლის დამშვიდებულ საქმიან მუშაობას და ემუქრება ლენინის პარტიის მთლიანობას.

დამსწრეთა დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ, გამოდის ოპოზიციონერი:

ნ. კიკნაძე

ის გამოტყდა იმაში, რომ საიდუმლო დოკუმენტები მოსკოვიდან მოსდით მათ. ის თავის სიტყვას ჩვეულებრივი წამოძახილით ამთავრებს მსჯელობისა და კრიტიკის თავისუფლების აუცილებლობის შესახებ, რომელიც თითქოს ეხლა არ არსებობს. რასაკვირველია, მას კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, რომ ყველა კრებებზე, სადაც კი სცადეს გამოსვლა ოპოზიციონერებმა თვით კრებას არ სურდა მათი მოსმენა და არ აძლევდა ლაპარაკის საშუალებას.

ამხ. თოდრია და სტურუა

რომლებიც გამოვიდენ შემდეგ, აღნიშნავდენ, რომ ოპოზიციის გამოსვლა, ზინოვიევის, ტროცკის და და კამენევის პლატფორმა თანაგრძნობას ჰპოებს საზღვარგარეთ გადახვეწილ მენშევიკურ ელემენტებში. მათ ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ოპოზიციის პლატფორმას პროლეტარიატი მიჰყავს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასამარებისაკენ. ზინოვიევი და კამენევი, ამბ[illegible]ობს, კერძოთ ამხანაგი სტურუა, თუმცა დაუახლოვდენ ტროცკის, მაგრამ ისინი [illegible] საკითხებით არ არიან გაერთიანებული, პირიქით, ისინი დროებითი ბლოკში [illegible]რიან. პარტიის დამხმარე ორგანომ, საკონტროლო კომისიამ, ამჟამად შე[illegible]ზე უნდა გადავიდეს და უვნებელ[illegible] გახადოს ის ოპოზიციონერები, რომელთაც არ სურთ გულწრფელად გამოასწორონ და აღიარონ თავიანთი შეცდომები.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ოპოზიციის შესახებ ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე. აღნიშნა რა თავის სიტყვის შესავალში, რომ პარტიიდან გარიცხვის საკითხს ჩვენ უნდა მივუდგეთ სერიოზულად. ამხ. ფილიპემ მიუთითა შემდეგ იმაზე, რომ საჭიროა გარკვევით ცოდნა იმისა, თუ რა უნდა ოპოზიციას და ან რას მოითხოვს იგი. თუ ოპოზიცია მოითხოვს შინაპარტიულ დემოკრატიას, როგორც ეს მას ესმის, ე. ი. პარტიის მთლიანობის დასარღვევათ, მაშინ მას არ მივიღებთ. კომუნისტური პარტია არის და იქნება ერთი მთლიანი; მხოლოდ ამ პირობებში შეუძლია დარჩენა მას თავის მებრძოლ პოსტზე.

დიქტატურის ეპოქაში საჭიროა რკინისებური პარტდისციპლინა. შინაპარტიული დემოკრატიის ცნობა **ოპოზიციის გაგებით,** ჩვენ მიგვიყვანდა დიქტატურის მოსპობამდე. ჩვენ იძულებული ვიქნებოდით გვეცნო ბურჟუაზიულ-პარლამენტარული რეჟიმი. მაშინ ხელისუფლების სათავეში რიგ-რიგობით ჩადგებოდენ, ხან ერთი და ხან მეორე ფრაქცია.

რა მიზანს ისახავს ეხლა ოპოზიცია? არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ იგი სცდილობს დაამარცხოს ლენინური ცეკა და მის მაგიერ დააყენოს თავისი—ოპოზიციონური.

ცეკა მოვალეა ენერგიულათ დაიცვას თავი ოპოზიციის შეტევებისაგან. ოპოზიციამ აირჩია სახიფათო გზა—არალეგალური ჯგუფების მოწყობა კომპარტიის ფარგლებში. დღევანდელ სამეურნეო ხანაში საჭიროა მტკიცეთ ვიდგეთ ლენინის პოზიციებზე და დავიცვათ პარტიის მთლიანობა და მუშათა და გლეხთა კავშირი.

მხოლოდ ამ პირობებში შევსძლებთ წინ წავსწიოთ და ავაყვავოთ ჩვენი მეურნეობა. ოპოზიცია გვეპატიჟება შევსცვალოთ ლენინიზმი ტროცკიზმით, მაგრამ ლენინიზმი, რომელმაც გაამართლა თავისი თავი მთელი წლების განმავლობაში, ჩვენს მიერ იქნება ცხოვრებაში გატარებული, სანამ არსებობს კომუნისტური პარტია. ტროცკიზმი სრული წინააღმდეგობაა ლენინიზმის და ჩვენ მას ვერ გავყვებით.

თავისი აზრის გამოთქმისათვის კრებებზე პარტია, რასაკვირველია, არავისა სჯის მაგრამ თუ ეს ამხანაგები **დაირაზმებიან** არალეგალურად და მოაწყობენ შეთქმულებას ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ,—ჩვენ მოვალენი ვართ მივიღოთ გადამჭრელი ზომები, რომ ამას საზღვარი დაუდოთ. დღევანდელ ხანაში დისკუსია უდიდეს განსაცდელში ჩააყენებდა ჩვენს პარტიას.

თუ ლენინი წინეთაც დისკუსიების გამო ლაპარაკობდა, რომ ჩვენ უდიდეს შეცდომას ვუშვებთო, მით უმეტეს ახლანდელ პირობებში ჩვენ ბოროტებას ჩავიდენდით, რომ მიგვეცა ნება ოპოზიციისათვის თავზე მოეხვია დისკუსია პარტიისათვის. ჩვენ არ გვცალია კამათისათვის, ჩვენს წინაშე სდგანან უფრო რთული საკითხები საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღმშენებლობის დარგში.

ჩვენ შევსძლებთ წინსვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შევინარჩუნებთ პარტიის ფოლადისებურ მთლიანობას და გავატარებთ სწორ ლენინურ ხაზს. მუშათა კლასისა და კომპარტიის 99 პროცენტმა დაგმო ოპოზიცია და მოუწოდა მას დამორჩილებოდა უმრავლესობის დადგენილებებს.

ამხ. კახიანის საბოლოო სიტყვა

დასასრულ ამხ. კახიანმა აღნიშნა, რომ ოპოზიციის გამოსვლამ თბილისში სრული კრახი განიცადა. ამხ. კიკნაძეს დაავიწყდა ეთქვა—აღნიშნავს ის, — რომ მუშები არ მიჰყვებიან მათ. ის დაკმაყოფილდა მხოლოდ დემაგოგიური განცხადებით იმის შესახებ, რომ პარტიის ერთი ნაწილი ტყუბილობს სიმართლეს ოპოზიციის შესახებ, მეორე ნაწილი კი ვერა. მთლიან ლენინურ პარტიაში არ შეიძლება იყოს ნაწილები, ხოლო ოპოზიციისათვის საჭირო ცალმხრივათ შერჩეულ საბუთების გაცნობა არავის არ სჭირია გარდა ოპოზიციისა, მენშევიკებისა და თეთრგვარდიელებისა.

ოპოზიციონერები, რომელთაც იწვევენ საკონტროლო კომისიაში, აწარმოებენ ჩვენზე თავდასხმას და ამ თავდასხმაში ისინი იქამდის მიდიდენ, რომ ბრალი დაგვდეს, თითქოს ჩვენ მენშევიკურ-ესერულ ხაზს ვატარებდეთ. დაე კრებამ განსაჯოს ვინ ატარებს ამგვარ ხაზს. ჟორდანია და კომპანია ხელს ლენინურ უმრავლესობას კი არ უწევდიან, არამედ ოპოზიციას, რადგან ისინი მათში ხედავენ თავის ერთგულ მოკავშირეს. გასაგებია ამის შემდეგ, თუ რატომ უკრავენ ტაშს ჟორ[illegible] ოპოზიციას. ჩვენ [illegible]ვიცით, რომ საკავშირო კომპარ[illegible] თავისუფალ ფრაქციების აღიარებას თან მოჰყვებოდა სხვა ბურჟუაზიულ პარტიების აღიარება, რაც პროლეტარიატის დიქტატურის დასამარების მომასწავებელი იქნებოდა. ოპოზიცია არის წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობათა ანარეკლი ჩვენს პარტიაში. მან შესძლო მხოლოდ მუშათა მასებისაგან მოწყვეტილ ერთეულების და იმ ინტელიგენტების გაერთიანება, რომლებიც ვერ იტანენ პროლეტარიატის დიქტატურის „ზაჟიმს“. მთელი რიგ მუშების გამოსვლამ აქ დაამტკიცა, რომ ჩვენ ოპოზიციასთან ბრძოლაში სწორ გზას ვადგივართ. ეხლაც ისე, როგორც წინათ, პარტია სასტიკ ბრძოლას აწარმოებს ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ ლენინის ხაზიდან. ჩვენი პარტია კვლავ დარჩება მთლიანი, მონოლიტი, ლენინის პარტია. **(მხურვალე ტაში).**

ამხანაგ კახიანის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა **ყველა ხმებით სამის წინააღმდეგ** მიიღო შემდეგი

რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა

1. დადასტურებულ იქნას თბილისის კომიტეტის მიმართვა 9 ოქტომბრის თარიღით (დაიბეჭდა თბილისის გაზეთებში 10 ოქტომბერს).

2. ეთხოვოს საკავშირო კომპარტიის მეთხუთმეტე პარტკონფერენციას, რომელიც იხსნება 25 ოქტომბერს, იქონიოს მსჯელობა ოპოზიციის ფრაქციულ და გამთიშველ მოქმედების შესახებ, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, და მიიღოს ზომები პარტიულ წესდების მიხედვით, ოპოზიციის პარტიულ მასებიდან მოწყვეტილ თავაშვებულ და გაკოტრებულ ბელადების წინააღმდეგ.

3. უნდა გაძლიერდეს და გაღრმავდეს მე-14 ყრილობის და ცეკასა და საკონტროლო კომის. ივლისის პლენუმის დადგენილებათა შესწავლა. თბილისის კომიტეტმა უნდა მიიღოს ზომები პარტიის წევრებისათვის ამ დადგენილებათა შესწავლის და განმარტების საქმის მოსაწესრიგებლად.

4. უსათუოდ უნდა გაძლიერდეს და ცხოვრებაში გატარდეს თბილისის პარტორგანიზაციებში შინა-პარტიული დემოკრატიის საფუძვლები, რომელიც მოასწავებს პარტიის ფართო მასების ყოველ დღიურ საკითხების განხილვაში ჩაბმას, იმ საკითხების, რომელიც დგას პარტიის წინაშე და რომლის მიხედვითაც ყოვლად დაუშვებელია ფრაქციები და დაჯგუფებანი ერთიან და ერთად-ერთ კომუნისტურ პარტიაში.

5. მიემართოს საქ. კომპარტიის ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიას— ლაგამი ამოსდონ გაკოტრებულ ოპოზიციონერებს, რომელნიც თავიანთ დამქსაქსველი მოქმედებით აფერხებენ, როგორც პარტიის, ისე საბჭოთა ორგანოების შემოქმედებითი მუშაობას.

ოპოზიციის იმ გაუსწორებელ წარმომადგენლების მიმართ, რომელთაც თავიანთი მუშაობით უკვე პარტიის გარეშე დააყენეს თავისი თავი და რომელთა შესახებაც აღარ არის იმედი, რომ ისინი დაემორჩილებიან პარტდისციპლინას და ცხოვრებაში გაატარებენ პარტიის დადგენილებებს, მიღებული იქნას პარტიული სასჯელის უმაღლესი ზომა—პარტიიდან გარიცხვა.

ამის შემდეგ პლენუმმა საკავშირო კომპარტიის კონფერენციაზე დელეგატად აირჩია ამხ. მ. კახიანი.

თბილისის კომიტეტის წევრებად არჩეულ იქნენ ამხ. ენუქიძე, მაჩაიძე, მგელაძე, მორჩილაძე და ფანცულაია.

არმია ოპოზიციის წინააღმდეგ

(ამ.-კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის ხელმძღვანელი პარტ-აქტივის,—დივიზიების სამხედრო კომისრების. დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსების, ამ.-კავკ. წითელ დროშოვან არმიის პოლიტგანყოფილების დაწესებულებათა და მუშაკთა პარტიული ხელმძღვანელების, — თათბირის რეზოლიუცია).

ოპოზიციის წარმომადგენელთა გამოსვლა უკანასკნელ დღეებში, მიუხედავად იმისა, რომ ნათლად გამოიხატა პარტიის აზრი დისკუსიის წინააღმდეგ, კვლავ ქმნის საფრთხეს პარტიის მთლიანობისა და მისი შემოქმედებითი მუშაობისთვის ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში, რომელიც მეტად გართულებულ პირობებში სწარმოებს. მკაცრი პასუხი, რომელიც „ავიოპრიბორის“ უჯრედის მუშებმა გასცეს ოპოზიციის ბელადების მთელ შემადგენლობას და სასტიკი პროტესტები, რომელიც გამოაქვთ მრავალ პარტორგანიზაციებს, ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ პარტიას არ სურს და არ დაუშვებს ჩაშლას თავისი შემოქმედებითი მუშაობისას, რომელიც სოციალიზმის აღმშენებლობისათვის სწარმოებს.

ოპოზიციის წარმომადგენელთა გამოსვლა იმის შემდეგ, რაც მე-14 პარტყრილობის და ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილებანი და ამ გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად მხარი დაუჭირა ყველა პარტიულმა ორგანიზაციებმა,—ჩვენი პარტიის დისციპლინის სიმტკიცისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. ჩვენი პარტიის რიგების სიმტკიცის ძირითადი საფუძველი ყოველთვის იყო ფოლადისებური, შეურყეველი დისციპლინა.

ამიერ - კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის და მთელი წითელი არმიის პარტიულმა ორგანიზაციებმა თავისი გადაწყვეტილებებით დაადასტურეს, რომ პარტიული რიგების მთლიანობის დაცვა ჩვენი უდიდესი ზრუნვის საგანს შეადგენს და რომ ის ჩვენს რიგებში ფრაქციული მუშაობის ყოველგვარ ცდებს მკაცრ პასუხს გასცემს.

ამ.-კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკების თათბირი დაუშვებლად სცნობს, რომ ჩვენი არმიის სამხედრო - პოლიტიკური აქტივის ხელმძღვანელი — სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს შემადგენლობაში დარჩეს ის ამხანაგი, რომელიც ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობაში იღებდა მონაწილეობას და თხოვნით მიმართავს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტს, რათა გაყვანილ იქმნას ამხ. ზალუცკი არმიის სამხედრო - რევოლიუციონურ საბჭოდან.

(მიღებულია ერთხმად 9 ოქტომბერს, 1926 წელს).

იუსტიციის საკომისარიატის კომუჯრედში

(35 პარტიისათვის, ორი მის წინააღმდეგ).

გუშინ იუსტიციის სახალხო კომისარიატის შენობაში შესდგა იუსტიციის კომისარიატის კომუჯრედის კრება.

ეს კრება მოწვეული იყო თვით უჯრედის წევრთა ერთი ჯგუფის მოთხოვნით (რიცხვით 15 კაცი). კრების მოწვევის მოტივათ, იმ განცხადებაში, რომელიც მათ ბიუროს სახელზე შეიტანეს, აღნიშნული იყო შემდეგი გარემოება: იუსტიციის კომისარიატის უჯრედის ზოგიერთი წევრები პარტიის უჯრედების კრებებზე სხვადასხვა რაიონებში გამოდიოდენ და ოპოზიციონერებათ მოჰქონდათ თავი. მიუხედავათ იმისა, რომ ისინი არ ეკუთვნოდენ შეკრებილ უჯრედებს, ეს ამხანაგები შედიოდენ კრებაზე, ხმაურობდენ, ხელს უშლიდენ კრებების ნორმალურ მუშაობას და პრეზიდიუმში შეჰქონდათ ოპოზიციონური რეზოლიუციები. იუსტიციის კომისარიატის უჯრედის ზოგიერთ წევრების, მათ შორის უჯრედის პასუხისმგებელ მდივნის, ასეთმა საქციელმა დასტოვა ისეთი შთაბეჭდილება, თითქო კომისარიატის მთელი უჯრედი ოპოზიციონური იყოს. ამხანაგების ჯგუფმა განიზრახა უჯრედის რეაბილიტაცია თბილისის პარტორგანიზაციის წინაშე და ამის გამო იქნა მოწვეული უჯრედის საგანგებო კრება. ამ კრებაზე უნდა გამორკვეულიყო უჯრედის ნამდვილი სახე და ის, უჭერს თუ არა მხარს მთელი უჯრედი თითო-ოროლა ოპოზიციონერს, რომლებიც უჯრედების ჯგუფურ კრებებზე გამოდიოდენ.

რა გამოირკვა ამ კრებაზე?

კრებაზე გამოირკვა, რომ იუსტიციის კომისარიატის უჯრედი მტკიცეთ სდგას პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე და ლენინურ ცეკას ხაზს იზიარებს. აქ გამოირკვა, რომ ის, ისეთი, როგორც თბილისის სხვა ყველა უჯრედები და მთელი პარტია, გმობს ოპოზიციას და წრეს გადასულ ამხანაგების უპასუხისმგებლო გამოსვლებს.

კრებაზე ვრცელი მოხსენებით „პარტიისა და ოპოზიციის“ შესახებ გამოვიდა ამხანაგი ლევან ღოღობერიძე, რომელმაც დაწვრილებით გააშუქა ოპოზიციის ნამდვილი ბუნება და მისი ფრაქციული, არალეგალური მუშაობის ფაქტი ნათელყო.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგების მთელმა რიგმა (ბერპეჩაშვილი, სადაგიშვილი, კეჭარავა, თურქია, მურავიოვი, მეგრელიშვილი, ვარდიძე და სხვა), რომლებმაც გაილაშქრეს უჯრედის ზოგიერთი წევრების უპასუხისმგებლო გამოსვლების წინააღმდეგ, და ფარდა ახადეს ზოგიერთ მათგანს (ვიქტორ ცინცაძე, პაპავა) „მოღვაწეობას“.

უნდა აღინიშნოს, რომ კრების დასაწყისში ამ ორმა ოპოზიციონერმა კრება დემონსტრატიულად დასტოვა, მაგრამ შემდეგ ალბათ გადაიფიქრეს, და ისევ შემოძვრენ დარბაზში.

გამოვიდა, რასაკვირველია, ოპოზიციონერი ვ. ცინცაძეც, რომელიც ყველაზე მეტს ხმაურობს ყველა კრებებზე. უჯრედის კრებამ მას სრული საშუალება მისცა ელაპარაკა რამდენიც უნდოდა, და ეთქვა თუ რაიმე ჰქონდა სათქმელი. მაგრამ ასეთი მას არაფერი აღმოაჩნდა არსებითად. მხოლოდ, როგორც ეს გაზეპირებული აქვთ ყველა [illegible] მუშაობას, მიუხედავათ [illegible] კრებაზევე მას [illegible] პირში რამოდენიმე ამხანაგი (ამხ. თურქია და სხვა), რომლებიც ადასტურებდენ ფრაქციული კრების მოწვევის ფაქტს კომისარიატში.

მეორე ოპოზიციონერი პაპავა, რომელიც, სხვათა შორის, ამხანაგ ბესო ლომინაძის მოხსენებაზე მზეჭდავ მუშებისა და სხვა უჯრედების გაერთიანებულ კრებაზე ისეთი რეზოლიუციით გამოვიდა, რომელიც აშკარა მენშევიკური სულით იყო გაჟღენთილი, მხოლოდ ადგილიდან იძლეოდა რეპლიკებს და სიტყვის თქმა აღარ მოისურვა და ჭკუიანადაც მოიქცა...

იუსტიციის კომისარიატის უჯრედმა ღირსეული პასუხი გასცა ოპოზიციონერებს. მიღებულ იქნა შემდეგი

რეზოლიუცია

მოისმინა რა ამხ. ლევან ღოღობერიძის მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობაზე საქართველოში ახალი ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობასთან დაკავშირებით, იუსტიციის სახალხო კომისარიატის უჯრედი, აღნიშნავს რომ უპასუხისმგებლო კომუნისტების ჯგუფი ძველი ქართველი „უკლონისტების“ ბანაკიდან, რომელიც ეხლა დადგა პარტიის მიერ გაკიცხულ „ტროცკიზმის“ პოზიციაზე, აწარმოებს ხაკ. მათ ჩამოყალიბებულ ბრძოლას მე-14 პარტყრილობის და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ივლისის პლენუმის დადგენილებათა წინააღმდეგ. ამით ისინი სცდილობენ ლენინიზმის საფუძვლების შერყევას და არღვევენ პარტიის სიმტკიცეს და მთლიანობას, რითაც ბრკოლდება პარტიის მიმდინარე საქმიანი მუშაობა.

უჯრედი კატეგორიულად კიცხავს ასეთ საქციელს ოპოზიციონურ ჯგუფების და პიროვნებების მხრივ, რომლებიც არ ჩერდებიან ფრაქციული ბრძოლის არავითარი საშუალებების წინაშე და სახელს უტეხენ მე-14 პარტყრილობის როგორც ჩვენი პარტიის უზენაეს ორგანოს სრულიად სწორ და მიზანშეწონილ დადგენილებებს.

უჯრედი დარწმუნებულია იმაში, რომ ოპოზიციონური ჯგუფების ასეთი მოღვაწეობა ობიექტიურად ხელს უწყობს ყველა ანტისაბჭოთა ელემენტების ბრძოლას პარტიასა და პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ. უჯრედი გამოსთქვამს თავის აღშფოთებას იმის გამო, რომ იუსტიციის სახ. კომისარიატის უჯრედის ზოგიერთი წევრები ფრაქციული მოღვაწეობის გადატანას ცდილობენ იუსტიციის სახ. კომისარიატის პარტიულ მუშაკების წრეშიაც და ამით სურთ უჯრედის წევრების პარტიის წინააღმდეგ ოპოზიციონურ ბრძოლაში ჩაბმა. უჯრედი გმობს რა გადაჭრით ოპოზიციონერთა ასეთ ცდებს, ფიქრობს, რომ პარტიამ თავისი ფოლადისებური რიგების მთლიანობის დაცვის მიზნით არაჩვეულებრივი მკაც-

ჩვენებური „ოპოზიცია“

გამოსვლა პირველი

მარში

([illegible])

მარჯვენით მარში,
თავი—ხაშში!
მარცხნით კიდევ—ხრამში!
ერთი!
ორი!
სამი!
ოთხი!

ჩვენც არ ვიცით, როგორ მოვხვდით
„პერმანენტულ რკალში“!
ქე ვიჯექით ჩვენთვის სახლში:
ერთია და—ფილტვი სტკივა!
მეორე გრძნობს—გული მივა!..
მოსკოვიდან დირექტივა
მოდის, ცხელი და ფიცხელი!
ჩვენც დავავლეთ ქუდებს ხელი:
ხელი—თმაში,
„ინჩი“—თავში,
ფეხი კი— ჩექმაში:—
შემდეგ—კარში
და ქუჩაში
მარჯვენივ—მარში!
მარცხნივ—მარში!
და რუსთაველის თეატრში
თვითონ მასში,
მის სარდაფში,
თუ საკონცერტო დარბაზში!..)
უჯაროთ და უალაფოთ,
გამოვცხადდით ერთობ სწრაფათ
ერთად სამი „ჰიენერალი“,
„აპარატზე“ სამივ მწყრალი:
მიშა, ლადო... (ეს ხომ ორი!)
მესამე კი—კოტე!
მომხსენებელს სწერდენ უხვად
შეკითხვებათ „ნოტებს“!
(რა თქმა უნდა, ამას, იმას,
უმეტესად—„პროტებს“)
უგზავნიდენ პრეზიდიუმს
პაჩკობით და თაბახობით,
და პარტიულ მუშურ მასას
აყრუებდენ ტრაბახობით...
მაგრამ მასა—„ნე პოდდალსა“!..
ი პოპალ ვსემ ტრიომ ტუზამ!!!
ვა!.. ეს იყო „სრუ[illegible]

თუ ბალეტი?
ცოტა მეტი:
თავში—კეტი,
ზურგში—„პლეტი“,
თუ სხვა რამე?
„ჰიენერალი“ იგი სამი,
განზრახვა რომ გაუხუნდა,
ისევ უკან გამობრუნდა!..
და მოდიან ისევ მწკრივად,
გულ-და-მუცელ—ანატკივად:
წინ—მიშა და უკან—კოტე,
იმათ უკან—ლადო,
კრებიდან კი მათ დაცინვის
მოსდევს „კონონადა“:
ტაკ ი ნადო!
ტაკ ი ნადო!
ტაკ ი ნადო!
ნადო“!!!
— ნუ,ა ტიპერ, ტოვარიშჩი,
კუდა იტიტ ნადო?!.
—უკან ხომ არ შევბრუნდებით?
რაზუმეთსა, ნა დომ!..
—პარტიიდან გაგვრიცხავენ?
როგორ ფიქრობ, ბიჭო?!.
—მე მგონია!..
— მეც მგონია!!!
—მე კი ცოტას ვიჭვობ!..
— რა იმედით?
— მაცათ! გეტყვით:
„ჩვენთან არის ტროცკი!!!“
ონ, ბრატ, ტებე ნე ზინოვიევ!
ონ, ბრატ, ტებე ნე კამენევ!
ონ, ბრატ. სახარ ბროდსკი!!!.
ზინოვიევ-კამენევიც
და პრეობრაჟენსკიც?
ეს ხომ მთელი პარტიაა!
ტუტ ნე ვოპროს ჟენსკი!
პაკი... პუკი... პაკი... პუკი...
ჩექმებია, თუ ხელტუკი!..
მარჯვენივ—მარში
მარცხნივ—მარში
ჯერ-ჯერობით—მხოლოთ სახლში!..
ვცადოთ კიდევ ამ კვირაში!...

ონისიმე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის
ცენტ. კომიტეტის და ცენტ. საკონტროლო კომისიის
გაერთიანებული პლენუმი
სოლქო და სამაზრო კომიტეტების და თბილისის ორგანიზაციის რაიონების მდივნებთან ერთად
15 ოქტომბრიდან გადატანილია
16 ოქტომბრისათვის, დილის 10 საათზე
ს. კ. პ. ც. კ. მდივანი ლ. ქართველიშვილი
ს. კ. პ. ც. ს. კ. თავმჯდომარე ა. დოლიძე

...რი ზომებით უნდა შეებრძოლოს პარტიის დეზორგანიზატორებს და გამთიშველებს. უჯრედი სავსებით უერთდება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ა.-წ. 9 ოქტომბრის დადგენილებას და აგრეთვე თბილისის ორგანიზაციის წევრთა რაიონულ გაერთიანებულ კრებების დადგენილებებს და მოითხოვს საქართველოს კომპარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიისაგან პარტიის დეზორგანიზატორების წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღებას პარტიიდან გარიცხვამდეც კი.

ძირს ფრაქციულობა, ძირს ოპოზიციონერები.

გაუმარჯოს, ლენინის პარტიის ფოლადისებურ მთლიანობას და მის ბელადს—საკ. კ. პ. (ბ) ცეკას!

(რეზოლიუცია მიღებულია იქნა 85 ხმით ორის წინააღმდეგ. ეს ორი ბრძანდებიან ჯ. ცინცაძე და პაპავა, რომლებიც უკვე აღარ შედიან ამ უჯრედში, რადგან მოხსნილი არიან იქიდან).

ლენინურ ცეკასთან ერთად

გარდისუბნის და ყარსუბნის თემების კომუჯრედების გაერთიანებულმა კრებამ, ამავე თემების კომკავშირის აქტივის თანდასწრებით, მოისმინა რა მოხსენება ამხ. ღვედაშვილისა საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის შედეგებზე, აღნიშნავს, რომ ცეკას პლენუმის დადგენილებები მიზანშეწონილია და სავსებით უწყობს ხელს მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცებას. ოპოზიცია, რომელიც ილაშქრებს პარტიის ხაზის წინააღმდეგ ძირს უთხრის მთლიანობას და ზიანს აყენებს მუშებისა და გლეხების კავშირის საქმეს.

ჩვენ მტკიცედ ვიქნებით ლენინურ ცეკასთან ერთად და არავის მივსცემთ საშუალებას დაარღვიოს პარტიის მთლიანობა.

გაუმარჯოს ლენინურ ცეკას!

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ

მოისმინა რა მოხსენება საკავშირო ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ, ბაისუბნის თემის კომუჯრედის და კომკავშირის აქტივის გაერთიანებული კრება სავსებით იწონებს ცეკას მიერ აღებულ ხაზს. კრება არ ეთანხმება და ჰკიცხავს ოპოზიციას, რომელსაც განხეთქილება შეაქვს ჩვენი ლენინურ პარტიის რიგებში.

კრება მოუწოდებს პარტიის წევრებს სასტიკი ბრძოლა გაუწიონ ოპოზიციის ყოველგვარ გამოსვლებს და მტკიცედ დაიცვან პარტიის ფოლადისებური მთლიანობა.

გაუმარჯოს ცეკას მიერ აღებულ ხაზს!

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის მთლიანობას!

გავატარებთ პარტიის დირექტივებს

ს. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის თემის პარტორგანიზაციის კრება კომკავშირის აქტივთან ერთად, მოისმინა რა მან ამხ. ალ. შანკიევის მოხსენება ს. კ. პ. (ბ) ცეკას და ც. ს. კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის შედეგებზე სავსებით იწონებს და უერთდება პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლიუციებს, კრება იწონებს და მიზანშეწონილად მიაჩნია ცეკას მიერ ოპოზიციონერების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი და საჭიროდ მიაჩნია ბრძოლის გაგრძელება ოპოზიციის წინააღმდეგ პარტიის მთლიანობის დასაცავად. ლაგოდეხის პარტორგანიზაცია კ. კავშირის აქტივთან ერთად, აცხადებს, რომ იგი ყოველგვარი ღონისძიებით დაიცავს პარტიის მთლიანობას და ცხოვრებაში გაატარებს პარტიის ყოველგვარ დირექტივებს.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს სოციალიზმის მშენებლობას.!

შევებრძოლებით ლენინიზმის გაყალბების წინააღმდეგ

პერევისის (შორ. მაზ.) მაღაროების № 57 კომუჯრედის კრებამ მოისმინა რა ამხ. თოდრიას მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის დადგენილებების შესახებ—მთლიანად უერთდება მას.

კრება აღშფოთებით აღნიშნავს ახალ ოპოზიციის დეზორგანიზაციულ ნაბიჯებს, რომელსაც სათავეში უდგანან პოლიტ-ბიუროს წევრები ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი, კრება აღნიშნავს, რომ ახალი ოპოზიციის გამოსვლა ორგანიზაციულად განამტკიცა ანტი-ლენინური გადახრები, რომელსაც ადგილი ჰქონდა დღემდის. ახალი ოპოზიცია აშკარა ანტი-ლენინურ გზას დაადგა, მას არა აქვს რწმენა იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიძლება სოციალისტური მშენებლობის წარმატებით დაგვირგვინება.

უჯრედის კრება სასტიკად ჰკიცხავს ახალ ოპოზიციას, რომელიც არ კმაყოფილდება წესდებით მინიჭებულ უფლებებით და არალეგალურ მუშაობას იწყებს, რაც გამოიხატება ფრაქციულ კრებების მოწვევაში, საიდუმლო პარტიულ დოკუმენტების გადაბეჭდვასა და გავრცელებაში, ფრაქციის ადგილებზე შესაქმნელად რწმუნებულების დაგზავნაში და სხ.

უჯრედის კრება იმედს გამოსთქვამს, რომ ოპოზიციის სულის ჩამდგმელი ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და სხვა შეიგნებენ პასუხისმგებლობას ქვეყნის და პარტიის წინაშე და დაადგებიან პარტიის მთლიანობის და ლენინიზმის სწორ გზაზე, რომელიც მიგვიყვანს სრულ გამარჯვებამდე.

ამასთანავე ერთად, კრება აცხადებს, რომ იგი მტკიცედ სდგას ლენინის პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე, იბრძოლოს ლენინიზმის ყოველგვარი გაყალბების წინააღმდეგ და ღრმად უჭერს მხარს ცენტრალურ კომიტეტს, რომ ყოველმხრივ ხელს შეუწყობს მას ამ ბრძოლაში.

გაუმარჯოს ჩვენ ფოლადისებურ მთლიან კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მის საკავშირო კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს!

ფხიზლად ლენინის პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

მთელი [illegible] ორგანიზაცია, სასტიკად გმობს და კიცხავს ახალ ოპოზიციას, რომელიც ცდილობს თავზე მოახვიოს პარტიას დისკუსია იმ დროს, როდესაც მთელი მისი ძალები სამეურნეო აღმშენებლობის ფრონტზე უნდა იყოს გადასროლილი.

პარტიის უმნიშვნელო უმცირესობამ, რომელსაც სამწუხაროდ ზოგიერთი ყოფილი ბელადებიც მეთაურობენ, აიღო ისეთი ხაზი, რომელიც ძირს უთხრის პარტიის მთლიანობას და საფრთხეში აყენებს პროლეტარიატის დიქტატურას. ოპოზიცია არ ეთანხმება პარტიის ლენინურ ცეკას მთელ რიგ საკითხებში, მას ამ საკითხებზე თავისი აზრი და შეხედულება აქვს, რომელიც ეწინააღმდეგება პროლეტარიატის ინტერესებს, რომელიც ძირს უთხრის მუშებისა და გლეხების მჭიდრო კავშირს და დაღუპვით ემუქრება ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს. პარტია ვერ გაჰყვებოდა და არც გაჰყვა მათ. მას არ გადაუხვევია და არც გადაუხვევს ლენინის გზიდან. პარტიის ყველა ორგანიზაციებმა, მათ შორის თბილისის უჯრედებმაც, გადაჭრით დაგმეს და გაემიჯნენ ოპოზიციიდან. დღეს შეიკრიბება მეოთხე რაიონის მთელი რიგი უჯრედების ჯგუფური კრება და მათ შორის სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედიც იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი უჯრედიც ერთხმად დაგმობს იმ ოპოზიციას, რომელსაც თავის [illegible] ინციატივით დაღუპვამდე სურს მიიყვანოს პარტია.

მტკიცედ და ფხიზლად ლენინის პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე!

ს. კიკაბიძე.

საფრანგეთის კომპარტია ლენინურ პარტიას იცავს

პარიზი, 13 ოქტომბ. „იუმანიტე" სწერს: „საკავშირო კომპარტიის ცეკამ დისციპლინისაკენ უნდა მოუწოდოს ოპოზიციონერებს, რომლებმაც ძალიან ადვილად დაარღვიეს დისციპლინა. ეხლა უფრო მეტად, ვინემ ოდესმე აუცილებელია საკავშირო კომპარტიის (ბ) მთლიანობა შინაურ და გარეშე დაბრკოლებათა დასაძლევად. საფრანგეთის კომპარტია ყოველთვის ლენინის პარტიასთან ერთად დაჰგმობს ფრაქციულ ბრძოლას და დაიცავს მთლიანობას.

ბაქოს ორგანიზაცია—ოპოზიციის წინააღმდეგ

ბაქო, 14 ოქტომბ. პარტიული მასა ბაქოში ფართოდ გამოეხმაურა ოპოზიციის უკანასკნელ გამოსვლას. დღეს შესდგა ქალაქის და სადგურის რაიონების ერთიანი რაიონული კრებები. ქალაქის რაიონის კრებაზე შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მირზოიანი. ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში გაკიცხულია ოპოზიციონურ ბლოკის ფრაქციული გამოსვლა. კრება მოითხოვს, რომ ცეკამ წესრიგისკენ მოუწოდოს ოპოზიციის გაკოტრებულ ბელადებს და აიძულოს ისინი დაემორჩილონ პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

გაუგებრობის გასაფანტავად

13 ოქტომბერს, საღამოს 6 ნახ. საათზე, მუშათა ახალ კლუბში მოწვეული იყო მე-4-ე რაიონის რამდენიმე კომუჯრედის გაერთიანებული კრება, სადაც ამხ. ლუკაშინმა გააკეთა მოხსენება კომპარტიის სამეურნეო პოლიტიკის შესახებ. კრებას 500-ზე მეტი ამხანაგი დაესწრო. კრების თავმჯდომარემ ამხანაგებს მოუწოდა ჩაეწერილიყვნენ სალაპარაკოთ. მსურველი არ აღმოჩნდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა. რომ „სიტყვა ამხ. ხომერიკს ეძლევაო". მე შევეკითხე თავმჯდომარეს: რომელს ხომერიკს მეთქი, მიპასუხა: თქვენაო. არ ვიცი რა მოსაზრებით და მიზნით—ვიღაცას პრეზიდიუმში (ასე გადმომცეს პრეზიდიუმის წევრებმა) ბარათი გაეგზავნა იმის შესახებ, რომ ჩემთვის სიტყვა მიეცათ (ვითომც როგორც ოპოზიციონერისათვის). მე განვაცხადე: სიტყვა არ მეთხოვია მეთქი, მაგრამ ჩემმა განცხადებამ დარბაზში გამოიწვია ირონიული სიცილი და რეპლიკა: ააა, შეშინდა, შეშინდაო.

შემოხვევამ მოიტანა და უნდა განვაცხადო, რომ მე არ ვიცი შიში რა არის, როცა ვმოქმედებ ჩემი რწმენისა და იდეის თანახმად. არასოდეს არ შემშინებია და არც შემეშინდება, მაგრამ ამავე დროს ნურას-უკაცრავათ თუ უპასუხისმგებლო ოპოზიციას არ მივსდევ და არ ვემხრობი. ჩემის ღრმა რწმენით ოპოზიციის შეხედულებები არის მავნე და დამღუპველი ჩვენი პარტიისათვის. ოპოზიციას თავისი მოქმედებით არევ-დარევა და გათიშვა შეაქვს კომპარტიის რიგებში, რაც ბოლოს და ბოლოს ახარებს ჩვენს მტრებს—მენშევიკებსა და ყველა ჯურის თეთრგვარდიელებს.

მე მთელი ჩემი არსებით წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ფრაქციების და ჯგუფების მოწყობისა პარტიაში.

ყოველგვარი ნაკლი უნდა გამოსწორდეს ჯანსაღი კრიტიკით და არა განდგომით და ცალკე ფრაქციების და ჯგუფების მოწყობით.

თვითეული პარტიის წევრი ვალდებულია მტკიცედ დაიცვას კომპარტიის რიგების მთლიანობა.

ამაში მდგომარეობს პროლეტარიატის დიქტატურის და რევოლიუციის გამარჯვების მთავარი პირობა.

ქ. ხომერიკი

პარტგანათლების საკითხები
(საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილება).

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. საკ. კომ. პარტ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მოხსენების გამო ქალაქის მუშებს შორის პარტგანმანათლებლობითი მუშაობის დაყენების შესახებ მისი იდეიური შინაარსის მიხედვით, აღნიშნა, რომ პარტგანმანათლებლო ქსელის მუშაობამ 1925—26 სამეურნეო წელში უფრო მეტად, ვიდრე წინათ, შეუწყო ხელი მუშათა პარტიულ და უპარტიო აქტივის მიერ ლენინიზმის ძირითადი დებულებების და პარტიის დირექტივების შეთვისებას, რითაც აშკარა გახდა პროლეტარიატისათვის ლენინიზმიდან გადახრის მავნებლობა და პარტიული რიგების შემჭიდროების საჭიროება მე-14 ყრილობის გადაწყვეტილებათა ნიადაგზე.

აღნიშნა რა ქსელის მუშაობის ნაკლოვანება, ცეკამ წინადადება მისცა ყველა პარტიულ კომიტეტებს, რათა [illegible] სისტემატიური ხელმძღვანელობა გაუწიონ პროპაგანდისტებს პარტიის მიმდინარე ცხოვრების, მისი პოლიტიკის, ადგილობრივი ორგანიზაციისა და მუშათა მასის ცხოვრების საკითხებზე; ზედმიწევნით მოამზადონ პროპაგანდისტები სკოლებსა, წრეებსა და დელეგატ-ქალთა კრებებში მოსამუშავებლად [illegible], სემინარებისა, კონსულტაციებისა და სხ. მოწყობის გზით; გააძლიერონ საპროპაგანდო ძალების წამოყენება მუშათა წრიდან და მათი მოწვევა საპროპაგანდო მუშაობისათვის საღამოს საბჭოთა პარტსკოლისა და სპეციალურ საპროპაგანდო კურსების საშუალებით.

აღნიშნა რა პარტგანათლების შემდეგი საფეხურის სუსტი განვითარება, ცეკამ წინადადება მისცა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს წაახალისონ და განავითარონ პარტაქტივის მიერ ლენინიზმის ძირითადი პრობლემებისა და პარტიის ცხოვრებისა და მისი პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების ღრმად დამუშავება, სემინარებისა, თვითგანვითარების წრეებისა და სხ. მოწყობის გზით; გააფართოვონ ქვედა პარტაქტივის სკოლებისა და წრეების ქსელი წარმოებებში, ცხორგანიზატორთა, ქალორგანიზატორთა, აგიტატორთა და უჯრედის ბიუროს წევრთა და მდივანთა კურსები და წრეები, მარქსისტულ-ლენინური წრეები, მიმდინარე პოლიტიკის წრეები და საღამოს საბჭოთა პარტსკოლები.

ცეკამ აუცილებელ საჭიროთ სცნო საკავშირო და ავტონომიურ განათლების სახალხო კომისარიატების მიერ მცირემცოდნეთა სკოლების ქსელის გაფართოება და მათი ისე დაყენება, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ როგორც პოლიტგანათლების, ისე მუშათა საერთო განვითარების სისტემას. გარდა ამისა, საჭიროთ იქნა ცნობილი ერთწლიან საერთო განმანათლებელ საღამოს კურსებისა, ჰასაკგადაცილებულთა მაღალი ტიპის სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებლების მქონე ქალაქებში მუშათა ფაკულტეტების ქსელის გაფართოვება.

ცეკა, აგრეთვე, საჭიროდ სთვლის პოლიტგანათლების ნორმალური სკოლის გავლისაგან იმ პარტიულ მუშებისა და მუშა-ქალთა განთავისუფლებას, რომლებიც გადიან საზოგადოებათმეცნიერებას მუშათა ფაკულტეტებსა და ჰასაკგადაცილებულთათვის მაღალი ტიპის საერთო განმანათლებელ სკოლებში.

კანტონის ჯარები შეუჩერებლად მიიწევენ წინ
აღებულია ქ. ვან-ჩანი.—უ-პეი-ფუს არმიის მე-8 და მე-25 დივიზია ტყვეთ წაიყვანეს კანტონელებმა
„შინაურ კონტრ-რევოლიუციაზე გამარჯვების შემდეგ ჩინეთის მშრომელი ხალხი უცხოელ იმპერიალისტებსაც განდევნის"

საფრანგეთს განზრახვა აქვს შეამციროს საოკუპაციო ჯარების რაოდენობა რეინის ოლქში

კანტონის მთავრობა და იმპერიალისტები

კანტონის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

პეკინი, 13 ოქტომბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა დეპეშით მიმართა კანტონის გარეშე საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელს ევგენი ჩენს და სთხოვა მას მიეცა საუბარი კანტონის საერთო მდგომარეობის და კერძოთ იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც სწარმოებს საექსპორტო-საიმპორტო საქონელზე ახალი გადასახადების შემოღების და ინგლისის საწინააღმდეგო ბოიკოტის ლიკვიდაციის გარშემო. ევგენი ჩენისაგან მიღებულია შემდეგი პასუხი:

„მუშებმა და ხალხის დანარჩენმა ჯგუფებმა, რომლებმაც ნაციონალური მოძრაობის ინტერესების გულისათვის ინგლისელების წინააღმდეგ მიმართეს ეკონომიურ იარაღს—გაკიცხვას და ბოიკოტს, ნაციონალურ მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ გადასწყვიტეს შეეწყვიტათ ბოიკოტი 10 ოქტომბერს შუადღეზე. ეს გადაწყვეტილება არ არის ჰონკონგის ხელისუფლების ან ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგი. ეს არის კანტონის დამოუკიდებელი აქტი და ემყარება ობიექტიურ ანალიზს ნაციონალური მოძრაობის ახალი მდგომარეობისას, რომელიც შექმნა ჩრდილოეთის ექსპედიციის გამარჯვებამ. რომლის ბაზას კანტონი წარმოადგენს.

ნაციონალური მოძრაობის ყველა დანარჩენი ინტერესები ამჟამად უნდა დაუქვემდებაროთ ექსპედიციის საბოლოო გამარჯვების აუცილებლობას. ჩვენმა მუშებმა შეიგნეს, რომ აუცილებელია ყოველივე იმის ლიკვიდაცია, რაც ხელს შეუშლის ექსპედიციის გამარჯვებას. ინგლისელებთან მოლაპარაკების გზით ადვილათ შევეძლო ერთგვარი დათმობის მიღწევა, ბოიკოტის მოხსნის კომპენსაციის სახით. მაგრამ, იმის გამო, რომ ეს დათმობა ბოიკოტის მოხსნას მისცემდა იაფ-ფასიანი კომპრომისის ხასიათს, ჩვენ გადავწყვიტეთ უარი გვეთქვა შემდგომ მოლაპარაკებაზე და გაბედულად დავთანხმებოდით ბოიკოტის ცალმხრივ ლიკვიდაციაზე.

დიპლომატიური წრეები პეკინში სცდებიან, როცა ლაპარაკობენ, თითქოს კანტონს პირობა დაედოს, რომ ყოველგვარ პირობებს გარეშე მოხსნიდა ბოიკოტს. ჩვენ არავითარი პირობა არ დაგვიდვია, ვინაიდან ჩვენ მოლაპარაკება არ გაგვიმართავს. ჩვენ ხელები გახსნილი გვაქვს და შეგვიძლია ყოველი ჩვენი ნაბიჯი შევუფარდოთ ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს და პასუხი გავცეთ ინგლისის პოლიტიკას და ინგლისის მოქმედებას მომავალში.

რაც შეეხება ახალ გადასახადებს, ამ შემთხვევაში, სწორად თუ ვიტყვით, გარეშე სახელმწიფოებთან მოლაპარაკება არ გვქონია. ეს არის შინაური ხასიათის გადასახადები, რომელიც უნდა განსხვავონ საბაჟო გადასახადებისაგან. ჩინეთი ყოველთვის წარმატებით ახორციელებდა თავის უფლებას ასეთი გადასახადების აკრეფაზე. მაგრამ ეს მუხლი მეორე მომართვის საგანი იქნება.

ევგენი ჩენ".

კანტონელების გამარჯვება

პეკინი, 13 ოქტომბერი. კანტონის ჯარები შევიდნენ ალყაშემორტყმულ უჩანში. კანტონელებს დანებდნენ ქალაქში დამწყვდეული უ-პეი-ფუს ჯარების მე-8 და მე-25 დივიზია. კანტონელების სამხედრო მოქმედება ციან-სიში წარმატებით მიმდინარეობს. გაზეთების ცნობით, კანტონის ჯარებმა დაიჭირეს ციანსის დედა ქალაქი ნან-ჩანი. სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა დაიხიეს ჩრდილოეთის მიმართულებით ციუ-ციანისაკენ. სუნ-ჩუან-ფანის მდგომარეობა თანდათან კრიტიკული ხდება. უ-პეი-ფუს ჯარების მე-8 და მე-25 დივიზიების დამორჩილება, რომლებიც უჩანში იყვნენ, ანთავისუფლებს კანტონის ჯარების ნაწილს; ისინი გადაყვანილი იქნებიან ციუ-ციანში.

ბრალდება ველინგტონ-კუს წინააღმდეგ

პეკინი, 13 ოქტომბერი. ჩინეთის პრესის ნაწილი ახალ პრემიერს ველინგტონ-კუს აშკარად აბრალებს ანგლოფილობას, რადგან ის პასიურად იქცეოდა ინგლისელების მიმართ, როცა მათ ყუმბარები დაუშინეს ვანსიანს; აგრეთვე—პრემიერმა გადასცა ინგლის-კონგონგშანხაის ბანკს ფონდი, რომელიც რუსეთ-აზიის ბანკში იმყოფებოდა.

ჩინეთის რევოლიუციის წლის თავი

პეკინი, 13 ოქტ. 1911 წ. ჩინეთის რევოლიუციის წლის თავი (10 ოქტომბერი) აღნიშნული იყო კანტონში დიდი დემონსტრაციებითა და მასიური მიტინგებით.

თავდასხმა საფრანგეთის სამხედრო ნავზე

ბერლინი, 14 ოქტომბ. მდინარე იანცეკიანგზე ჩინელებმა დაუშინეს ყუმბარები საფრანგეთის სამხედრო ნავს. ერთი მოკლულია და ერთიც დაჭრილი.

ტერორი პოლონეთში

კომუნისტების განცხადება

ვარშავა, 13 ოქტომბერი. ამ დღეებში პოლონეთის სეიმის კომფრაქციამ წარადგინა სეიმში განცხადება, რომლითაც მოუწოდებს სეიმს მიიღოს სასწრაფო ზომები კრაკოვის პოლიციის უმსგავსო მოქმედების წინააღმდეგ.

პოლიციის სამმართველოს ახლო მყოფ მცხოვრებლების სიტყვით, სამმართველოდან ყოველ ღამე მოისმის წამებულთა კვნესა.

საიდუმლო მკვლელობანი

ვარშავა, 13 ოქტომბერი. პოლონეთის სოც. პარტიის რაზმელის ლიუბელსკის მკვლელობის შემდეგ 11 ოქტომბერს ერთ-ერთ რესტორანში მოკლეს გროზინსკი, ისიც აგრეთვე პოლონეთის სოც. პარტიის წევრი. დღეს ნძმით დასჭრეს მუშა ხეშვა. საავადმყოფოში ხეშვამ განაცხადა, რომ მას თავს დაესხნენ პოლიტიკურ ნიადაგზე. ყველა ეს მკვლელობა და თავდასხმები ატარებენ საიდუმლო ხასიათს. გაზეთები იუწყებიან, რომ ლიუბელსკი არის პეპესოველთა მებრძოლი ორგანიზაციის ძველი წევრი, რომელმაც გამოიჩინა მემარცხენეობის ტენდენცია და დაუახლოვდა კომუნისტებს. გაზეთების აზრით, მისი მოკვლა,—ეს შურის ძიება იყო მისი ახალი ორიენტაციის გამო.

ლიუბელსკის მკვლელობის შესახებ

ვარშავა, 14 ოქტომბ. ვარშავაში პეპეესელ რაზმელის ლიუბელსკის მკვლელობასთან დაკავშირებით, პეპეესის (პოლონეთის სოც. პარტია) საოლქო კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ლიუბელსკი იყო პეპესის ურთგულესი წევრი. ლიუბელსკის მკვლელს საოლქო კომიტეტი ბანდიტს უწოდებს.

„ფინანსთა სამინისტროს დარბევა"

ვარშავა, 14 ოქტომბ. როგორც იუწყებიან, პოლონეთის ფინანსთა ახალ მინისტრს ჩეხოვს განზრახვა აქვს მოახდინოს ცვლილებები სამინისტროს ყველა საპასუხისმგებლო პოსტებზე. გადაყენებულია უკვე ხუთი თანამდებობის პირი.

სოციალ-დემოკრატების ორგანო „გაზეტა პორანნა ვარშავსკა"-ს გუშინდელ ნომერს კონფისკაცია უყვეს იმ წერილისათვის, რომელსაც ასეთი სათაური ქონდა: „ფინანსთა სამინისტროს დარბევა".

ხმებია, რომ თითქოს ფინანსთა ყოფ. მინისტრმა კლარნერმა ინახულა ბარტელი და გააფრთხილა, რომ საფინანსო აპარატს მოელის დანგრევა.

პოლონეთის არმიის ინსპექტორების თათბირი

ვარშავა, 14 ოქტომბ. დღეს ვარშავაში პილსუდსკის ხელმძღვანელობით გაიხსნა პოლონეთის არმიის ინსპექტორების თათბირი.

ომი ინგლისის ფულით

ვარშავა, 14 ოქტომბ. ჟურნალი „პოვოლნოსტ"-ი იუწყება, რომ ლვოვში მემარჯვენე სტუდენტთა მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს პროტესტს ინგლისის ფულით პოლონეთის ომში ჩათრევის ცდის წინააღმდეგ.

ქვანახშირის კრიზისი

ვარშავა, 14 ოქტომბ. ქვანახშირის უცხოეთში ზედმეტ გაზიდვის გამო, პოლონეთის სამრეწველო ცენტრები ქვანახშირის კრიზის განიცდიან.

მუშათა პარტიის კონფერენცია
სასოფლო - სამეურნეო პოლიტიკა

მარგეიტი, 14 ოქტომბ. მუშათა პარტიის 13 ოქტომბრის სხდომაზე, რომელიც 5 საათი გაგრძელდა, სწარმოებდა კამათი მუშათა პარტიის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის საკითხის გარშემო. ასეთი დიდი ყურადღება მოხსენებისადმი გამოწვეული იყო მაკდონალდის დაჟინებითი მოთხოვნით, რომელიც ამ საკითხს აძლევს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ვინაიდან ეშინია ლოიდ-ჯორჯის ახალი სასოფლო - სამეურნეო პოლიტიკის წყალობით ლიბერალების გამარჯვების. აღმასკომის პროგრამა, რომელიც გამოცემულია 36 გვერდიანი წიგნაკად, შეიცავს შემდეგ დებულებებს: ყველა სასოფლო მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ნაკვეთები გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში, როგორც კი მიღწეულ იქნება შეთანხმება მიწის მფლობელთა კომპენსაციის შესახებ, მაგრამ არა უგვიანეს კანონის მიერ დაწესებულ სპეციალური ვადისა; გამოსასყიდი ფასი, რომელიც მიწის მფლობელთ მიეცემა, გამოიანგარიშება იმ შემოსავლიდან, რომლის მიხედვითაც წესდება სა შემოსავლო გადასახადი; სახელმწიფოს საკუთრებაში გადასული მიწები საგრაფოების აგრარულ კომიტეტების გამგებლობაში გადადის, ეს კომიტეტები შესდგება ფერმერებისა და სასოფლო - სამეურნეო მუშების წარმომადგენლებისაგან თანასწორი რიცხვით და აგრეთვე ექსპერტებისაგან, რომელთაც ნიშნავს მიწათ - მოქმედების სამინისტრო; აგრარული კომიტეტები სცემენ იჯარით მიწის ნაკვეთებს, აწყობენ საჩვენებელ მეურნეობებს, თვალყურს ადევნებენ ფერმების მუშაობას და სხვ. ინგლისში ხორბლის შემოტანას აწარმოებს „ცენტრალური ორგანო". ხორბლის ფასი უნდა უახლოვდებოდეს მსოფლიო საბაზრო ფასებს. პურით და სხვა სურსათით ვაჭრობას აწესრიგებს და კონტროლს უწევს ცენტრალური სასურსათო კომიტეტი.

მთელი რიგი მემარცხენე დელეგატები გამოვიდნენ მიწათმფლობელთა კომპენსაციის წინააღმდეგ. ზოგიერთები მოითხოვდნენ მცირე გამოსაყიდი ფასის დაწესებას ან განსხვავების გატარებას მემკვიდრეობით მიღებულ და ყიდვით შეძენილ მიწის ნაკვეთებს შორის. სხვა დელეგატები აკრიტიკებდნენ მოხსენების ცალკე დეტალებს. დაბოლოს კონფერენციამ მაინც მოიწონა აღმასკომის მოხსენება.

„დეილი ჰერალდის მოღვაწეობა

სხდომის დასასრულს კონფერენცია მცირე ხნით შეჩერდა მუშათა პარტიის ორგანოს „დეილი ჰერალდის" მოღვაწეობაზე.

ამ საკითხის შესახებ შეტანილი რეზოლიუციები და შესწორებანი აზრთა დიდ წინააღმდეგობას აშკარავებენ. სულ შეტანილ იქნა 5 რეზოლიუცია.

ყველა აღნიშნული რეზოლიუციები მოხსნა საორგანიზაციო კომიტეტმა იმ საბაბით, რომ არ იყო დაცული ფორმალური მხარეები.

კამათის დროს მემაღაროების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დასვა კითხვა,—თუ რატომ „დეილი ჰერალდმა", რომელმაც 1923 წ. არ დაბეჭდა დერგამის ზოგიერთ სარაიონო კომიტეტების მოწოდება ადგილობრივი გაფიცვის შესახებ, ამას წინად დაბეჭდა მაღაროების მეპატრონეების მოწოდება. რკინისგზელთა ეროვნული კავშირის გენერალურმა მდივანმა კრემპმა უპასუხა, რომ „დეილი ჰერალდს" არ შეუძლია გაავრცელოს კავშირის შიგნი არსებულ ოპოზიციონურ სექციების თვალსაზრისი.

პოლიტ შეეცადა დაესვა საკითხი, თუ „დეილი ჰერალდმა" რატომ არ დაბეჭდა კომპარტიის მოწოდება მემაღაროეთა ბრძოლის შესახებ, მაგრამ—უნაყოფოდ.

დაბოლოს კონფერენციამ მიიღო ზომიერი რეზოლიუცია, რომელიც ესალმება „დეილი ჰერალდს" და მოითხოვს გაზეთის ტეხნიკური საქმის გაუმჯობესებას.

ჩემბერლენისა და კრასინის შეხვედრა

ლონდონი, 13 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 11 ოქტომბერს კრასინის საუბარს ჩემბერლენთან ჰქონდა საზოგადო ხასიათი და არ გამოუწვევია რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არსებულ მდგომარეობაში. როდის მოხდა ხელახალი შეხვედრა ჯერ გამოურკვეველია.

გაფიცვა ინგლისში
მემაღაროეთა აღმასკომის სხდომა

ლონდონი, 14 ოქტომბ. დღეს შესდგა მემაღაროეთა აღმასკომის სხდომა გარდაწყვეტილების მისაღებად იმ რეზოლიუციის გამო, რომელიც სადელეგატო კონფერენციამ მიიღო წარსულ კვირას. ეს რეზოლიუცია წინადადებას იძლეოდა, რომ მაღაროებიდან მოხსნილიყვნენ მცველი მუშები.

ინგლისის საიმპერიო კონფერენცია

ლონდონი, 14 ოქტომბ. სამშაბათს გაიხსნება საიმპერიო კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილი იქნებიან ყველა დომინიონები და ინდოეთი. შესაძლოდ იქმნა ცნობილი, რომ კონფერენცია მოწვეულ იქმნება ყოველ 2—3 წლის განმავლობაში. ბოლდუინი ჩამოსულ პრემიერებს შეხვდება სიტყვით, რომელშიაც მოხაზული იქნება დელეგატების მუშაობის მიმართულება. მაგრამ პრემიერებს საშუალება ექნებათ აღძრან ისეთი საკითხები, რომელთა განხილვას ისინი სცნობენ სასურველად.

კონფერენციის პირველ დღეს შემუშავდება უფრო დაწვრილებითი პროგრამა.

კონფერენციის მრავალი წევრი უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევს ეკონომიურ საკითხებს, ვიდრე სხვა საკითხებს, რომელნიც განხილული იქნებიან დომინიონებისა და კოლონიების გარეშე საქმეთა მინისტრების განცხადებათა შემდეგ.

ეკონომიურ საკითხებს შორის განზრახულია განხილულ იქმნას: ოკეანეს იქითა მმართველობა, იმპერიის შინაგანი ვაჭრობა, ახალი მიმოსვლის საშუალება [illegible] და სხვ.

მექრთამე მინისტრის გასამართლება

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი. ნიუ-იორკის შტატის სასამართლოს, რომელმაც განიხილა დომერტის და მილერის საქმე, არავითარი განაჩენი არ გამოუტანია.

დომერტი იყო გარდინგის კაბინეტის იუსტიციის მინისტრი, ხოლო მილერი თავმჯდომარეობდა მთავრობის კომისიას, რომელიც განაგებდა ქონების ჩამორთმევას იმ სახელმწიფოთა ქვეშევრდომებისათვის, რომლებთანაც შეერთებული შტატები ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა. მათ აბრალებდნენ მექრთამეობას, რასაც ადგილი ჰქონდა გერმანიის საზოგადოების 7 მილიონ დოლარად ღირებულ ქონების დაბრუნების დროს.

საზოგადოებრივი აზრი დამნაშავედ სთვლის დომერტის და მილერს, რომლებმაც, როგორც სჩანს მოახერხეს მათ მამხილებელ დოკუმენტების მოსპობა.

საოკუპაციო ჯარების შემცირება

ბერლინი, 14 ოქტომბერი. საფრანგეთის რეინის არმიის მთავარმა შტაბმა წარადგინა გეგმა, რომლის მიხედვით საოკუპაციო ძალები ერთი კორპუსით უნდა შემცირდეს. ამ გეგმის თანახმად ორი კორპუსი რჩება გერმანიის ტერიტორიაზე და გაყვანილ იქნება კიდევ ერთი ცხენოსანი დივიზია..

მთავრობის კრიზისი
სამხრეთ სლავიაში

პარიზი, 14 ოქტომბერი. უზუნოვიჩის კაბინეტმა მეფეს მისცა განცხადება გადადგომის შესახებ. მთავრობის კრიზისი გამოწვეულია იმ პოზიციით, რომელიც რადიჩმა დაიჭირა.

სარეპარაციო კომისია

ბერლინი, 14 ოქტომბერი. სარეპარაციო კომისიის ქვე-კომისიას კრება ექნება რომში საერთაშორისო სავაჭრო პალატის დელეგატების თანდასწრებით. მოსალოდნელია თანხების გადაგზავნის არსებული წესების შეცვლა.

რადიკალების კონგრესი

პარიზი, 14 ოქტომბერი. დღეს ბორდოში გაიხსნება რადიკალებისა და რადიკალ - სოციალისტების კონგრესი. კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა ერიო, სარო და პერიე. ექსტრემისტების გალაშქრებითა გამო ერიო უკან დაბრუნდა.

პუანკარეს პესიმიზმი

ბერლინი, 14 ოქტომბ. პუანკარე ფიქრობს, რომ უიმედოა საფრანგეთ-ამერიკის ხელშეკრულების რატიფიკაციის ცდა, და რომ დეპუტატთა პალატა უარჰყოფს მთელ ხელშეკრულებას. როცა იგი შეტანილი იქნება მის განსახილველად.

უილაჯო მთავრობა
ფინეთის მთავრობა გადადგომას აპირებს

ბერლინი, 14 ოქტომბერი. რადგან ფინეთის მთავრობამ ვერ შესძლო სასამართლო კანონპროექტის გატარება, ის, ალბად მალე გადადგება.

საერთაშორისო ტრესტები

რომი, 14 ოქტომბ. „პოპოლო დ'იტალია" მოათავსა საყურადღებო წერილი საერთაშორისო ქიმიურ, მინერალური და საფეიქრო ტრესტის შესაქმნელად წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ.

გაზეთს მიზანშეწონილად და უდროოდ მიაჩნია ამის განხორციელება ამჟამად, რადგან მომავალ გაზაფხულს გაიხსნება საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია ერთა ლიგის ხელმძღვანელობით. გაზეთი ფიქრობს, რომ ეკონომიური მშვიდობიანობა არ უნდა გადაიქცეს მსხვილ მრეწველთა მშვიდობიანობად.

რომი, 14 ოქტომბ. ნეაპოლის, სიცილიის და კომერციულმა ბანკმა შეადგინეს კონსორციუმი 500 მილ. ლირის ძირითადი თანხით ბირჟაზე სამრეწველო და კომერციულ ღირებულებათა ზედმეტი გატანისათვის ხელის შესაშლელად.

პირველი შედეგები

ლონდონი, 14 ოქტომბ. ლონდონის ლითონის მასალის ბირჟაზე კვლავ იზრდება ფასები სპილენძზე. ფასების გადიდებამ ორი დღის განმავლობაში 25 შილინგამდე მიაღწია ტონაზე.

ფასების აწევას მიაწერენ იმას, რომ აქ დაიწყეს სპილენძის სპეკულიანტური შესყიდვა იმის შემდეგ, როცა მიიღეს ცნობა, რომ შტატებში დაარსდა მსოფლიო გაერთიანება სპილენძის ფასების სტაბილიზაციისათვის.

კომუნისტების ეშინიათ

ბერლინი, 14 ოქტომბერი. პარასკევს მოსალოდნელია უფრო ძლიერი თავდასხმა და ობსტრუქციები კომუნისტების მხრივ, როცა პრუსიის ლანდტაგში მესამედ იქნება წაკითხული ჰოჰენცოლერნებისადმი დათმობა. ლანდტაგის თავმჯდომარემ გასცა ბრძანება განსაკუთრებულ გამაფრთხილებელი ზომების მიღების შესახებ.

კომუნალური არჩევნები შვეციაში

სტოკჰოლმი, 13 ოქტომბერი. შვეციის ტელეგრაფის სააგენტო იტყობინება, რომ შვეციის ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები დამთავრდა. სოციალისტებმა მოიმატეს ადგილების რიცხვი. კომუნისტებმა 14 ადგილი მიიღეს.

რუმინეთის ეროვნულ-გლეხური პარტია

ვენა, 13 ოქტომბ. რუმინეთის ორი პარტიის კონგრესმა — ეროვნული პარტიის, რომელიც წარმოადგენს რუმინეთის ბურჟუაზიასა და კულაკებს და გლეხურ პარტიას, რომელიც წარმოადგენს ქალაქის წვრილ - ბურჟუაზიულ ელემენტებს და საშუალო გლეხობას, დაადგინა გაერთიანდეს ორივე ეს პარტია. გაერთიანებულ პარტიას დაერქმევა „ეროვნული გლეხური პარტია". ამ პარტიების გაერთიანება მიზნად ისახავს შექმნას ახალი ოპოზიციონური პარტია, რომელიც საჭიროების დროს შესძლებს ჩაუდგეს ხელისუფლებას სათავეში და იქნეს ტახტის ერთგული.

სხვადასხვა

საბჭოთა საოპერო დასი იაპონიაში

ტოკიო, 14 ოქტომბერი. საბჭოთა საოპერო დასის გასტროლებს ოსაკაში უკანასკნელი დღეების განმავლობაში დიდძალი ხალხი ესწრება. ყოველ გასტროლზე თეატრი სავსეა ხალხით. დასი დიდი პოპულიარობით სარგებლობს იაპონიაში და იძულებულია განაგრძოს თავის გასტროლები კიდევ რამოდენიმე დღით.

გადაფრენა მარსელ-მადაგასკარი

პარიზი, 14 ოქტომბერი. მარსელიდან მადაგასკარში გადაფრენის ცდის დროს—საფრანგეთის ორი სამხედრო ჰიდროპლანი იძულებული გახდა ჩამოფრენილიყო ზღვაზე ტანჟერის მახლობლად.

თეთრგვარდიელთა ბანაკში

პარიზი, 14 ოქტომბერი. [illegible] იქნა რუსული ენის და სამართლის მცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც თავის დროზე მოხსნილ [illegible], როგორც რუსული ენის სკოლა და რომელიც ამ სახით იარსება 1922 წლამდე. [illegible] შემდეგ ზოგიერთი საბჭოთა პროფესორი, მათ შორის პროფესორი ივანოვი, საბჭოთა [illegible] ჩინეთის საქმეთა მდივანი, დაითხოვეს ინსტიტუტიდან, ხოლო თეთრგვარდიელები, [illegible] ბრანდერი და სხვები ახლად მიიწვიეს ინსტიტუტში მასწავლებლად.

აეროპლანის ფაბრიკა ოსმალეთში

ბერლინი, 14 ოქტ. კეისარიეში გახსნილია ოსმალეთის პირველი ფაბრიკა იუნკერსის ტიპის აეროპლანების დასამზადებლად.

ემიგრანტების გადასახლება

ბერლინი, 14 ოქტ. გასული 6 თვის განმავლობაში შეერთებული შტატების მთავრობამ გადაასახლა [illegible] 7.000 იმიგრანტი, უმთავრესად მექსიკის საზღვრებისაკენ.

საგასტროლოდ ამერიკაში

ლონდონი, 13 ოქტომბერი. პარიზიდან მიღებული ცნობით რუმინიის დედოფალი, პრინცი ნიკოლოზი და პრინცესა ილიანა გუშინ შერბურგზე გავლით შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ.

გეომეტრების საერთაშორისო კონგრესი

პარიზი, 14 ოქტ. ხვალ ლონდონში გაიხსნება გეომეტრ-ექსპერტების საერთაშორისო კონგრესი. კონგრესზე მონაწილეობას იღებს 250 დელეგატი, რომელნიც 20 ერის წარმომადგენელნი არიან.

ლეგიონერების კონგრესი

პარიზი, 14 ოქტ. ამერიკის ლეგიონი პარიზში 1927 წელში იწვევს ლეგიონერების მორიგ კონგრესს. კონგრესზე დასასწრებლად პარიზში ჩამოვა 40 000 ლეგიონერი.

შანტილიის კოშკის გაძარცვა

პარიზი, 12 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ 12 ოქტომბერს, ღამით ბოროტგამზრახველები შეიპარნენ შანტილიის კოშკის დარბაზში, სადაც ძვირფასი ნივთები ინახება; ბოროტგამზრახველებმა გაიტაცეს დიდძალი ძვირფასი ნივთები, მათ შორის ცნობილი „ვარდისფერი ბრილიანტი", რომელიც თავის დროზე 1 მილ. ფრანკად შეაფასეს.

უმუშევრობის ნიადაგზე

პარიზი, 13 ოქტომბერი. ორანიენბურგში, ბერლინის მახლობლად, 16 წლის უმუშევარმა ჭაბუკმა, გაძარცვა და შემდეგ მოკლა 76 წლის ბერმა, მისი 66 წლის ცოლი და 38 წლის ქალიშვილი.

მკვლელი დააპატიმრა პოლიციამ.

უკანასკნელი ცნობები

ბელგიის სოციალისტების დამარცხება

პარიზი, 13 ოქტომბერი. ბელგიიდან მიღებული ცნობები ადასტურებენ, რომ არჩევნებში დამარცხდნენ კომუნალური სოციალისტები. ბელგიის კომპარტიამ, რომელმაც 60 კომუნაში წარმოაყენა კანდიდატები, 70.000 ხმა შეაგროვა. სულ კომუნარების საბჭოებში არჩეულია 25 კომუნისტი.

კომუნისტების დევნა პოლონეთში

ვარშავა, 13 ოქტომბერი. გაზეთები იუწყებიან, რომ ვარშავაში და პროვინციებში ადგილი აქვს კომუნისტების მასიურ დაპატიმრებას.

ერთი გაზეთის ცნობით, პოლონეთის პოლიციამ თითქოს აღმოაჩინა რევოლიუციონური ლიტერატურის არალეგალური საწყობი.

დახმარება უმუშევართ

ბერლინი, 1 ოქტ. პრუსიის ლანდტაგმა დაამტკიცა ცენტრის კანონპროექტი 25 მილ. მარკის გადადების შესახებ უმუშევართათვის სასურსათო დახმარების აღმოსაჩენად.

მემარცხენე ბლოკის დაშლა

პარიზი, 14 ოქტომბერი. სოციალისტების ადმინისტრატიული ბიუროს სხდომის შემდეგ რენოდელმა განაცხადა, რომ ის სტოვებს გაზეთ „კოტიდიენის" პოლიტიკურ რედაქტორობას.

ქურდების მუზეუმი

ბერლინი. 14 ოქტომბერი. განზრახულია ბერლინში მუდმივი საპოლიციო მუზეუმის გახსნა. მუზეუმში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა არგენტინამ, ჰოლანდიამ და ეგვიპტემ.

ხანძარი გემზე

ბათომი, 14 ოქტ. „სოვტორგფლოტის" მიერ მიღებულ ცნობების თანახმად, ამ დღეებში ბათომიდან გასულ გემს „დორუს"-ს, რომელსაც ოსმალეთში 350.000 ბიდონი ნავთი მიჰქონდა, კონსტანტინეპოლის ნაპირებთან გაუჩნდა ცეცხლი. გემი დაიწვა.

კალიუმის მადანი

ლენინგრადი, 14 ოქტომბერი. გეოლოგიურ კომიტეტში მიღებულია ცნობები შელიკანის გამომკვლევ პარტიის მუშაობის შესახებ. კომისიამ, რომელიც გეოლოგ პრეობრაჟენსკის ხელმძღვანელობით მუშაობდა აღმოაჩინა კალიუმის მადანი 6 კვ. კილომეტ. სივრცეზე. კალიუმის მარაგი დაახლოვებით უდრის 68 მლ. ტონას.

სასჯელი ყალბი ფულების მკეთებლებს

ბერლინი, 14 ოქტომბერი. უნგრეთის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი უნგრელ ყალბი ფულის მკეთებელთა საქმეზე. ვინდიშგრეცს მიუსაჯეს ოთხი წლის ციხე და პოლიციის უფროსს ნადოშის სამნახევარი წლის ციხე ოთხის მაგიერ.

განთავისუფლებულ უჩანში

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი. ხანკოუდან მიღებულ ცნობების თანახმად, უ-პეი-ფუს გარნიზონი უჩანში შეუერთდა ქალაქში შემოსულ კანტონის ჯარებს.

სიძვირე ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 14 ოქტომბერი. 13 ოქტომბერს პრაღაში შესდგა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის მიერ მოწყობილი მასიური საპროტესტო მიტინგი ცხოვრების გაძვირების, გადასახადების სიდიდისა და სპეკულიაციის წინააღმდეგ.

სპარსეთის ელჩის სიკვდილი

ბერლინი, 14 ოქტომბერი. ნიუ-იორკში გარდაიცვალა სპარსეთის ელჩი [illegible], რომელიც გადმოვარდა კლუბის მე-17 სართულიდან.

ელჩის გადმოვარდნის მიზეზები საიდუმლოებითაა მოცული.

ინგლისის მთავრობის უარყოფა

ლონდონი, 14 ოქტომბერი. ინგლისის მთავრობა ოფიციალურად უარყოფს კუკის განცხადებას, რომ მთავრობას განზრახული ჰქონდა ცენტრალურ ინგლისში სამხედრო წესების შემოღება.

ლიბერალების ზეგავლენით

ვენა, 14 ოქტომბერი. რუმინეთის გაზეთი „ლუპტა" იუწყება, რომ ლიბერალების ბელადმა ბრატიანუმ შესძლო ისეთი ძლიერი გავლენა მოეხდინა ავერესკუს მთავრობაზე, რომ მან გადასწყვიტა არ წარადგინოს იტალია-რუმინეთის ხელშეკრულება რატიფიკაციისათვის, სანამ არ მოხდება ბესარაბიის ოქმის რატიფიკაცია.

სანაოსნო კავშირი ჩინეთთან

ტოკიო, 14 ოქტომბერი. საგზაო სამინისტრომ შეიტანა მომავალი წლის ბიუჯეტში საჭირო მუხლი, რომლის ძალითაც სანაოსნო კომპანიას „ნაპიონიუზენ კაისია" მიეცემა სუბსიდია ოდესა-ოსაკას შორის სანაოსნო მიმოსვლის დასამყარებლად.

რაკოვსკი ბრიანთან

პარიზი, 14 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ დღეს ამხ. რაკოვსკი მიიღო ბრიანმა.

ინგლისის პარლამენტის მოწვევა

ლონდონი, 14 ოქტომბერი. 28 ოქტომბრისათვის მოწვეულია ინგლისის პარლამენტი, რომელმაც უნდა გაუგრძელოს მთავრობას საგანგებო უფლებანი.

მისალმება ბულგარეთის ახკომკავშირს

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. ბულგარეთში თეთრი ტერორის გაძლიერების და ახკომკავშირელებისადმი მხეცური დევნის გამო, ახკომკავშირის საკავშირო ცეკამ მისალმებით მიმართა ბულგარეთის მებრძოლ ახალგაზრდობას.

საკო და ვანცეტის საქმე

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი.. ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობამ დეტროიტში გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს საკოს და ვანცეტის საქმის გადასინჯვას.

[illegible]

ბერლინი, 13 ოქტ. გერმანიის გაზეთების ცნობით, ერთი ტონა ქვანახშირის ფასი ლონდონში უდრის 85 შილინგს (42 მან.). გაფიცვამდე ერთი ტონა ქვანახშირი ლონდონში ღირდა 45 შილინგი.

რეინლანდის ოკუპაციის გარშემო

პარიზი, 13 ოქტ. პარიზის გაზეთი „ექსელსიორი" იუწყება, რომ რეინის საოკუპაციო ჯარების უფროსი გენერალი გიომა დაინტერესებულ მინისტრებთან ერთად იხილავს რეინის ოლქის საოკუპაციო ჯარების შემცირების საკითხს, რაც გამოწვეულია საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვებით. „იუმანიტე"-ს ცნობის თანახმად ანალოგიური თათბირი სწარმოებს ბერლინშიაც.

საბჭოთა კავშირში
რუსეთი

სოფლის მეურნეობის რუკა

ლენინგრადი, 14 ოქტ. აგრონომიულმა ინსტიტუტმა გამოუშვა საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის პირველი რუკა.

განქორწინების შესახებ

მოსკოვი, 14 ოქტ. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა აუცილებელ საჭიროებად სცნო, რომ ერთიერთ თანხმობით განქორწინების [illegible] განცხადება განქორწინების შესახებ შეტანილ იქნას მმაჩის ორგანოში ერთ-ერთი განმცხადებელთაგანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ეს დადგენილება დასამტკიცებლად შეტანილი იქნება საკავშირო ცაკის ახლო სესიაზე.

პროლეტარული სტუდენტობის ცენ.-ბიუროს პლენუმი

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. პროლეტარულ სტუდენტობის ცენტრალურ ბიუროს პლენუმმა აღნიშნა იმ საფრთხის თავიდან აშორების აუცილებლობა, რომელიც მოსალოდნელია პროლეტარული სტუდენტობის ჩამოშორებით მუშათა კლასისაგან. საწარმოო პრაქტიკას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

აუკრეფელი საპაიო თანხა

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. ცენტროსოიუზის ცნობის მიხედვით კოოპერაციის აუკრეფელი საპაიო თანხის რაოდენობა მთელ საბჭოთა კავშირში უდრის 15 მილიონ მანეთს. საპაიო გადასახადის მტკიცე მინიმუმი დაწესებულია 5 მანეთი. ღარიბებს ეძლევა შეღავათი საპაიო გადასახადის შეტანაში.

იტალიის მუშათა დელეგაცია

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. 13 ოქტომბერს მოსკოვიდან უკრაინაში გაემგზავრა იტალიის მუშათა დელეგაცია.

შეღავათიანი სამგზავრო ტარიფი

მოსკოვი, 14 ოქტ. სატარიფო კომიტეტმა კიდევ ერთის წლით გააგრძელა შეღავათიან სამგზავრო ტარიფის მოქმედების ვადა, რომლის მიხედვით 35 პროც. ეთიცხება მგზავრობაში მუშაობის ადგილზე მიმავალ სასოფლო-სამეურნეო და საღმშენებლო მუშებს. შეღავათიანი ტარიფი არ ვრცელდება სტყეო და ტორფის მუშებზე. აგრეთვე იმ მუშებზედაც, რომლებიც მუშაობის ადგილიდან სამშობლოში ბრუნდებიან.

ზედმეტი სამუშაო

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. შრომის სახალხო კომისარიატის ახსნა-განმარტების თანახმად ზედმეტი სამუშაოზე ნებართვის გაცემა დასაშვებია არა საერთო ბალანსის შედგენის, არამედ წლიური ბალანსის შედგენის დროს.

აღმოსავლეთ პრუსიის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაცია

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. აღმოსავლეთ პრუსიის სავაჭრო - სამრეწველო დელეგაციამ უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში დაათვალიერა მოსკოვის დაწესებულებანი და ფაბრიკა-ქარხნები. დელეგატების სიტყვით, საბჭოთა დაწესებულებებთან მოლაპარაკება მათთვის საინტერესო საკითხებზე წარმატებით მიმდინარეობს.

უფასო შრომა

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. საკავშირო პროფკავშირთა საბჭომ დაუშვებლად სცნო ყოველგვარი უფასო შრომა, რა სახითაც არ უნდა იყოს, თუ გინდ მოწაფეობის დროსაც.

კერძო კაპიტალი საბჭ. კავშირის ვაჭრობაში

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება კერძო კაპიტალის შესახებ საბჭოთა კავშირში. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ხდება თანდათანი შევიწროვება კერძო ვაჭრობის. კერძო კაპიტალი ცდილობს შექმნას საწარმოვო ბაზა შინამრეწველობაში. კერძო კაპიტალის დეზორგანიზატორული როლი ყველაზე მეტად მოსჩანს სოფლის ბაზარზე. მთავარი ღონისძიება მაღალი ფასების წინააღმდეგ ბრძოლაში არის ბაზრის ავსება იმ საქონლით, რაც მას უმთავრესად აკლია. კერძო კაპიტალის და მოგების დაგროვების რაოდენობა ჩაყენებულ უნდა იქნეს ნორმალურ ჩარჩოებში.

ნავთის მრეწველობა

ნავთის პროდუქტების გატანა

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. ნავთის პროდუქტების გადამზიდავმა ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა ნავთის სინდიკატს, რათა გადასინჯოს ნავთის პროდუქტების გადაზიდვის პროგრამა და შეუთანხმოს იგი ვოლგის სახელმწ. ზღვაოსნობის სატრანსპორტო საშუალებებს.

„აზნეფტის" ტრესტის მიღწევანი

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა ზედნადები ხარჯების შემამცირებელმა ცენტრალურმა კომისიამ აღნიშნა, რომ „აზნეფტის" ტრესტს დიდი მიღწევები აქვს წარმოების რაციონალიზაციის დარგში რაციონალიზაციის შედეგად ტრესტმა მიიღო 10 მილ. მან. მომგებიანობა ყოველწლიურად. კომისიამ წინადადება მისცა ტრესტს, რათა კვლავ განაგრძოს მუშაობა რაციონალიზაციისათვის.

ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან
საზ. „ძირს წ.-კ. უცოდინარობა"-ს ცენტრალურ საბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. საზ. „ძირს წ.-კ. უცოდინარობა"-ს ცენტრალურ საბჭოს ახლახან დასრულებულმა მე-2 პლენუმმა დიდი ყურადღება მიაქცია პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ წამოყენებულ საკითხებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა, სოფლად მიწათსარგებლობის კულტურულ ფორმების შემოღების და სხვ. დარგებში.

განსაკუთრებით დიდ მიღწევას პლენუმის მუშაობაში წარმოადგენს უფრო გარკვეული ფორმების შემუშავება ლიკპუნქტებში წ.-კ. უცოდინარ მოზარდთა და ჰასაკგადაცილებულთა ჩასაბმელად. რაც გამოიხატა წ.-კ. უცოდინარ მოზარდთა და ჰასაკგადაცილებულთა ლიკპუნქტებსა და სკოლებთან საწარმოო სახელოსნოების მოწყობაში.

პლენუმმა საჭიროთ სცნო სასწავლო პროგრამაში სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებელ პრაქტიკულ ცოდნის, ხელოსნობისა და რადიოს გარკვეული შესწავლის შეტანა.

რკინის და მილების მიწოდება

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. შესდგა საკავშირო ლითონის სინდიკატისა და ნავთის ტრესტების წარმომადგენელთა თათბირი ხელშეკრულების დასადებათ რკინისა და მილების მიწოდების შესახებ 1926-27 წლისათვის.

როგორც ცნობილია, ხელშეკრულების დადებას დღემდე აბრკოლებდა, უმთავრესად, ანგარიშების გასწორების პირობები და პრეტენზიები ძველი ხელშეკრულებების მიხედვით.

თათბირმა წინადადება მისცა სინდიკატებსა და ტრესტებს, რომ მიიღონ ანგარიშის გასწორების შემდეგი პირობა: ავანსები კვარტალების მიხედვით, 10% ნაღდი, 15% თამასუქებით; 10% ნაღდი წინააღმდეგ დუბლიკატებისა, 65% თამასუქებით 90 დღის ვადით, საკავშირო ლითონის სინდიკატის ანგარიშში. რაც შეეხება ვალდებულებებს ძველი ხელშეკრულებების მიხედვით. თათბირმა წინადადება მისცა ლითონის ტრესტებს, რომ შეასრულონ ეს ვალდებულებანი და ჩააბარონ ლითონი.

ორთავე მხარეს მიეცა წინადადება ურთიერთ პრეტენზიების გაუქმების შესახებ (ხელშეკრულებიდან გამომდინარე ჯარიმები და სხ.)

ნავთის ბიუროს და მთაელითონის ცნობით, „გროზნეფტმა" და „ემბანეფტმა" უკვე დასდვეს სათანადო ხელშეკრულებანი ლითონის ტრესტთან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში
აზერბეიჯანი

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და ცეკას მდივანი გეოქჩაიში

გეოქჩაი, 14 ოქტომბერი. გეოქჩაიში ჩამოვიდნენ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე მუსაბეკოვი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ყარაევი. ჩამოსულებმა მონაწილეობა მიიღეს სამაზრო აღმასკომის პლენუმში, რის შემდეგაც გაეცნენ ადგილობრივ დაწესებულებათა, განსაკუთრებით განათლებისა და სამეურნეო დაწესებულებათა მუშაობას.

გზის შეკეთება

გეოქჩაი, 14 ოქტომბერი. ახლო ხანში დამთავრდება აღდაშ-ლიაქის და უჯარა-გეოქჩაის შარა გზების შეკეთება.

„ნახევარ მთვარის" საზოგადოება

გეოქჩაი, 14 ოქტომბერი. გეოქჩაის მაზრაში შეუდგნენ საზოგადოება „ნახევარ მთვარის" მოწყობას. უკვე მოწყობილია 2 უჯრედი დაახლოვებით 100 წევრის რაოდენობით.

სომხეთი

საქმე მუშკორის ცემის შესახებ

ლენინაკანი, 14 ოქტომბერი. გუშინ სახალხო სასამართლოში ირჩეოდა საქმე მუშკორ ლორეციანის ცემის შესახებ.

სასამართლო ძიებით დამტკიცდა, რომ ბრალდებული არნო სარქიონი არ იცნობდა ლორეციანს და ამას სილა გაარტყა იმიტომ, რომ ლორეციანმა შეაგინა მას. სასამართლომ სარქიონი გაამართლა.

ვენერიული დისპანსერი

ლენინაკანი, 14 ოქტომბერი. ლენინაკანის მაზრაში ვენერიულ დისპანსერის მოსაწყობათ გადადებულია 30.000 მანეთი.

დისპანსერს გადაეცემა ყოფილ ოფიცერთა კრების შენობა, რომელსაც კაპიტალური შეკეთება სჭირია.

ამხ. კუიბიშევის სახელობის პარტსკოლაში

ლენინაკანი, 14 ოქტომბერი ამხ. კუიბიშევის სახელობის პარტიულ სკოლაში მეცადინეობა უკვე დაიწყო. სულ მიღებულია 35 კაცი, ამათგან ლენინაკანის მაზრიდან—17 კაცი, ახალ-ბაიაზეთის—10 კაცი, ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკიდან—5 და წითელ არმიიდან (დემობილიზაცია ქმნილი) 3 კაცი.

მოსავლის დღესასწაული

ლენინაკანი, 14 ოქტომბერი. ლენინაკანის მაზრაში მოსავლის დღესასწაულის ჩასატარებლად სამზადისი მუშაობა სწარმოებს. მოწყობილი იქნება სასოფლო-სამეურნეო გამოფენები. გამოფენებზე გლეხთა გაზეთი „მაჩკალი" თავის კუთხეებს გახსნის.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ტკბილი მეზობელი

(ნატანები, გურია)

თუ კოოპერატივი კარგათ ი ვაჭრების ზედს ძალლი არ დაპყ ნატანებელ ტომ, რასაკვირველია, რომ კოოპ არა რად ვაჭრობს, რომ ნოქარი მოხვი ძი უდიერათ ეპყრობა, რომ კოოპერატივებელს ო ხშირად დაკეტილია და სხვა. არაფერი მსგავსი. ნატანების კოოპერატივი ყველა ამის იდან თავისუფალია.

პირიქით, იმდენად იაფად ვაჭრობს აქაური კოოპერატივი, რომ ხალხი ბუზივით ეხვევა. მაშ რა აქვს აქ გასახარელი კერძო ვაჭარს? რა და ის, რაც მომხმარებელს ახარებს. მიდის, ვსთქვათ, ვაჭარი კოოპერატივში. ყიდულობს პაპიროსებს —„ფედერაციის", ისიც ათ კოლოფს. გაბრუნდება თავის დუქანში და შემოაწყობს თაროებზე საქონელს.

ამის შემდეგ ცოტა ხანს გაივლ-გამოივლის. თითოდე მუშტარს გაისტუმრებს, შემდეგ ისევ კოოპერატივისაკენ გარბის და კიდევ მიაქვს ახალი წყება პაპიროსები კოოპერატივიდან თავის დუქანში.

ასე ფუტკარივით ზრუნავს ნატანებელი ვაჭარი გათენებიდან დაღამებამდე და უქმადაც არ ეკარგება შრომა.—ერთი კოლოფი „ფედერაცია" კოოპერატივში ღირს 11 კაპ., კერძო ვაჭართან 15 კაპეიკი. ამნაირად თითო მგზავრობაზე კოოპერატივში, რომელიც სხვათა შორის ორი ფეხის გადადგმაზეა კერძო ვაჭარის დუქნიდან, ვაჭარი იღებს ხალას მოგებას 40 კაპ.

რა გარანტიაა, რომ ასევე არ აცოცებს კოოპერატივიდან ვაჭარი სხვა საქონელსაც. რაღა ობაა ასეთ მდგომარეობას? არც სამგზავრო ეხარჯება ვაჭრს საქონლის ჩამოსატანად, არც საქონლის გადმოზიდვის ფული და არც დრო.

ან მეტი, კოოპერატივს გამოელევა საქონელი, რადგან უთვალავი მუშტარი ეხვევა მას. კერძო ვაჭარს კი თაროებზე ჩამოსკუპებული ექნება კოოპერატივიდან შეძენილი საქონელი. მაშინ კი მომხმარებელსაც არ დაგვრჩება „ფედერაციაში" მიართვით, რამდენიც მას მოეპრიანება, ან უპაპიროსოთ დარჩით. ასე ხდება ალბათ სხვა საქონელზეც.

რატომ არ უნდა უხაროდეს ამ შემდეგ ნატანებელ ვაჭარს კოოპერატივის მეზობლობა? ამნაირი მეზობელი შვილზე უტკბილესია.

ს. მ.

საჭიროა (ცვლილების შეტანა *)

(მატარებლების რევიზიის შესახებ)

ხლო წარსულში, უბილეთო მოგზაურობის დაუსჯელად და მატარებელში წესრიგის ველად, საჭირო იყო ეგრეთ წოდებული მატარებლების რევიზორთა მთელი რაზმის ყოლა, რომელთა რიცხვი ამ ჟამად 105 კაცს უდრის. თითო მათგანს საშუალოთ 100 მ. აქვს თვეში.

რევიზორების მუდმივობამ მატარებელში დაარღვია და დაამახინჯა მეორე თანამდებობა. ეს თანამდებობა მთავარი კონდუქტორობაა. მთავარი კონდუქტორები მატარებელში დღეს ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობენ, ვიდრე ჩვეულებრივი მემუხრუჭენი. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც რა რჩება მას მატარებელში გასაკეთებელი ან საპასუხისმგებლო? აღმოჩნდებიან უბილეთო მგზავრები—აქ რევიზორია გამყოლი, დაიკარგა ბარგი—მებარგე კონდუქტორია, დაიგვიანა მატარებელმა—მემანქანე და სხვა. უფროსი კონდუქტორები, დღეს თითქმის არაფერს წარმოადგენენ მატარებელში. მიეწერებათ ამ უპასუხისმგებლობას და მათი დიდი მუშაობა, მექანიკურად სამგზავრო ფურცელში ჩაწერს მატარებლის სადგურში, მანქანის ნომერს, მემანქანის და თავის გვარს, მატარებლის შემადგენლობას, ჩაიდებს ჯიბეში და მოამზადებს საყვირს წასასვლელ ნიშნის მისაცემად; მორჩა და გათავდა.

დღეს მატარებლების რევიზორები—დაბალ თანამშრომლებში გაითქვიფენ. ფაქტიური კონტროლები—მატარებლების ვასინჯვაზედ თავს არ იტეხენ და ჩვეულებრივ მიწოდებაში და ლაციებში, მხოლოდ მუშკორის კალამია ულმობელი და დაუნდობელი კონტროლი.

იბადება საკითხი, რა საჭიროა უფრო კონტროლიორთა ასეთი დიდი შტატი, როცა ეს თანამდებობები ერთმანეთში გაითქვიფენ და ერთი მეორის ჩრდილავენ?

როგორც ზემოთ ვთქვი, ამ ჟამად რკინის გზებზედ 105 მატარებლის რევიზორია, 25 ფაქტიური კონტროლიორი და საგრძნობი რიცხვი წვეის არგიდან მატარებლების უფროსებისა, რომლებიც იმავე რევიზორების მოვალეობას ასრულებენ.

მაშასადამე ასეთის სიჭარბეს ამ თანამდებობის პირთა, არაფერი საგრძნობი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიათ. მათი შემცირებით კ. 50-60 პროცენტით, მუშაობა უფრო ჩქმოუქალიბდება. ყველა იგრძნობს პასუხისმგებლობას და ამდენს ნათესავობას და ნაცნობობას ადგილი არ ექნება.

ხშირად მომიკრავს ყური მგზავრთა ბაასისთვის.

— თუ იცით, დღეს ვინ აცილებს მატარებელ №?

— მგონი ივანოვი უნდა იყოს.

— ჰო... ძალიან კარგი... ეს ხომ ჩვენია და სხვა...

მაშინ კი ასეთის ჩვენიანობას ადგილი არ ექნება. მთავარი კონდუქტორი მეტი პასუხისმგებელი იქნება ვიდრე დღეს რევიზორია. ის იმის შიშით, რომ მოულოდნელათ გაუკეთებენ რევიზიას, არ დაუშვებს უბილეთო მგზავრებს მატარებელში. მემუხრუჭე-გამყოლნი თავის მხრივ დასჯის შიშით, უფრო ფხიზლად მოიქცევიან და ყველა ამასთან ხომ ის უსაშინელესი „რევიზორი" მუშკორის კალამი, რომელიც სიკვდილის ჩრდილივით ყველას თავს დასტრიალებს, გამოაფხიზლებს ამ თანამშრომლებს და დაუდევრობის და თვითნებობის საშუალებას არ მისცემს. მაშინ ამ რევიზორების მდგომარეობა შეიცვლება, მეტს პასუხისმგებლობას იგრძნობენ და უფრო ავტორიტეტიულს ადგილს დაიკავებენ. რომ უფრო დაინტერესდენ გამყოლი მემუხრუჭენი, საჭიროდ მიმაჩნია მათაც ეძლეოდეთ განსაზღვრული პროცენტები უბილეთო მგზავრების მიერ გადახდილ ჯარიმებიდან. ასეთი ჯილდო მათ დააინტერესებს და გამოაფხიზლებს.

ამასთან ერთად საჭიროა გააცხოველონ მუშაობა ფაქტიურმა კონტროლიორებმა, რომლებიც კარგა ხანია კაბინეტებს ველარ სცილდებიან.

დარელი.

---

*) კამათის წესით.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

ბიუროკრატიული ხარვეზები მომჭირნეობის საქმეში

როგორც უკვე ერთხელ ვსწერდით, საკავშირო კომპ. ამ.-კავკ. საოლქო საკონტროლო კომისიის უკანასკნელმა პლენუმმა თავის რეზოლუციაში მომჭირნეობის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა მომჭირნეობის სპეციალური კომისიების არსებობის უსარგებლობა დაწესებულება-წარმოებებში და საჭიროდ აღიარა, რომ მომჭირნეობის გატარებას უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს ადმინისტრაციამ.

ამავე საკითხზე სწერენ ამხანაგები კოსარითეი და სამარინი „პრავდა"-ში, რომლებმაც მოახდინეს ათი მნიშვნელოვანი დაწესებულების შემოწმება.

„კომისიები, ამბობენ ამხანაგები, რომლებიც იქმნებოდენ სამმართველოების აპარატთან ხარჯების მაქსიმალურად შემცირებისათვის, არა თუ ზანტად მუშაობდნენ, არამედ მათ გამოჰქონდათ არქიბიუროკრატიული ხასიათის და მომჭირნეობის რეჟიმის უარისმყოფელი დადგენილებანი და შემთხვევები არც ისე იშვიათი იყო.

დამახასიათებელია, მაგალითად, მანქანების მშენებელ ტრესტთან არსებულ მომჭირნეობის კომისიის დასკვნა, „იჯარისა და ბინის ქირის" საკითხში, რაშიაც ტრესტს საგრძნობი თანხა ეხარჯება (მხოლოდ იჯარის ქირა ერთის ნახევარი წლის განმავლობაში 96 ათას მანეთს). სრულიად უდაოა, რომ განყოფილებათა და ქვეგანყოფილებათა რაციონალური განაწილებით ადვილათ შეიძლება სამ სართულიდან ერთი სართულის მთლიანად განთავისუფლება და ამნაირად ქირის ხარჯის მნიშვნელოვნად შემცირება.

მომჭირნების კომისია კი ადგენს: „უნდა აღინიშნოს, რომ ბინის იჯარის ქირა მიმდინარე საოპერაციო წლის სამჯერ მეტი იქნება, ვიდრე წარსულ 1924—25 წელში".

წერილის ავტორებს მოჰყავთ კიდევ უფრო კურიოზული ფაქტი მომჭირნეობის კომისიების ბიუროკრატიზმის საილუსტრაციოდ. ისინი განაგრძობენ:

„არა ნაკლებ საინტერესოა კომისიის დადგენილება ხარჯების შემცირების შესახებ სილიკატის წარმოებაში. აქ, მაგალითად, თანამშრომელთათვის წარმოების ხარჯზე ბინების შეძენის შესახებ გამოიტანეს დადგენილება, სადაც სწერია: „რადგან პასუხისმგებელ მუშაკთათვის აუცილებელია ბინების შეძენა, საჭიროა უთუოდ აშენებული იქნას საკუთარი სახლი".

„ამავე დროს კომისიებში არ აქცევდენ სათანადო ყურადღებას ავანსებით დავალიანებას დაწესებულებებში, რაც მეტად ფართედ არის გავრცელებული დაწესებულება-წარმოებებში.

ყოველივე ნათქვამს კომისიების შესახებ უნდა დავუმატოთ, რომ კომისიების მუშაობა კარჩაკეტილ და კაბინეტურ ხასიათისაა. მუშა-მოსამსახურეთა მასა თითქოს გარიყულია ამ საქმიდან... ჩვენ მიერ შემოწმებულ დაწესებულებათა კომისიების მუშაობა მოწმობს, რომ მათი არსებობა ზედმეტ ბიუროკრატიზმს ჰქმნის".

მოყვანილი წერილი აშკარად მოწმობს, რამდენად თანადროულია პარტ. საოლქო საკონტ. კომისიის პლენუმის დადგენილება მომჭირნეობის კომისიათა არსებობის მიზანშეუწონლობის შესახებ. ჩვენმა დაწესებულება-წარმოებებმა სათანადო დასკვნა უნდა გამოიყვანონ აქედან.

ვასო აბაშიძის დაკრძალვა

ხელოვნების სასახლე უამრავი ხალხით იყო გარშემორტყმული.

დილიდანვე მაჩაბლის ქუჩას არაჩვეულებრივი გაცხოველება დაეტყო. სასახლისკენ განუწყვეტლივ მოდიან განსვენებულის პატივისმცემლები, ზოგი ქვეითათ, ზოგი ეტლით, ზოგი კიდევ ავტომობილით. მოდიან და თან მოაქვთ უამრავი ყვავილები და გვირგვინები, რომლებითაც ამკობენ მაღალ კვარცლბეკზე დადგმულ კუბოს.

გამოსვენება დანიშნულია 2 საათისათვის. პირველ საათზე უკვე მაჩაბლის ქუჩაზე გავლა შეუძლებელი იყო. ქუჩა, სახლების აივნები, ფანჯრები და სახურავები გაჭედილია ხალხით.

თვით სასახლეში თავი მოუყრიათ პროვინციის წარმომადგენლებს, დელეგატებს სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, მსახიობებს, მწერლებს, პრესის წარმომადგენლებს და განსვენებულის მრავალ სხვა პატივისმცემლებს.

დარბაზში, ფანჯარასთან, ასეული ყვავილებში ჩაფლული კუბო, რომლის მარცხენა მხარეზე ჩამწკრივებულია პირისუფლები.

დუმილია. დროგამოშვებით გაისმის პირისუფალ ქალების გულამოსკვნილი ქვითინი.

ახლოვდება ორი საათი. დამკრძალავი კომისია ცოტას კიდევ იცდის, რომ საშუალება მისცეს მუშა-მოსამსახურეებს მოუსწრონ გამოსვენებას.

სამის ნახევარზე მოდიან კომპარტიის უმაღლეს ორგანოების და მთავრობის წევრები, მათ შორის: ფ. მახარაძე, ამხ. ლ. ქართველიშვილი, ამხ. კახიანი, შ. ელიავა, სიმ. ჟუღელი, სილ. თოდრია, კ. ხომერიკი, აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე—ამხ. მამედ გოგიბერიძე და სხვები.

მიცვალებულის გამოსვენებამდი კუბოსთან განუწყვეტლივ მორიგეობენ საპატიო ყარაულები. უკანასკნელად ყარაულში სდგანან სახალხო არტისტები ზაქარია და ვანო ფალიაშვილები.

სამ საათზე ვალ. გუნიამ, ალ. იმედაშვილმა და შმ. ფალიაშვილებმა კუბო დარბაზიდან გამოასვენეს ქუჩაზე. მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს.

სასახლის აივნიდან მთავრობის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. მარიამ ორახელაშვილი. შემდეგ ილაპარაკა აკაკი ფაღავამ. ორატორები აღნიშნავენ განსვენებულის დამსახურებას ქართული თეატრის და მშრომელი ხალხის წინაშე.

პროცესია დაიძრა. სამხედრო ორკესტრს სცვლის საზანდარი, ამ უკანასკნელს ისევ ორკესტრი და ასე გრძელდება დიდი ხელოვანის სამუდამო განსასვენებელ ადგილამდე.

გზადაგზა პროცესიას კიდევ ემატება ხალხი. კუბო უკვე სასახლესთანაა, პროცესიის ბოლო ჯერ კიდევ არ გამოსულა მაჩაბლის ქუჩიდან.

პროსპექტზე პროცესია შეჩერდა პროფსაბჭოს შენობასთან. აქ განსვენებულს სიტყვით მიმართეს ხელოვნების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარემ—ამხ. სანდრო ჭურიძემ და პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელმა—ამხ. ბაგრატ მაჩაიძემ.

— ვასო აბაშიძე დაუვიწყარი იქნება ქართველი მუშების გულში, რადგან მან შეაყვარა მუშებს თეატრი,—ათავებს ორატორი.

აკადემიური დრამის აივნიდან დრამის ორკესტრი გველესიანის დირიჟორობით ასრულებს სამგლოვიარო მარშს.

თეატრის წინ აღმართულ ტრიბუნაზე ადის დრამის მსახიობი აკაკი ვასაძე, რომელიც სიტყვით მიმართავს განსვენებულს.

— ფიცსა ვსდებთ,—ამბობს ის,—რომ ღირსეულად გაუძღვებით შენგან ნაანდერძევ თეატრს.

შემდეგ მგზნებარე სიტყვით გამოდის სომხური აკადემიური დრამის წარმომადგენელი.

პროცესია ისევ დაიძრა. ოპერის თეატრის აივნიდან მიცვალებულს აცილებს სამგლოვიარო ჰიმნი.

პლეხანოვის ქუჩა ვერ იტევს ზღვა ხალხს. თუმცა საკმაოდ ცხელა და ძნელია აღმართში სიარული, მაგრამ ხალხი მაინც უკან არ იხევს.

მოსახვევში პროცესია ორად იყოფა. ნაწილი მოკლე გზით მიდის მთაწმინდისაკენ, ნაწილი კი მიყვება ვიწრო აღმართებს.

მთაწმინდის ქუჩის მოედანზე უკანასკნელად შეჩერდება პროცესია. აქ სიტყვას ამბობს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე—ამხ. სილ. თოდრია.

აკაკის დასაფლავების შემდეგ მთაწმინდას არ უნახავს ამდენი ხალხი. მთის შუა გულში გამოჭრილი ვიწრო მოედანი უკვე სავსეა ადრე მისულებით. ახლო-მახლო ფერდობებზეც არ არის ადგილი.

გათავდა აღმართი. იწყება ვიწრო ბილიკი სასაფლაოზე ასასვლელად. ამდენ ხალხს ვერ დაიტევს სასაფლაოს ვიწრო მოედანი. ამიტომ ყველას აღარ უშვებენ.

ილიას და აკაკის ახლოს გათხრილია ღრმა საფლავი, რომელმაც სამუდამოდ უნდა მოსტაცოს ჩვენს თეატრს საყვარელი არტისტი.

დრომ თავისი გაიტანა. მოკვდა ჯანსაღი სიცილი. დღეს თვალს მიეფარება ამ სიცილის ოსტატი, წელში მოხრილი, სახე ნაღარა დიდი ვასო. მეცხრამეტე საუკუნე დაიბრუნებს თავის უკანასკნელ შვილს.

კუბო დაასვენეს საფლავთან. უკანასკნელად დასტირიან პირისუფლები განსვენებულის გვამს. კიდევ რამოდენიმე გამოსათხოვარი თბილი სიტყვა და კუბო ჩაუშვეს საფლავში.

ჯერ ქვები მიაყარეს, შემდეგ მიწა და რამოდენიმე წუთის შემდეგ ამობურცულმა ადგილმა დაარწმუნა ყველანი, რომ ამიერიდან ვერავინ ნახავს მოხუც ვასოს, რომლის მაგარი მხარბეჭი ნახევარი საუკუნის სიმძიმეს ასტეხდა.

ხალხი დიდხანს არ იშლება. დიდხანს ისმის კიდევ საუბარი განსვენებულზე და მის განსაკუთრებულ დამსახურებაზე.

მთაწმინდა ბნელში გაეხვია. თვალცრემლიანი იმშვიდობებიან განსვენებულის მახლობლები ძვირფას საფლავს და ნელა ეშვებიან ძირს, ქალაქის ჭრელ და მშფოთავ ქუჩებში.

საღამოს თბილისის მოქალაქეებმა ვასო აბაშიძე ისევ ცოცხალი ნახეს კინო-სურათ „ხანუმა"-ში.

შ. ბ—ძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

თუთის პლანტაციები

ქუთაისი, 14 ოქტომბერი. საზოგადოება „აბრეშუმი" საქართველოს საბრეშუმო რაიონებში შეუდგა თუთის ხის 7 პლანტაციის გაშენებას. ამ მიზნით უკვე გამოყოფილია მიწა და გაზაფხულზე შეუდგებიან თესვას.

მიმდინარე წელს საზ-ბა „აბრეშუმი" თავისი 4 პლანტაციიდან გლეხებს უფასოდ დაურიგებს თუთის ხის მილიონ ნახევარ ნერგს.

„ჯავშნოსანი პოტიომკინი"

ფოთი, 14 ოქტომბერი. ქალაქის კინო-თეატრში „ჯავშნოსანი პოტიომკინი"-ს სანახავად მოწვეულ იქნენ იტალიელი და ბერძენი მეზღვაურები, რიცხვით 70 კაცი, მეზღვაურებმა კინო-თეატრის მახლობლად ოვაციები გამართეს საბჭოთა კავშირის საპატივსაცემოდ.

ფოთის ნავთსადგურის გაღრმავება

ფოთი, 14 ოქტომბერი. მიწის მთხრელი მანქანა „საბჭოთა საქართველო" ნავთსადგურში შემოსავალ არხის გაღრმავების სამუშაოთა დამთავრების შემდეგ შეუდგა ნავთსადგურის ცენტრალურ აუზის გაღრმავებას.

შარა-გზის შეკეთება

თელავი, 14 ოქტომბერი. სოფ. ყვარელის გლეხები საკუთარი საშუალებით აკეთებენ თელავ-ზაქათალის შარა-გზას, რომელიც გადარეცხა ადიდებულმა დურუჯმა. რემონტს უკეთებენ აგრეთვე მდ. უჯარაზე გადებულ ხიდს.

კულტგანმანათლებელი მუშაობა

თელავი, 14 ოქტომბერი. მიმდინარე წელში პოლიტგანათლების მთავარსამმართველომ უკვე გახსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 50 სკოლა და კიდევ გახსნის 63 სკოლას. იხსნება აგრეთვე 24 სკოლა მცირემცოდნეთათვის.

თემში არის 17 სათემო ქოხ-სამკითხველო, ხოლო ქალაქში 2 ბიბლიოთეკა. ქოხ-სამკითხველოში დღეში დადის 30 კაცამდე, ხოლო ქალაქის ბიბლიოთეკაში 100 კაცამდე.

თემში არის 36 წითელი კუთხე. გვაქვს კინო, რომელიც ზამთრის დასასრულიდან იწყებს სოფელ-სოფელ სიარულს. სოფლებში გვაქვს 17 კედლის გაზეთი, თემების რაოდენობის და მიხედვით.

მასწავლებელთა კონფერენცია

თელავი, 14 ოქტომბერი. სახალხო განათლების განყოფილება, ორი ინსტრუქტორის დახმარებით, მაზრაში აწყობს მასწავლებელთა კონფერენციას. კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია საცდელ-საჩვენებელი სკოლის გამოყოფის, სამხარეთმცოდნეო საზოგადოების დაარსების სამუშაო გეგმის გამომუშავების და სხ. საკითხები. მასწავლებლები წაიკითხავენ მოხსენებებს შემდეგ თემაზე: 1) სკოლების საზოგადო მუშაობა სოფლად, 2) თანამედროვე სკოლისა და მასწავლებლობის კანები, 3) სასკოლო თვითმართველობა და სხვ.

სამხრეთ-ოსეთი

მზადება აღწერისათვის

ცხინვალი, 14 ოქტომბერი. სამხრეთ-ოსეთის სტატისტიკურმა ბიურომ ჩაატარა მოსამზადებელი მუშაობა დემოგრაფიული აღწერისათვის. სახელდობრ შედგენილია დასახლებულ ადგილების სია, დამზადებულია სამხრეთ-ოსეთის რუკა, სადაც აღნიშნულია ყველა დასახლებული პუნქტები და ადმინისტრატიული ერთეულები. შედგენილია ცხინვალის სქემატიური რუკა. დგება ამწერთა და კონტროლიორთა შტატი. სულ აღწერისათვის საჭირო იქნება 144 თანამშრომელი.

წერილები

ხანძარი გლეხის უსაშინელესი მტერია

ცეცხლი ერთი უსაშინელესი მტერია გლეხის მეურნეობის. სოფლად თითქმის არსად არა გვაქვს ცეცხლის წინააღმდეგ საბრძოლველი მოწყობილობანი. აქ ხანძრის ჩასაქრობი „იარაღებია": კოკა, ვობი, ქვაბები და სხვა ამგვარი შემთხვევითი ნივთები. თუ წყალი ცეცხლთან ახლოა, გლეხები კიდევ რაღაცას ხდებიან და უბედურებას ზოგჯერ ნაწილობრივ მაინც თავს აღწევენ. თუ არა და ცეცხლის ალი ნთქავს გლეხის წვით და დაგვით დაგროვილ ავლადიდებას.

ასეთი მაგალითები არც ისე იშვიათია. ხშირად შეხვდები აღმასკომის მოწმობით ხელში კარ-მიდამო დამწვარ გლეხს, რომელიც დადის და კაპეიკობით მათხოვრობს. ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია. ჩვენ უნდა გამოვძებნოთ ერთი მხრივ ცეცხლის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი და მეორე მხრივ ხანძარის მსხვერპლის მათხოვრობისაგან თავის დაღწევის ზომები.

რასაკვირველია, თქმა იმისა, რომ ცეცხლის ჩამქრობი მანქანების და რაზმების შექმნა სოფლებში მხოლოდ კეთილი სურვილის გამოთქმა იქნებოდა და სხვა არაფერი. ამისათვის დრო და ფულია საჭირო. მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხელდაკრეფილი უნდა შევცქეროდეთ ბედს და ნება მივსცეთ წითელ სტიქიას, როცა უნდა და როგორც უნდა ისე გვეწვიოს, გადიჯირითოს, მოგვსპოს და გაიაროს.

ჯერ ერთი ხანძართან ბრძოლში დიდი მნიშვნელობა აქვს ნაშენობის მდებარეობას. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს ეხლა, როცა სოფლად გაცხოველებული საბინაო მშენებლობა სწარმოებს. აღმასკომები უნდა ჩაერიონ ამ საქმეში და ერთგვარი გეგმიანობა შეიტანონ სახლების მშენებლობაში. ხშირად ხდება, რომ ერთგან გაჩენილი ცეცხლი ეხვევა მეზობელ შენობებს და მთელ უბანს ანადგურებს. გარდა ამისა, საჭიროა ნაშენობებს შუა რაც შეიძლება მეტი ხეების გაშენება. ცნობილია, რომ ხე საუკეთესო ფარია სახლისათვის ცეცხლისაგან. ამასთანავე საჭიროა მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა გლეხებისაგან. იქ, სადაც სიფრთხილე და მორიდებაა, ცეცხლი, ისე ადვილად ვერ ჩაივლის.

რაც შეეხება იმათ, ვინც საშინელ სტიქიის, ცეცხლის მსხვერპლი ხდება მათთვის ჩვენ გვაქვს მრავალი საშუალებანი. ესაა პირველყოვლისა სახელმწიფო დაზღვევა ცეცხლისაგან გლეხკაცობას ჯერ კიდევ ბევრგან გათვალისწინებული არა აქვს, რა დიდი დახმარებაა სახელმწიფო დაზღვევა სტიქიურ უბედურებისაგან გაპარტახებულ მეურნეობისათვის. ჩვენი ვალია ფართო აგიტაცია-პროპაგანდა გავსწიოთ ამ მხრივ სოფლად.

არ უნდა „იძინოს" აგრეთვე გლეხობასაც. ცეცხლისაგან დაზარალებულის დახმარება მათი ვალია. სამწუხაროთ, უმეტეს შემთხვევაში სახლ-კარ დამწვარ გლეხს დაზღვეული არა აქვს ქონება. გლეხკომმა მას პირველი დახმარება უნდა აღმოუჩინოს. უნდა ეცადოს მის მათხოვრობისაგან გადარჩენას. თუ მონდომება და გულისხმიერება იქნება ეს არც ისეთი საოცნებო საქმეა. გამოცდილებით ვიცით, რომ სოფელი ყოველთვის თანაუგრძნობს დამწვარ ოჯახს და დახმარებას არ იშურებს მისთვის.

კომბალა.

აქედანვე მივიღოთ ზომები

(საგურამოს თ., დუშ. მ.)

მთელი საგურამოს რაიონი და საზოგადოთ იეზმის ხეობა მდიდარი იყო ტყით. მაგრამ უკანასკნელი ათიოდე წლის განმავლობაში ტყეს უწყალოდ ჩეხავდა ხალხი. საუკეთესო ტყეები გაიკაფა და მოისპო. ეხლა გლეხებს სამასალე ხეების შოვნა უჭირთ და უხდებათ მთელი დღის სავალზე სიარული. მეტი ნაწილი სოფლებისა წაიღო და გარიყა ტყის ხევის ნიაღვრებმა. ზარალი სოფლებისთვის მეტად დიდია.

სოფელ ნავდარანთ-კარს, არაშენდას, ახალსოფელს, ბურიანს და ჭილანთ-კარს დაღუპვა მოელით. ს. ნავდარანთ-კარი შეიძლება ნიაღვარმა წაიღოს. სოფ. ბურიანს და ჭილაანთ-კარს მეწყერი ემუქრება. ტყის ადმინისტრაციამ საკმარისი რეპრესიული ზომები მიიღო. ღამ-ღამობითაც უხდება ტყეების დაზვერვა, მაგრამ ს. წინამძღვრიანთ-კარი და ზაქარო ვერ შეიპოვა. ეს სოფლები მალვით აწარმოებენ ნახშირის დაწვას, სწარმოებს ნახშირის ჩამორთმევა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიან.

ამავე დროს, სოფ. ბურიანის და სოფ. კოტორაანთ-კარის ტყეში გადმოდის გლდანის ტყის გამგე მინდაძე, ნომრავს ხეებს და გლდან-მამკოდის გლეხებს ნებართვას აძლევს ნახშირის დაწვისას. აქაური გლეხები აღელვებულნი: ჩვენთვის აკრძალულია და გარეშე სოფლებს ნებართვას აძლევენ ნახშირის დაწვისასო. ამნაირად ტყეების საქმე გამოურკვეველია. საჭიროა ყურადღება, უნდა აიკრძალოს ტყის ასეთი განადგურება.

დუშეთის მაზრაში აკრძალულია ნახშირების დაწვა, ვინაიდან ტყეები ძალიან ნადგურდება. იმისათვის, რომ საგურამოს და ცხვარის-ჭამიას თემები დაფარულ იქნენ ნიაღვრებისგან, საჭიროა ცხვარი-ჭამიას ფარგლებში აიკრძალოს ნახშირის დაწვა, რადგან ტყის მთები გამინდვრებული და გაჩეხილია. ბოლოს სინანული, გვიანი და იქნება.

გულშემატკივარი.

სოფლის ქრონიკა

— **სიღნაღის** აღმასკომმა სამაზრო საავადმყოფოს შესაკეთებლად გადასდო 500 მ.

— **თავშესაფარი.** სიღნაღის აღმასკომი მაზრაში აწყობს თავშესაფარს.

— **კურსები.** სიღნაღში ამ დღეებში გაიხსნება საფინანსო მუშაკთა მოსამზადებელი კურსები.

— **ტელეფონი.** ფ.-ტელეგრაფის კომისარიატი შეუდგა სიღნაღში ტელეფონის ქსელის გაფართოებას.

— **სოფლის ახალგაზრდობის** სკოლისთვის სუფსის (ოზურ. მაზ.) თემში აგებენ ახალ შენობას.

— **სახერხ ქარხნის** მოსაწყობათ სიღნაღის აღმასკომმა გადასდო 6 ათასი მან.

— **ლანჩხუთის** რაიონში ლაშის წელის უბანში შეუდგენ ქოხ-სამკითხველოსთვის ახალი შენობის აგებას.

— **არხი.** ჩოხატაურის აღმასკომს გაყავს არხი ადგილობრივ ჭაობის ამოსაშრობათ.

— **გორა-ბერეჟოულის** სას.-სამ. ტექნიკუმის მდგომარეობის გამოსაკვლევად ოზურგეთის აღმასკომმა დაარსა კომისია.

— **საავადმყოფო.** ოზურგეთის აღმასკომი ჩოხატაურის საავადმყოფოს დასამთავრებლად სესხად იღებს 10 ათას მანეთს.

წითელ ჯარში

1904 წ. დაბადებულთა გაწვევა

კახეთში

კახეთში ახალგაზრდების წითელ ჯარში გაწვევა დაიწყო ოქტომბრის პირველს. მუშაობს სამი გამწვევი კომისია: ერთი ქალ. თელავში და ორი ქ. სიღნაღში.

ჯარში გაწვევა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. ახალგაზრდები ცხადდებიან 100 პროც.-ით. გაწვეულები სოფლებიდან მოდიან მწყობრად, ჯერ არა ყოფილა შემთხვევა სიმულიაციის, ან დამალვის. აღსანიშნავია ის გარემოება რომ ლოთობას სრულიად არა აქვს ადგილი.

კომისიების ბინებზე მოწყობილია საგიტაციო პუნქტები.

ჯარში გაწვევა კახეთში დამთავრდება ოქტომბრის დამლევს.

კენჭის ამოღება

კენჭის ამოღება საქართველოში იწარმოებს 4-დან—15 ნოემბრამდე.

ამჟამად კომისიები აწარმოებენ მხოლოდ გაწვეულ ახალგაზრდების საქმეთა შემოწმებას. სრულიად ვარგისი სამხედრო სამსახურისათვის ჯანმრთელობის მხრივ და შეღავათების მიხედვით აყვანილი იქნებიან განსაკუთრებულ აღრიცხვაზე და ვალდებულნი არიან გამოცხადდენ კენჭის ამოსაღებათ ზემოდ ნაჩვენებ დროში. სამხედრო სამსახურისათვის უვარგისი, შეღავათიანები და მოსწყვეტილები კი თავისუფლდებიან კენჭის ამოღებისაგან.

კენჭის ამოღების შემდეგ გაწვეულები გაშვებულ იქნებიან სახლში მოკლე ვადით შინაურ საქმეების მოსაწესრიგებლად, რის შემდეგ გადიგზავნებიან ჯარის ნაწილებში.

გაწვევა თბილისის მაზრაში

საქართველოს ტერიტორიალურ სამმართველოს ბრძანების თანახმად, გაწვევა ქ. თბილისში უნდა დამთავრებულიყო ოქტომბრის 14-ს. ვინაიდან გაწვევაზე ცხადდებიან დაგვიანებულნი, ამიტომ გამწვევი კომისიები შესწყვეტენ მუშაობას მხოლოდ ოქტომბრის 20.

14 ოქტომბრიდან დაიწყო გაწვევა მცხეთის და ზემო-ავჭალის რაიონების მცხოვრებ ახალგაზრდებისა. გაწვევაზე გამოცხადება დამაკმაყოფილებელია. ცხადდება ბევრი გაწვეული, რომლებსაც აქვთ უფლება ისარგებლონ შეღავათით, მაგრამ თან არა აქვთ შესაფერისი საბუთები. გამწვევი კომისიები გაწვეულებს ამ შემთხვევებში უშვებენ სახლში დოკუმენტების მოსატანად.

გაწვეულ გლეხებთან საგიტაციო მუშაობის საწარმოებლად თბილისის გასაწვევ პუნქტზე მოეწყობა კინო, სწარმოებს ლექციების კითხვა და სხვა.

ი—ა.

გაწვევის პირველი დღე

(წერილი ხაშურიდან)

30 სექტემბერს, დილის მატარებლით გორის მაზრის გამწვევი კომისიის მთელი შემადგენლობა გაემგზავრა ქ. ხაშურში, სადაც გაწვევის პირველ დღეთ დანიშნულ იყო პირველი ოქტომბერი.

რადგან ქ. ხაშური ცენტრს წარმოადგენს ბორჯომის და გომის რაიონებისას, ამიტომ აღნიშნულ რაიონების და ხაშურისათვის შესაკრებ პუნქტი ჰქონდა მოწყობილი. მაზრის ხელისუფლების მიერ ყოველივე ზომები იყო მიღებული, რომ ხაშურის აღმასკომის შესაკრები პუნქტი ჰქონოდა მოწყობილი, მაგრამ კომისიამ ჩასვლისას ასეთი ვერ აღმოაჩინა.

ხაშურში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არ დახვდნენ კომისიას, გავიდა ცოტა ხანი და აღმასკომის თავმჯდომარე ამხანაგი კალანდარიშვილი, რომელიც კოოპერატივის რევიზიაზე ყოფილიყო, ჩვენთან გაჩნდა. ჩვენ შეკითხვაზე თუ რატომ არ ყოფილა მიღებული ზომები შესაკრებ პუნქტის მოსაწყობათ, ამხ. კალანდარიშვილმა წყნარად ჩაიცინა. მას ზომების მიღების შესახებ მტკიცება რომ დაუწყია და როდესაც კომისიის წევრები მიიყვანა დანიშნულ ადგილას, მათ წინაშე სხვა სურათი გადაიშალა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ყველაფერი გაჩნდა: საკანცელარიო ნივთები, მთელი ინვენტარი, მედიცინის ოთახები გასაწვევ მოქალაქეთათვის და მიმდებ კომისიის სამუშაოდ და ორი ოთახი საწოლ ლოგინით კომისიის წევრებისათვის.

1 ოქტომბერს დილა-ადრიან გასაწვევ პუნქტზე დაიწყო გასაწვევი ახალგაზრდების შეკრება.

დილა 9 საათზე კომისია უკვე შეუდგა მუშაობას. ყოველი ახალწვეული ერთი მეორეს წინ ასწრებდა, ყველას სურდათ პირველად გაევლო კომისიაში და ითხოვდნენ გაუსინჯავად გაეგზავნათ ჯარში. როდესაც ერთ ახალწვეულს კომისიის წევრმა მოსთხოვა მოწმობა ოჯახური მდგომარეობის შესახებ, რადგან მას შეღავათი ეკუთვნოდა, ახალწვეულმა ბევრი იუცხოვა და აღელვებული ხმით უპასუხა: „მე შეღავათი არ მინდა, მეყო სოფელში გუთანი და ნახირში სიარული, ეხლა ჩემი დროც დადგა წავიდე ჯარში და ვისწავლო რამეო".

ამ სიტყვებმა კომისიის წევრებს და სხვა ახალწვეულებს დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

საღამოს კომისიაში გაწვეული ახალწვეულნი მწყობრად გაემგზავრნენ ღამის გასათევად პუნქტში. აღსანიშნავია ახალგაზრდა ახალწვეულთა შემდეგი: ლოთობას, აურ-ზაურს, ჩხუბს ადგილი არ ჰქონია.

გ. კალანდაძე.

საპასუხისმგებლო საქმე

დემოგრაფიული აღწერის გამო

სახელმწიფო, რომლის ხელშიაც თავი მოუყრია მეურნეობის ყველა მამოძრავებელ ძალებს—მიწას, მსხვილს და ნაწილობრივ წვრილ მრეწველობას, ტრანსპორტს, კრედიტს და საერთოდ მთელ სავაჭრო-სამრეწველო აპარატს, ვერ გაუძღვება უზარმაზარ მეურნეობას თუ წინასწარ არ ექნა შედგენილი სათანადო გეგმა და საერთო სურათი. ამ გეგმის შედგენისათვის აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს იმისი ცოდნა, თუ რამდენი მცხოვრებია სახელმწიფოში, რამდენი ქცევა მიწა დაითესა, რამდენი ფუთი პურის მოსავალი არის მოსალოდნელი, რამდენი ფაბრიკა მუშაობს და სხვა. ჩამოთვლილ მოვლენის აღსანუსხავად არსებობს ჩვენში სახელმწიფო სტატისტიკური აპარატები და დროგამოშვებით იწყობა სხვადასხვა სახის აღწერები. ცენტრალური მთავრობის დადგენილებით მიმდინარე წლის დეკემბერში უნდა ჩატარდეს მცხოვრებთა სრულიად საკავშირო აღწერა.

ჩვენ აქ არ შეუდგებით იმის მტკიცებას, თუ რა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს ამ აღწერის სათანადო სისწორით ჩატარებას, ვიტყვით მხოლოდ, რომ თუ ჩვენ არ გვეცოდინება მცხოვრებთა რაოდენობა, ძნელი იქნება იმისი გამორკვევაც თუ რამდენი პური დაგვჭირდება, რამდენი საპონი, რამდენი მანუფაქტურა და სხვა. როგორი მდგომარეობა შეიქნება ამ შემთხვევაში? მაშინ ჩვენ მეურნეობას არც თავი ექნება და არც ბოლო. ამიტომ მომავალი აღწერისაკენ უნდა იყოს სახელმწიფოს თვალი და აქედანვე უნდა შეუდგეთ საჭირო მზადებასაც.

მართალია, აღწერის დაწყებამდი ჯერ კიდევ სამი თვეა, მაგრამ ეს სამი თვე არც ისე დიდი დროა იმ უამრავი მუშაობისათვის, რომელიც უნდა წინასწარ იქნეს შესრულებული აღწერის დაწყებამდე.

ჩვენი ფიქრით რესპუბლიკის სტატისტიკურ სამმართველოების მიერ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პროპაგანდა-აგიტაციას, განსაკუთრებით ჩვენს დაბა-ქალაქებში.

მართალია, ჩვენ არა გვყავს საკმაო რიცხვი სტატისტიკის მცოდნეთა, რომ ყველა სოფლებს მოვედვათ, მაგრამ, როცა სამი თვით ადრე დავიწყებთ კამპანიის ჩატარებას, შეგვიძლიან ყველა თემის ჩამოვლა და ადგილობრივი ძალების ისე მომზადება, რომ აღწერის ზოგადი მნიშვნელობა მაინც გააცნონ ხალხს.

მეორე უმთავრესი და საყურადღებო საკითხი არის აღმწერელთა კადრის შედგენა. აღწერა უნდა იქნეს ჩატარებული რამდენიმე დღის განმავლობაში, რისთვისაც საჭირო იქნება ათი ათას აღმწერელზე მეტი.

საიდან მოვიყვანოთ ამდენი აღმწერელი? თუ სახელმწიფომ და პარტიამ დახმარება არ აღმოგვიჩინა, აღწერა ჩაიშლება ისე, როგორც არა ერთხელ მომხდარა ეს ევროპის და რუსეთის სინამდვილეში.

პირველად ყოვლისა ყველა სახელმწიფო დაწესებულებებმა უნდა გაანთავისუფლონ და გაგზავნონ ადგილობრივ სტატბიუროს განკარგულებაში რამდენიმე პროცენტი მოსამსახურეთა.

სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნდა მოგვცეს აღმწერთა 60 პროც. მაინც, აგრეთვე პარტიამ და პროფკავშირმა. სტატბიუროებმა ინსტრუქტორები უნდა აიყვანონ ორი კვირით ადრე, ვიდრე აღწერა დაიწყებოდეს, ხოლო აღმწერლები კი—არა უგვიანეს 4 დღისა.

ამ აღწერაში ფართედ უნდა დაიხმაროთ სოფლის მასწავლებლობა. რომლებმაც „1925 წ. იანვრის საკავშირო ყრილობაზე ერთხმად დაადგინეს, რომ ამ აღწერაში მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ".

რუსეთის უნივერსიტეტებში საკავშირო ცენტრ. სტ. სამ. თხოვნით სპეციალურად გადიან მომავალ აღწერისათვის მოსამზადებელ კურსს. ჩვენშიც რომ ასე მომხდარიყო, რასაკვირველია, კარგი იქნებოდა. არც ეხლა არის გვიან თუ სათანადო ორგანოები ხმას ამოიღებენ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქალაქის დაგეგმის თავის დროზე ჩატარებას, რაც გამოიხატება ქუჩების სახელების დარქმევაში, სახლების დანომვრაში და სხვა.

თბილისის აღმასკომმა თავის დროზე მიიღო ზომები და არჩეულია აღწერის საორგანიზაციო კომისია. რომელმაც წინასწარი მუშაობა უნდა ჩაატაროს.

მომავალი აღწერის მნიშვნელობა იმდენად დიდი და ცხადია, რომ მასზე სიტყვის გაგრძელება, როგორც უკვე აღვნიშნე, ზედმეტად მიმაჩნია. სრულიად დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ამ საპასუხისმგებლო ამოცანის მოგვარებაში ყველა სახელმწიფო ორგანოები და საბჭოთა საზოგადოებრიობის მთელი ცოცხალი ძალები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ.

შ. გომართელი.

ინგლისის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია თბილისში

მთავარ სახელოსნოში

გუშინ დელეგაცია დილიდანვე შეუდგა თბილისის წარმოებების დათვალიერებას.

პირველად დელეგატები გაემგზავრნენ რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში და დაწვრილებით დაათვალიერეს ყველა ცეხები, რის შემდეგაც ესაუბრნენ მუშებს.

ინგლისელმა სტუმრებმა ჩვენს მუშებს გააცნეს ინგლისის მუშების მდგომარეობა, კერძოთ სამთამადნო მუშების ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ.

თავის მხრივ ჩვენმა მუშებმა დაწვრილებით უხსნეს ინგლისელ ამხანაგებს, თუ როგორი შრომის პირობებია შემოღებული მთავარ სახელოსნოებში, როგორია ხელფასი და სხვა.

დელეგაცია მთავარ სახელოსნოებში დარჩა ორ საათზე მეტი.

თამბაქოს ფაბრიკაში

სახელოსნოებიდან დელეგატები გაემგზავრნენ როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში.

აქ ყურადღებით დაათვალიერეს ფაბრიკის ყველა განყოფილებები და წამოსვლისას ესაუბრნენ მუშებს და მუშა-ქალებს მათი შრომის პირობებისა და ხელფასის შესახებ.

ფაბრიკის ახალმა მანქანებმა და მუშებთან საუბარმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგატებზე.

ზაჰესში

წასადილევს დელეგაცია გაემგზავრა ზაჰესში. რუსთაველის პროსპექტზე დელეგატების ავტომობილი წამოეწია სამგლოვიარო პროცესიას. ისინი დაინტერესდენ, თუ ვინ არის მიცვალებული, რომელსაც ამდენი ხალხი აცილებს საფლავამდე. მათ აუხსნეს, რომ ასაფლავებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტს ვასო აბაშიძეს.

ზაჰესში დელეგატებმა დაათვალიერეს მთავარი სადგური, არხი და ჰიდროტექნიკური სადგური. ზაჰესის დათვალიერებამ მათზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

მცხეთაში

ზაჰესიდან სტუმრები გაემგზავრნენ მცხეთაში. საეკლესიო დღესასწაულის გამო მცხეთაში თავი მოეყარა აურაცხელ გლეხებს.

როგორც ყოველთვის ხდება ასეთ დღეებში, გლეხებმა გამართეს სიმღერა და ცეკვა-თამაში. ნაციონალური ცეკვა და სიმღერა დელეგატებს ძალიან მოეწონათ.

დღეს

დელეგაცია დაათვალიერებს ქართულ სამხედრო ნაწილს. განათლების სახალხო კომისარიატს, პროფსაბჭოს და საუბარი ექნება საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან ამხ. ელიავასთან.

საუბარი დელეგაციის თავმჯდომარე—ედვარდსთან

გუშინ ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა ინგლისის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციის თავმჯდომარე—ბობ ედვარდსთან, რომელმაც დელეგაციის ჩამოსვლის მიზნისა და საბჭოთა კავშირში მოგზაურობისაგან მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ჩვენ დიდი ხანი არ არის, რაც საბჭოთა კავშირში ვიმყოფებით. ჩვენი დელეგაცია, როგორც სხვა მუშათა დელეგაციებიც, ეცნობა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მუშების მდგომარეობას და თქვენს მიღწევებს საბჭოთა აღმშენებლობის და კულტურის დარგებში.

ჩვენ უკვე დავათვალიერეთ ლენინგრადის, მოსკოვის და ბაქოს ფაბრიკა-ქარხნები და საწარმოები და უნდა აღვნიშნოთ, რომ გაკვირვებული დავრჩით იმ დიდი შემოქმედებითი მუშაობით, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი.

ჩვენ გვაინტერესებს როგორც მუშათა კლასის მდგომარეობა საერთოდ, ისე შრომის ხელფასი, შრომის პირობები, შრომის დაცვის და სოციალური დაზღვევის საკითხები და სხვა. ამ მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ თქვენ დიდ შედეგებისათვის მიგიღწევიათ.

ჩვენი საქართველოში ჩამოსვლის მიზანია ამ ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მიღწევების გაცნობა. საქართველოს შესახებ მენშევიკები ყოველგვარ ჭორებს ავრცელებდნენ და ავრცელებენ საზღვარგარეთ. ამიტომ ჩვენს ჩამოსვლას დიდი მნიშვნელობა ექნება ამ ჭორების საბოლოოთ გასაფანტავად.

ჩვენ აქ დაწვრილებით შევისწავლით მუშათა კლასის მდგომარეობას, გავეცნობით საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობით მუშაობას და ინგლისში დაბრუნებისას ყველა ამას გავაცნობთ ინგლისის მუშა-ახალგაზრდობას, რომელიც მოუთმენლად მოელიან ჩვენს დაბრუნებას, რომ გაიგოს სიმართლე თქვენი ქვეყნის შესახებ.

დღეს ჩვენ დავათვალიერეთ თბილისის რამოდენიმე წარმოება. ვესაუბრეთ მუშებს, გავეცანით მათ შრომის პირობებს და ხელფასს. ჩვენ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირის მუშები გაცილებით უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე ინგლისის მუშები.

განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ზაჰესმა. შემდეგ ჩვენ ვისტუმრეთ მცხეთას, სადაც დღეს საეკლესიო დღესასწაული იყო. იმ საეკლესიო დღესასწაულში, რომელიც, ჩვენ ვიხილეთ მცხეთაში, დავრწმუნდით, რომ რელიგია საბჭოთა კავშირში სრული თავისუფლებით სარგებლობს.

პროფ. ამშლერი ამხ. ა. გეგეჭკორთან

ხამშაბათს, ოქტომბრის 12-ს, მიუნხენიდან (გერმანია) საქართველოში ჩამოსულ პროფესორს ამშლერს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარ ამხ. ა. გეგეჭკორთან.

პროფ. ამშლერმა მადლობა გადუხადა ამხ. ა. გეგეჭკორს იმ ყურადღებისათვის და დახმარებისათვის, რომელიც მას აღმოუჩინეს მისი საქართველოში ყოფნის დროს საბჭოთა დაწესებულებებმა და სამეცნიერო ძალებმა. საუბარის დროს პროფ. ამშლერმა განაცხადა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის და კერძოდ, მესაქონლეობის დარგში აღებული გეზი სავსებით სწორი და მიზანშეწონილია.

— თქვენ, სამწუხაროდ, არ იცით—უპასუხა ამხ. ა. გეგეჭკორმა—რა მდგომარეობა იყო ამ დარგში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, რა მემკვიდრეობა მივიღეთ, რა დონეზე იყო ჩვენში სოფლის მეურნეობა და, კერძოდ, თქვენი სპეციალობის დარგი—მესაქონლეობა. მაშინ თქვენ უკეთ დაინახავდით, რის შემძლეა განთავისუფლებული ხალხი, რა დიდ შემოქმედებით უნარს იჩენს იგი, რა დიდი მიღწევები აქვს საბჭოთა ხელისუფლებას სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში.

პროფ. ამშლერმა განაცხადა, რომ, მართალია, იგი არა ყოფილა წინად საქართველოში, მაგრამ იგი იცნობს საქართველოში სოფლის მეურნეობის და კერძოდ, მესაქონლეობის მდგომარეობას მეფის მთავრობის და მენშევიკების დროს. წინანდელთან შედარებით, საბჭოთა ხელისუფლებას დიდი მიღწევები აქვს, თქვენი გეზი სავსებით სწორია, თქვენი მიღწევები უდაოა, ამ მიმართულებით ბევრი რისამე მიღწევა შეიძლება.

შემდეგ, საუბარი შეეხო ადგილობრივ ჯიშების მოშენების გარდა, გერმანიიდან იქაური კულტურულ საქონლის ჯიშების საქართველოში შემოყვანის და აქ მოშენების საკითხს, პროფ. ამშლერის აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოს მთავრობის მიერ მესაქონლეობის აქაურ სპეციალისტ-ზოოტექნიკოსებისაგან შემდგარ ექსპედიციის გაგზავნა გერმანიის მესაქონლეობის გასაცნობათ, განსაკუთრებით ალპიურ მეურნეობის რაიონებში, იმის გამოსარკვევად თუ, რომელი ჯიშის შერევა უფრო სასურველი იქნებოდა საქართველოს ადგილობრივ ჯიშებში. ამასთან პროფ. ამშლერმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ასეთს ექსპედიციას, მიანიჭებს მას ყოველგვარ სამოგზაურო და სხვ. შეღავათს. თვით საქონლის შეძენა გერმანიაში შეიძლება ნისიად ან გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე.—ჯიშიან საქონლის გერმანიიდან მიღება შეიძლება საქართველოში არსებულ ჯიშების საქონლის, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის და სხვ. ნაცვლად.

ამხ. ა. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ ექსპედიციის გაგზავნა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგან მთელი ხაამისო მეცნიერული ძალა, რაც კი საქართველოში მოიპოვება, ამჟამად ჩაბმულია დიდ საქმეში—საქართველოს მესაქონლეობის გამოკვლევაში.

როგორც კი ეს სამუშაო დამთავრებული იქნება, მოსახერხებელი შეიქნება ზოოტექნიკოსთა ექსპედიციის გაგზავნა გერმანიაში.

დასასრულ პროფ. ამშლერმა კვლავ მადლობა უთხრა ამხ. ა. გეგეჭკორს მისთვის გაწეულ დახმარებისთვის.

საუბარი ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

გერმანელი ახალგაზრდა მუშები ბათუმში

14 ოქტომბერს დილით გემი „ჩიჩერინით" ყირიმიდან ბათომში ჩამოვიდა გერმანიის მუშა-ახალგაზრდობის ექსკურსია 7 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ერიც კაპუსტანი თავმჯდომარეობს. ჩამოსულთა შორის 5 კომკავშირელია, 1 კომუნისტი და 1 უპარტიო, ყველა—მეტალისტები.

ექსკურსანტებმა ინახულეს აჭარის კომკავშირი, დაათვალიერეს ქალაქი და ნავთსადგური. ექსკურსანტები ძალიან დაინტერესდენ ნავთის ექსპორტით და მუშა-ახალგაზრდობის მდგომარეობით წარმოებაში.

შემდეგ ექსკურსია გაემგზავრა მწვანე კონცხზე და ბოტანიკურ ბაღში.

დღეს, საღამოს 5 საათზე ექსკურსია თბილისში გაემგზავრება.

ბრძოლა მფლანგველობასთან

ამიერ-კავკასიის ცაკმა გადასწყვიტა მოიწვიოს თათბირი მფლანგველობასთან და სამეურნეო უყაირათობასთან საბრძოლველ ზომების გამოსამუშავებლად. თათბირზე მონაწილეობას მიიღებენ ა.-კ. ცაკის საკანონმდებლო კომისიის, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ა.-კ. ფინსახკომის ა.-კ. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, ა.-კ. პროფსაბჭოს, ა.-კ. შრომის კომისარიატის, ზაკსოიუზის და რესპუბლიკანურ იუსტიციის სახალხო კომისარიატების და შინსახკომისარიატების წარმომადგენლები.

თათბირს მინდობილი აქვს ერთი თვის განმავლობაში დაამუშაოს და წარმოადგინოს აღნიშნულ მოვლენებთან ბრძოლის პროექტი, რომელსაც განიხილავს ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმი.

ამასთანავე ერთად წინადადება მიეცათ ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მიაქციონ პროკურატურის ყურადღება მფლანგველობასთან და თანამდებობის პირთა სამეურნეო უყაირათობასთან წარმატებით ბრძოლას.

სას. სამეურ. გადასახადი

აფხაზეთში

აფხაზეთის სახკომსაბჭომ დაადგინა განთავისუფლოს სას.-სამეურნეო გადასახადისაგან ის წარმოებები გარდა, რომლებიც განთავისუფლებულია ცენტრის მიერ—ჩაის, კანაფის, სურნელოვანი, მცენარეების, საწამლე და სადეკორაციო მცენარეების კულტურა. დადგენილია აგრეთვე აღძრულ იქნეს შუამდგომლობა ცენტრის წინაშე, რომ, რადგან თამბაქოს რეალიზაცია ხდება დაგვიანებით—სას. სამეურნეო გადასახადი გადახდილი იქნეს სამ ვადაში: პირველ დეკემბერს 30%, პირველ თებერვალს 40% და პირველ აპრილს 30%.

ოზურგეთის მაზრა

სამაზრო საფინანსო განყოფილების ცნობებით, 1926—27 წლის განკვეთის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოსათვლელათ მაზრაში აღრიცხვაზე აყვანილი იქნა: 24,708 მეურნეობა, 119,499 სული, 42.233 დესიატინა სახნავ-სათესი მიწა, აქედან ნათესი 14,003 დესიატ., ბაღები—377, ვენახები—1.120, თამბაქოს პლანტაციები—128, ჩაის ნარგავები—31 დეს.; სხვადასხვა საქონელი 14.136, ცხენები—1.993, ხარები და კამეჩები—16.243, ვირები—16, წვრილფეხა საქონელი—4,815; ღორები—9.837; სკა ჩარჩოიანი—168, უჩარჩო 1.102.

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი

გუშინ სახკომსაბჭოში შედგა ს. მ. უ. ს. და ს.გეგმის კომისიის სპეციალისტების თათბირი სახკომსაბჭოს მოადგილის ამხ. ჟუღელის თავმჯდომარეობით.

თათბირმა მოისმინა საკავშირო გეოლოგიურ კომიტეტის სპეციალურ გეოლოგიურ ექსპედიციის ხელმძღვანელის მოლჩანოვის მოხსენება ტყვარჩელის რაიონში ქვანახშირის გამოკვლევის შესახებ.

ტყვარჩელის საქვანახშირო რაიონი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში მდ. ინგურსა და კოდორის შუა. სულ აქ გამოკვლეულ იქნა 10.000 კვადრ. ვერსის მოედანი. ეს ადგილი დაშორებულია ე. წ. „ტყვარჩელის კარს" 12 ვერსით. გამოკვლევა სწარმოებდა საცდელი ჭა-ბურღილების ამოთხრით, რისთვისაც საჭირო იყო სხვადასხვა აპარატების და ხელსაწყოების მიტანა ადგილზე. ხოლო ეს კი ძნელდებოდა უგზოობით. ამიტომ ბევრგან გაიყვანეს ახალი საცალფეხო გზები.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ამ რაიონში ქვანახშირის ულეველი მარაგია და შეიძლება დაუყონებლივ დავიწყოთ საექსპლოატაციო მუშაობა. აღმოჩენილ იქნა ნახშირის ქვედა ფენების ისეთი სისქე, როგორსაც იშვიათად ვხვდებით თვით დონბასში.

ხარისხით ტყვარჩელის ქვანახშირი საუკეთესო ღირსებისაა და იძლევა ნაცრიანობას მხოლოდ 6—12 პროცენტამდე. სულ ამ მხრივ გამოცდა ჩატარდა 200 ნიმუშზე.

საერთო ჯამადით გამოკვლეულ 10 ათასი კვადრ. ვერსის მოედანზე უნდა მოიპოვებოდეს დაახლოებით 4 მილიარდამდე ფუთი ქვანახშირი. ამჟამად მორიგი საკითხია, მხოლოდ ნახშირის გამოცდა კოქსის გასაკეთებლად.

გეოლოგიური გამოკვლევები გაგრძელებული იქნება მომავალ წელს დაახლოებით 40 ათას კვ. ვერსის სივრცეზე.

ღვინის დამზადება

ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა მიმდინარე შემოდგომის სეზონში დაამზადებს 320.000 ვედრო ღვინოს. ღვინო მზადდება კახეთში, განჯისა და ერევნის რაიონებში.

ღვინის დასაყენებლად სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ შეისყიდა 250.000 გრადუსი სპირტი. წელს ღვინის დამზადება უმთავრესად იწარმოებს პაპის სპირტით.

აბრეშუმის თესლი

მეაბრეშუმეობა საქართველოში სწრაფად ვითარდება. ჩვენ უკვე გავსცილდით ომის წინანდელ ნორმას. წელს საქართველოში შეგროვილი იქნა 165.000 ფუთი აბრეშუმის პარკი, რაც სარეკორდო ციფრად უნდა ჩაითვალოს.

მეაბრეშუმეობის ზრდა ხდება უმთავრესად ადგილობრივ დამზადებულ თესლის ხარჯზე. თუ 1921 წელში ადგილობრივ დამზადებული იყო 5,000 კოლოფი თესლი, შარშან უკვე დამზადდა 80.000 კოლოფი, მომავალ წელში კი განზრახულია დამზადებული იქნეს 110-120 ათასი კოლოფი თესლი.

ადგილობრივ დამზადებული თესლი კარგი ღირსებისაა. მიღებულია ყველა ზომები თესლის ღირსების კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად და თვითღირებულების შესამცირებლად.

საქართველოში ამჟამად აბრეშუმის თესლს ამზადებს 14 პუნქტი, აქედან ორი პუნქტი ეკუთვნის საზ-ბა „აბრეშუმს". ყველა ეს პუნქტები მუშაობენ პრიმიტიულად, რაც გავლენას ახდენს როგორც თესლის ღირსებაზე, ისე თვითღირებულებაზე.

ეს მხედველობაში მიიღო საქართველოს საგეგმო კომისიამ, რომელმაც აუცილებლად სცნო მოწყობილი იქნეს საქართველოში აბრეშუმის თესლის დამამზადებელი 10 დაწესებულება.

დახმარება

საკრედიტო ამხანაგობებს

საკრედიტო ამხანაგობების მუშაობის გასაღრმავებლად და მათი საქმიანობის გლეხობასთან დასაახლოვებლად, ამიერ-კავკასიის სას.-სამ. ბანკმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ სას.-სამ. ბანკებს გაუწიონ ფინანსიური დახმარება საკრედიტო ამხანაგობებს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გასაღების საქმეში.

ფინანსიური დახმარება უნდა მიეცეს მათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებაში, კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოთა შეკვეთით, ბაზრებზე სას.-სამ. პროდუქტების გასაღებაში და საკრედიტო ამხანაგობათა წევრების სასოფლო-სამეურნეო იარაღებით მომარაგებაში.

რესპუბლიკანურმა სას.-სამ. ბანკებმა აღნიშნული დახმარება უნდა გასცენ ა.-კ. სას.-სამ. ბანკიდან მიღებულ სპეციალურ სესხებით მიღებულ თანხებიდან და ბანკების წესდებით გათვალისწინებულ საბრუნავ თანხებიდან. გარდა ამისა, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, ბანკებმა უნდა შექმნან სპეციალური ადგილობრივი თანხები, საიდანაც პირველ რიგში მიეცემათ საკრედიტო ამხანაგობებს დახმარება, როგორც სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გასაღების, ისე სასოფლო მეურნეობისათვის აუცილებელ იარაღების მომარაგებისათვის.

მუშათა ცხოვრება

აფთიაქებში მომუშავეთა შორის

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გაიმართა თბილისის აფთიაქებში მომუშავეთა საწარმოო კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა ამხ. სახაშვილის და ჩიქოვანის მოხსენება სამედვაჭრობის მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სამედვაჭრობას მუშაობაში დიდი მიღწევები აქვს, რაც გამოიხატება შემდეგში: საანგარიშო ხნის განმავლობაში მოგვარდა გალენურ ლაბორატორიის მოწყობის საკითხი: შეძენილ იქნა კოლოფები სხვადასხვა წამლებისათვის; მოეწყო ანალიტიკური ლაბორატორია; გაფართოვდა მაზრებში სააფთიაქო ქსელი და სხვა...

ამის შემდეგ მოხსენება გააკეთა სააფთიაქო სამმართველოს მუშაობის შესახებ ამხ. ვადაჭკორიამ.

ამხ. ვადაჭკორიას მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სამმართველოს მიერ გადახალისებულ იქნა ის აფთიაქები, რომლებიც ვერ ასრულებდნენ თავის დანიშნულებას, შეკეთდა კაპიტალურად ცენტრალურ-სააფთიაქო საწყობის ბინები, დარიგებულ იქნა სპეციალისტი თანამშრომლები და სხვა... ამის შემდეგ კონფერენციამ აღნიშნა მოხსენებიდან მუშაობის როგორც ნაკლს, ისე მიღწევას და ერთხმად ადგინა: აღმოჩენილ იქნას სათანადო დახმარება სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებულ ლაბორატორიის მოწყობისათვის, აღდგენილ იქნეს დაწესებულების ყოველგვარი ფინანსიური ზარალი.

კონფერენცია გადადის აგრეთვე აფთიაქებში მომუშავე ფარმაცევტების ნაკლულოვანებაზე და საჭიროდ აღიარებს შტატის გადიდებას, ცნობს აგრეთვე მექანიზაციის გატარების აუცილებლობას და გამოთქვამს შემდეგ სურვილს: „ვინაიდან მექანიზაციის საკითხი არის გაურკვეველი და კონფერენციას არ შეუძლია მისი პრინციპიალურად გადაჭრა, დაეკისროს კავშირის ცენტრალურ გამგეობას გამოჰყოს სათანადო კომისია აღნიშნულ საკითხის მეცნიერულად დასამუშავებლად.

კავშირის ცენტრალურ გამგეობამ გამოჰყო კომისია ამხ. ქუთათელაძის თავმჯდომარეობით, სადაც შედიან შემდეგი ამხანაგები: 1) ალადაშვილი, 2) ვირსალაძე, 3) მოსეშვილი 4) ჯუჯამე და ერთი წარმომადგენელი ფარმაცევტებისაგან.

მუშკორი მებრძოლი.

ვებრძვით ხულიგნობას

13 ოქტომბერს შესდგა გაზეთ „კომუნისტის" და „მუშის" მუშკორთა გაფართოებული მასიური კრება.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ბრძოლა ხულიგნობასთან და მუშკორების როლი ამ ბრძოლაში, 2) ექსკურსიის მოწყობა მუშათა უბნებში, 3) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა მილიციის უფროსმა ამხ. ხმალაძემ, რომელმაც აღნიშნა ხულიგნობასთან ბრძოლის შედეგები. მომხსენებლის თქმით, პირველ ხანებში ხულიგნობამ ძალიან რთული სახე მიიღო. ხულიგნობა მეტად გაშლილია მეთორმეტე, მეორე, მესამე, მეშვიდე და მეცხრე უბნებში. 9 თვის განმავლობაში ხულიგნობის შემთხვევა ქალაქ თბილისში ყოფილა 3.962, აქედან ადმინისტრატიულ წესით მისჯილი აქვს სასჯელი 3.363 კაცს, კამერაში გადაგზავნილია 599 კაცი. ამ რიგად მილიცია სასტიკ ზომებს ღებულობს ამ წინააღმდეგ. მუშკორების როლზე ხულიგნობასთან ბრძოლაში თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. კიდურაძე, რომელმაც სთქვა, რომ მუშკორებმა უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ პრესაში ხულიგნების ვინაობის და ხულიგნობის ფორმის გამოქვეყნებით.

ამხ. ხმალაძის მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგ მუშკორებმა: ტატანაშვილმა, დოლიძემ, ჯავახიშვილმა, იტრიევმა, ჯავახაძემ, ოგანოვმა, ნანუაშვილმა, გორდაძემ და ხუბრიაშვილმა. მომკამათენი აღნიშნავდენ თუ სად უფრო მძვინვარებს ხულიგნობა; ისინი აღნიშნავდნენ ზოგჯერ მილიციელის მოქმედების სუსტ მხარეებს,—ხულიგნობასთან ბრძოლაში. კრებამ მიიღო სათანადო რეზოლუცია, სადაც იგი სასტიკ ბრძოლას უცხადებს ხულიგნებს.

კრებამ დაადგინა, შაბათს (16 ოქტომბერს) მოეწყოს მუშკორთა ექსკურსია ორთაჭალის ბაღებში. მუშკორები 3 საათიდან თავს იყრიან (ყოფილ პუშკინის ბაღში).

მუშკორი რადიუმი.

ჩვენი ქარხკომის მუშაობა

მელითონეთა კავშირის გაერთიანებული ქარხკომი, რომელშიაც გაერთიანებულნი არიან ქარხანა-სახელოსნოებში მომუშავე მუშა-მოსამსახურენი, შესდგება 11 წევრისაგან და 2 კანდიდატისაგან.

ქარხკომი აერთიანებს კერძო სახელოსნოებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთ—სულ 249 კაცს. მათ შორის 207 კავშირის წევრია და 42 არა კავშირის წევრი.

მათ შორის 243 მამაკაცია და 6 ქალი. აქედან 38 მცირეწლოვანია.

1926 წ. 1-ლ იულისიდან 1-ლ სექტემბრამდე, ქარხკომს ჰქონდა სხდომა 6 ჯერ (რა ქარხნის ერთხელ). განხილულ იქნა სულ 45 საკითხი; აქედან საორგანიზაციო 34 საკითხი, საწარმოო-საეკონომიო 3, კულტ-განმანათლებელი 7 და დარიგები 1.

ქარხკომის წევრები არიან დაყოფილნი ყველა სახელოსნოებზე და მათ აქვთ დაკისრებული ახლო-მახლო ქარხანა-სახელოსნოებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების და სადელეგატო კრების მოწვევა და სხ.

კულტ-კომისიაში იყო არჩეული 4 წევრი, რომლებიც ძალზე სუსტად მუშაობდნენ. ამ ხანებში იქნა ახლად არჩეული კულტ-კომისია, რომელშიაც შედის 5 კაცი.

ამ უკანასკნელ შემადგენლობის კულტ-კომისიის სხდომა მოხდა სულ 3-ჯერ, რომელზედაც იქნა გარჩეული 18 საკითხი.

მუშა-მოსამსახ. საერთო კრება—ქარხკომმა ამ ხნის განმავლობაში მოიწვია 4 ჯერ. გარჩეულ იქნა სულ 9 საკითხი: საორგანიზაციო—7, საწარმოო—1 და კულტ-განმანათლებელი—1.

ხელფასი მუშებს პირველ თანრიგით ეძლევათ 17 მან. 50 კ. საშუალოდ 21 მან. და 50 კ. და 50 კაპ.

ამ ხნის განმავლობაში მოხდა ქარხნების დათვალიერება შრომის ინსპექტორის თანდასწრებით 4 ჯერ, სანიტარული—ერთხელ.

კონფლიქტი (შრომის სასამართლოში გადაცემით) კერძო სახელოსნოების მეპატრონეთა შორის გვქონდა 7-ჯერ. ყველა კონფლიქტები მუშების სასარგებლოდ დამთავრდა.

ზაფხულის სეზონში ქარხკომმა გაგზავნა დასასვენებელ სახლებში 25 კაცი და 2 კაცი კურორტზე.

მელითონეთა კავშირის მიერ მოწყობილ ექსკურსიებით ისარგებლეს ჩვენმა მუშებმაც. მათ იმოგზაურეს: ბათომში, ბორჯომში, „ზაჰესში" და მცხეთაში.

შ. ილ—ვი.

მუშათა ქრონიკა

— **მეათე ნომერი.** სადგურ თბილისის დეპოს კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთი „ნოშან ხეები"-ს მორიგი მეათე ნომერი. გაზეთი შინაარსიანია.

— **დელეგატების კრება.** 13 ოქტომბერს შესდგა სად. თბილისის მორიგის ადგილკომის დელეგატების სხდომა. სხდომამ განიხილა ადგილობრივი სხვადასხვა საქარ-ბორჯომ საკითხები.

— **თათბირი.** 4 ოქტომბერს შესდგა თბილისის უბნის ადგილკომების დელეგატთა თათბირი.

— **დამხმარე სალაროს მოხსენება.** 30 სექტემბერს, გორის მუშა-მოსამსახურეთა საგზაო კლუბში საუბნო დამხმარე სალაროს მოსახლების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლაშხმ. მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

— **საუბნო კონფერენცია.** 4 ოქტომბერს პლეხანოვის სახლებში მუშათა კლუბში შედგა თბილისის რკინის გზის საუბნო კონფერენცია.

— **ერთი პროცენტი მეძალოროდეთა სასარგებლოდ.** რკინის გზის საუბნო კონფერენციამ დაადგინა—გადადებულ იქნეს ყოველთვიურად ხელფასის ერთი პროცენტი.

— **შაქრის გაიაფება.** მუშკოოპის გამგეობის დადგენილებით ჩატარდა ფასების დაკლების კამპანია. შაქარზე ფასებმა დაიკლო გირვანქაზე 2 კაპიკით.

მებამბეობა ა.-კავკასიაში

ნათესების სივრცე

ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის ცნობებით ბამბის დათესილი სივრცე ამჟამად შეადგენს: აზერბეიჯანში—97.9 დეს. სომხეთში—11.721 დეს. საქართველოში—7.706 დეს. და აფხაზეთში—991 დეს.

სულ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკებში 1925—26 წელში დათესილია —118.303 დეს. ბამბა.

ბამბის საწმენდი ქარხნები

ამიერ-კავკასიის ბამბეულობის კომიტეტის ყველა ბამბის საწმენდ ქარხნები მზადაა ამუშავებლად. მალე დამთავრდება ახალი დიდი ბამბის საწმენდი ქარხნის აგება ევლახში, ქარხანა ერთ სეზონის განმავლობაში გაწმენდს 15.000 ტონა ნედლ ბამბას. ქარხანასთან შენდება ორი საცხოვრებელი სახლი მოსამსახურეთათვის. ქარხანა მალე ამუშავდება.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბამბე კამპანიის დაწყებისთვის ამუშავდება: აზერბეიჯანში—14 ქარხანა, სომხეთში—2, საქართველოში—3 და აფხაზეთში—1.

ბამბის შესყიდვა

მიმდინარე წელში ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის განზრახული აქვს შეისყიდოს ბამბის ნედლეული: აზერბეიჯანში—3.927.172 ფუთი, სომხეთში—57.290, საქართველოში—23276 ფ. და აფხაზეთში—24.400 ფუთი.

სულ მთელ ამიერ-კავკასიაში 4.755.816 ფუთი ბამბის ნედლეული.

პური და მანუფაქტურა მებამბეებს

ამიერ-კავკასიის ბამბეულობის კომიტეტი მებამბეებს ამიერ-კავკასიის მიმდინარე წელში მიაწვდის პურს და მანუფაქტურას შემდეგი რაოდენობით:

ხორბალი: აზერბაიჯანს—900.000 ფუთი, სომხეთს—480.000 ფ., საქართველოს—130.000 ფუთი.

მანუფაქტურა: აზერბეიჯანს—5.040.000 მეტრი, სომხეთს—784.000 მეტრი, საქართველოს—782.000 მეტრი. ხორბალს მიაწვდის ამიერ-კავკ. მებამბეობის კომიტეტი, ხოლო მანუფაქტურას—კოოპერაცია.

ბამბის შესყიდვა

მიმდინარე წელში ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტს განზრახულ აქვს შეისყიდოს ბამბის ნედლეული: აზერბეიჯანში—3.927.172 ფუთი, სომხეთში—57.290, საქართველოში—232.076 ფ. და აფხაზეთში—24.400 ფუთი.

სულ მთელ ამიერ-კავკასიაში 4.755.816 ფუთი ბამბის ნედლეული.

ჯანმრთელობის დაცვა

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სანიტარულ-ეპიდემიური განყოფილების მიერ წელს უმთავრესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ეპიდემიებთან ბრძოლას.

მწვავე ავადმყოფობათა მოძრაობის სურათი წარსული წლის 1-ლი ოქტომბრიდან ამ წლის ივლისამდე ასეთია:

კუჭის ტიფით დაავადებულთა შემთხვევა 9 თვეში ყოფილა 19; აქედან თბილისში 14 და დანარჩენი პროვინციებში.

პარტახტიანი ტიფით გამხდარა ავად 297 მოქალაქე; აქედან 53 მარტო თბილისში, ხოლო დანარჩენი ნაწილდება მაზრებს შორის.

მუცელათა დაავადებულთა შემთხვევა ჰქონია 3.586 შემთხვევა; აქედან თბილისზე მოდის 704 შემთხვევა.

ციმბირის წყლულით ავად გამხდარა 140 კაცი; ხოლო ყვავილით—120. ორივე ავადმყოფობათა წინააღმდეგ სწარმოებდა აცრა და იგზავნებოდა ადგილებზე ასაცრელად შრატი.

ცოფით საანგარიშო პერიოდში ავად გამხდარა 1848 კაცი, რომლებიც უმთავრესად დაკბენილნი იყვნენ ცოფიანი ცხოველების მიერ.

ამას გარდა ეპიდემიების შემოტანის თავიდან ასაცილებლად სანაპირო ქალაქებში მოეწყო კარანტინი და სისტემატიური ბრძოლა ვირთხებთან, რომელთა საშუალებით ვრცელდება მრავალნაირი ავადმყოფობა.

მალარიასთან ბრძოლა გამოიხატა 6 სამალარიო სადგურის გახსნაში და მაზრებისათვის ჰინა-ქინის მიწოდებაში, სულ დახმარება აღმოუჩინეს 37.884 მალარიით ავადმყოფებს.

ვენერიულ სნეულებებთან ბრძოლა სწარმოებდა ვენერიულ დისპანსერების საშუალებით; სულ მთელ რესპუბლიკაში ვენერიული ამბულატორიებში გატარდა 13.191 ავადმყოფი.

განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა აგრეთვე მიქცეული ჭლექით დაავადებულთა მკურნალობას. რესპუბლიკაში არსებულ ტუბერკულოზის დისპანსერებს აღმოუჩენიათ დახმარება 3.274 ავადმყოფისათვის.

ჯანსახკომის ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტს მოუხდენია 24.653 სხვადასხვა ხასიათის გამოკვლევები (სისხლის, ნახველის და სხ.). ინსტიტუტი ამასთანავე აწარმოებდა ლაბორატორიებში მუშაკთა მომზადებას, რომლებიც დაიგზავნებიან მაზრებში სამუშაოდ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოსახლეობას დაურიგდა სხვადასხვა სამკურნალო ხასიათის წიგნაკები 40 ათასი ტირაჟით.

ვენდისპანსერის მუშაობა

12 ოქტ. საღამოს თბილისის 1-ლ ვენეროლოგიურ დისპანსერში შესდგა ქალაქის ექიმების თათბირი, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა თბილისის პირველი ვენეროლოგიური დისპანსერის გამგე ექ. ლეღლიძე.

თავის მოხსენებაში იგი შეეხო დისპანსერის საქმიანობას მისი დაარსებისა ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნული დისპანსერი გახსნილია 1925 წლის 18 ივნისს. ყოველდღე დისპანსერში მოდის საშუალოდ 165 ავადმყოფი. სულ ერთი წლის განმავლობაში დისპანსერში გაუვლია 2001 ავადმყოფს, რომელთაც აღმოუჩინეს სამკურნალო დახმარება. აქედან დიდი ნაწილი სავსებით გამოჯანმრთელდა, ხოლო ზოგი განკურნებამდე სტოვებს მკურნალობას.

დაავადმყოფებულებში უმრავლესობას შეადგენენ უცოლო ვაჟები, შემდეგ დაოჯახოვნებულნი მამაკაცები და ბოლოს ქალები. 2001 ავადმყოფიდან 1318 მამაკაცია 533 ქალი და 150 მოზარდი.

დისპანსერს უწარმოებია აგრეთვე სანიტარული განათლების ხასიათის მუშაობა, რაც გამოიხატება ლექციების მოწყობაში, როგორც დისპანსერში, ისე მის გარეთ, საუბრების გამართვაში ავადმყოფებთან და დიაპოზიტივების ჩვენებაში ეკრანზე. გაწეულია აგრეთვე პროპაგანდა ქორწინების წინ ჯანმრთელობის შემოწმების შესახებ. ასეთი ხასიათის მუშაობამ შედეგათ შესამჩნევი გახადა ავადმყოფების უფრო შეგნებული დამოკიდებულება ავადმყოფობისადმი და განკურნების რიცხვის ზრდა.

ვენერიულ სნეულებიდან დისპანსერის დაკვირვებით ყველაზე უფრო გავრცელებულია სუსნეტა, ხოლო მეორე ადგილზე სდგას სიფილისი.

მომხსენებელმა აღნიშნა დისპანსერის შემდგომი სანიტარიული მუშაობის გაფართოება, ბრძოლა პროსტიტუციასთან, ვენერიულ სნეულებათა მკურნალობის გაუმჯობესება, საზოგადოებრივი შემოწმება, სნეულების 5 მეზობელ რაზმების მოწყობა მაზრაში და სხვა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა ვენერიულ სნეულებათა შესწავლის მეთოდების შესახებ.

74.000.000 მან.
უმუშევრობასთან საბრძოლველად

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილებამ დაუგზავნა მიწერილობები ყველა რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატებს, რომელშიაც ნათქვამია: მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ გადადებულია 74.000.000 მანეთი კავშირის ტერიტორიაზე საგზაო მშენებლობის საწარმოებლათ.

ამ თანხიდან ყველა რესპუბლიკებს მიეცემათ განსაზღვრული თანხები თვითეულ რესპუბლიკის ფარგლში გზების გასაყვანათ.

ა.-კ. შრომის კომისარიატის წინადადებით რესპუბლიკანურმა შრომის კომისარიატებმა უნდა გამოარკვიონ შინსახკომებთან შეთანხმებით, თუ ყოველ ცალკე რესპუბლიკაში რა მანძილის გზა უნდა იქნას გაყვანილი, რამდენი დრო დასჭირდება ამ გზების გაყვანას და რამდენი მუშა-ხელი იქნება საჭირო.

საგზაო აღმშენებლობაში ჩაბმულ უნდა იქნეს მხოლოთ შრომის ბირჟაზე აღრიცხული უმუშევრები და სამუშაოს გამორკვევის შემდეგ რესპუბლიკანურმა შრომის კომისარიატმა უნდა დასდონ შინაგან საქმეთა კომისარიატებთან ხელშეკრულებები მუშა-ხელის მიწოდების შესახებ.

ანალოგიური ღონისძიებებია მიღებული აგრეთვე კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ამნაირათ საგზაო მშენებლობისათვის გადადებული ეს თანხა ამავე დროს წარმოადგენს უმუშევრობასთან ბრძოლის საშუალებას.

ახალი ქარხნები
ხე-ტყის ქარხანა

სპეციალურმა კომისიამ, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ს. ჯუღელის თავმჯდომარეობით, განიხილა ახალი ქარხნების აგების საკითხი, კომისიამ საჭიროდ სცნო სამხრეთ-ოსეთის ადგილობრივ მრეწველობის განვითარების მიზნით, აგებულ იქნეს სამხრეთ-ოსეთში ხე-ტყის ქარხანა, რისთვისაც გადადებულ უნდა იქნეს 150.000 მანეთი.

ს. მ. უ. საბჭოს დაევალა შეადგინოს ქარხნის აგების პროექტი 150.000 მან. ფარგლებში კომისიის დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინება ეკონომიურ საბჭოს.

ყველის და კარაქის ქარხანა

კომისიის დადგენილებით ს. მ. უ. საბჭოს დაევალა დაუყონებლივ შეუდგეს წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის ორგანიზაციას ს. ყაზბეგში და ს. ბეჟანოვში (ახალქალაქის მაზრა), ყველისა და კარაქის ქარხნების ასაგებად.

გარდა ამისა ს. მ. უ. საბჭოს დაევალა გამოარკვიოს თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება ბორჩალოს მაზრაში მესამე ქარხნის აგება.

თხილის სარჩევი ქარხანა

ს. მ. უ. საბჭოს მიერ შეძენილი თხილის სარჩევი ქარხანა, კომისიის დადგენილებით, საჩქაროდ უნდა იქნეს აგებული ქ. ოზურგეთში.

გარდა ამისა უნდა იქნეს შეძენილი ა.-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის თხილის სარჩევი ქარხანა (ქ. სენაკში).

თხილის სარჩევ ქარხანას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან გარჩეულ თხილს ძალიან დიდი გასავალი აქვს, როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში და ამით თხილს, როგორც საექსპორტო საქონელს, გაცილებით მეტი მნიშვნელობა ეძლევა.

მეღვინეობის კოოპერაცია

მევენახეობა-მეღვინეობის კოოპერაცია თანდათან იპყრობს მოსახლეობის ფართო წრეებს და სათანადო ავტორიტეტს პოულობს გლეხობაში, რასაც ამტკიცებს ქვედა საფეხურის მევენახეობა-მეღვინეობის კოოპერატივების შექმნა უკანასკნელ ხანებში და მათი გაძლიერება ორგანიზაციულად და ფინანსიურად.

მაგრამ მევენახეობა-მეღვინეობის კოოპერაციის განვითარებას ხელს უშლის საერთო და ადგილობრივი ხასიათის დაბრკოლებები.

საერთო ხასიათის დაბრკოლებებს ეკუთვნის მატერიალური საშუალებების ნაკლებობა და საკუთარი თანხების უქონლობა, რის გამო კოოპერაციას არ შეუძლია ფართოდ განავითაროს თავისი ოპერაციები პროდუქტების დამზადებაში და ფილოქსერისაგან დაღუპულ ვენახების აღდგენის დარგში.

აღსანიშნავია მეღვინეობის კოოპერაციისათვის მიცემულ კრედიტის სიმცირე, რაც მძიმე ტვირთად აწვება ამ საქმის განვითარებას.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აგრეთვე უარყოფითი გავლენას ახდენს მევენახეობა-მეღვინეობის კოოპერაციის ქვედა ქსელის ნაყოფიერ მუშაობაზე. ეს არის ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციების ჩარევა კოოპერაციის მუშაობაში, რაც არღვევს ამ უკანასკნელის გეგმაშეწონილ მუშაობას.

მევენახეობა-მეღვინეობის კოოპერაციის მუშაობის გაძლიერებლად საქართველოს საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო მიეცეს კოოპერაციას 1926—27 წლის განმავლობაში საბანკო კრედიტი 150.000 მანეთი და გრძელვადიანი სესხი 200.000 მანეთი

ტრაქტორები

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გახსნა კრედიტები ტრაქტორების შესასყიდათ: აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო ბანკს მისცა 32000 მ. 25 ტრაქტორის შესაძენად, და სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკს—13.000 მან. 10 ტრაქტორის შესაძენათ.

ნაოსნობა მდ. რიონზე

ა.-კ. ნავთსადგურთა სამმართველომ უკვე დაასრულა წინასწარი მუშაობა მდინარე რიონის გამოსაკვლევათ. გამოირკვა, რომ ფოთიდან ორპირამდე ნაოსნობას არაფერი არ დააბრკოლებს. ორპირიდან სამტრედიამდე გასაწმენდია მდინარის კალაპოტი. სამმართველოს ცნობით, პირველ რიგში ნაოსნობა მოეწყობა ფოთიდან—ორპირამდე. სანაოსნო საზოგადოების სტრუქტურა უკვე დამტკიცებულია სათანადო ორგანოების მიერ. იგი წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო კაპიტალი—სახელმწიფო დაწესებულებების სახით. საზოგადოებაში შედიან: გზათა სახ. კომისარიატი, კასპის სანაოსნო საზოგადოება, საქართველოს ს. მ. უ. საბჭო, ფოთისა და ქუთაისის აღმასკომები, საბჭოთა სავაჭრო ფლოტი და საქართველოს სახ.-სამეურნეო ბანკი.

ახლო ხანში მოეწყობა ზემოაღნიშნულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც გადაწყდება მდ. რიონზე ნაოსნობისათვის საჭირო საშუალებათა გამონახვის, სააქციო საზოგადოების წესდების და გემების ტიპის სათანადო შემუშავების საკითხები.

თათბირის შემდეგ შესყიდული იქნება სათანადო ტიპის გემები, ხოლო ახლო მომავალში დაიწყება მდ. რიონის კალაპოტის გაწმენდა ორპირიდან სამტრედიამდე.

აბრეშუმის მრეწველობა

ამჟამად რესპუბლიკაში მუშაობს აბრეშუმის სართავ-სახვევი შემდეგი ქარხნები: ოზურგეთის—72 სახვევი მანქანით, თელავის—52 სახვევი მანქანით, ხონის—[illegible] სახვევი მანქანით და სამტრედიის ქარხანა—52 მანქანით.

ახლო ხანში მთელ საქართველოში ამუშავდება სულ 224 ამოსახვევი მანქანა.

მიუხედავათ ამისა ჩვენში მზადდება იმდენი აბრეშუმის ნედლი მასალა, რომ ჩვენი ქარხნები მაინც ვერ ასწრებენ მის გადამუშავებას.

აღნიშნულ ქარხნების რიცხვს ახლო ხანში მიემატება ქუთაისის სახვევი ქარხანა,—192 სახვევი მანქანით.

ქარხნის აგება ხარჯთაღრიცხვით ჯდება 501.915 მანეთი და მზად იქნება გაისისათვის.

კომუნალური მშენებლობა

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კომუნალურმა განყოფილებამ მაზრებს დაუგზავნა ინსტრუქციები ადგილობრივ მეურნეობათა განყოფილებებთან არსებულ სატეხნიკო ქვე-განყოფილებების მუშაობისა და უფლებების შესახებ.

ინსტრუქციის თანახმად ყველა სამაზრო აღმასკომთან უნდა მოეწყოს ტეხნიკური ქ.-განყოფილება, რომელიც უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს მაზრის ფარგლებში წარმოებულ სააღმშენებლო სამუშაობებს. სატეხნიკო ქ.-განყოფილებათა შტატები განსაზღვრული უნდა იქნეს მაზრაში წარმოებულ სამუშაოთა სიდიდით განყოფილებას უხელმძღვანელებს ერთი ინჟენერი, რომლის განკარგულებაშიაც იქნება რამოდენიმე სპეციალისტი ინჟენერი და ტეხნიკოსი და ათისთავები.

ტეხნიკური ქ.-განყოფილება უხელმძღვანელებს საერთო სამოქალაქო და სასოფლო აღმშენებლობას, როგორიცაა მაგალითად, დაგეგმვა ქუჩების და წყალსადენების გაყვანა, ელსადგურების აგება. წისქვილების მოწყობა, სასოფლო და სამაზრო მნიშვნელობის გზების გაყვანა, თეატრების, სახალხო სახლების, აბანოების და სასაკლაოების მოწყობა და სხ.

ყოველ ცალკე სამუშაოზე უნდა შესდგეს ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც განიხილავს და დაამტკიცებს ტეხნიკური ქ.-განყოფილების უფროსი.

თუ მაზრის რომელიმე სოფელი მოინდომებს ახალი წყალსადენის გაყვანას მან ტეხნიკურ ხელმძღვანელობის გასაწევათ უნდა მიმართოს სამაზრო აღმასკომს, ნაცვლათ ცენტრისა. რაც შესამჩნევათ გააადვილებს სოფლებში აღმშენებლობითი მუშაობას.

ახალი სანერგე

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველო დუშეთის მაზრის სოფ. ბულაჩაურში, ნიკ. ხიმშიაშვილის ყოფ. მამულში, აშენებს ახალ სანერგეს, 22 დესეტინის სივრცეზე ხილისას და ამერიკული ვაზისას. სანერგის მოწყობის ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულია 23.773 მან. რაოდენობით, აქედან 5.000 მანეთს დუშეთის მაზრაღმასკომი გაიღებს, ხოლო 18.773 მანეთს — მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატი. მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში გაშენებული იქნება 11 ½ დეს., დანარჩენი 10 ½ დეს.—შემდეგ წელს.

კოოპერატიული კურსები

მუშკოოპის ინიციატივით თბილისში ეწყობა სპეციალური საკოოპერაციო კურსები. კურსები იქნება ორი საფეხურის: ერთი ძირითადი—საღამოს კურსები და მეორე სპეციალური.

საღამოს კურსებზე ასწავლიან ორ საგანს: 1) კოოპერაციის ორგანიზაცია და პრაქტიკა და 2) საკოოპერაციო საქმის თეორია და ისტორია. სპეციალურ კურსებზე შეასწავლიან შემდეგ საგნებს: ანგარიშწარმოება, საქონლის მცოდნეობა და სავაჭრო საქმე.

კურსებზე მსმენელებათ მიიღებიან მუშკოოპის მოსამსახურეები და სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საღამოს კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 19 ოქტომბერს, ხოლო სპეციალურზე—18 ოქტომბერს.

ქრონიკა
თბ. აღმასკომში

◆ **პენსიონერები**, რომლებსაც დახმარებას უწევდა აღმასკომი, გადაყვანილი იქნენ სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის კმაყოფაზე.

◆ **ზაჰესის მოდელი.** ელექტრო-ტეხნიკური ტრესტის მაღაზიის ვიტრინაში (რუსთ. პრ. მუშათა სასახლის გვერდით) კვირას დაიდგმება ზაჰესის მოდელი.

◆ **ხიდი.** ავლაბარში კეთილმოწყობის განყოფილება წელს ააგებს ხევზე ახალ ხიდს.

◆ **ვერის დაღმართის** მოძრაობისაგან განთავისუფლების მიზნით ვერის ხიდიდან მადათოვის კუნძულამდე მტკვრის მარჯვენა მხარის გასწვრივ გაყვანილი იქნება გზა-ტკეცილი.

◆ **ტყე.** ვაკეში აგურის ქარხნების ზემოთ წელს შეუდგებიან ტყის მოშენებას.

◆ **ყინული.** ზამთრის მოახლოვების გამო სასაკლაოს ყინულის ქარხანამ შეამცირა სანახევროდ ყინულის დამზადება.

◆ **სახ.-სამ. იარაღების** შესაკეთებელი სახელოსნოების მოსაწყობათ მაზრაში გადაიდო 12.000 მან.

მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატში

◆ **არგვეთის მამული.** შორაპნის აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა არგვეთის მამულის მისთვის გადაცემის შესახებ.

◆ **ტრაქტორების კურსებზე** მეცადინეობა დაიწყება 18 ოქტომბერს.

სოც. უზრუნველყოფის კომისარიატში

◆ **„გურული გლეხის სახლი".** ამ დღეებში ოზურგეთში გაიხსნება გლეხთა სახლი სახელწოდებით: „გურული გლეხის სახლი".

◆ **სენაკის სამაზრო გლეხკომმა** თავის ხარჯით კოოპერატივის წევრებათ ჩაწერა 520 ღარიბისი გლეხი. მათ საწევრო გადასახადათ გლეხკომმა კოოპერატივში შეიტანა 2.000 მ.

შრომის კომისარიატში

◆ **სოფლის მეურნეობაში** ჩაბმულ დაქირავებულ მუშახელის შრომის პირობების გამოსაკვლევად, შრ. კომისარიატმა ბორჩალოში გაგზავნა თავის წარმომადგენელი.

◆ **კოლექტიურ ხელშეკრულებების** ხელახალი დადება დაიწყება ნოემბერში.

◆ **მემანქანე ქალები.** შრ. კომისარიატი შეუდგა საბეჭდ მანქანებზე მომუშავე ქალთა პირობების გამოკვლევას.

◆ **ლიუქსემბურგის წარმოებებში** სანიტპირობების გამოსაკვლევად გაიგზავნა სანიტინსპექტორი.

◆ **შრომის ინსპექცია.** შრ. კომისარიატმა გადასწყვიტა აფხაზეთში დაარსოს სასოფლო-სამეურნეო შრომის ინსპექტორის თანამდებობა.

◆ **სამთამადნო კავშირის ყრილობას** შრომის კომისარიატიდან დაესწრება შრ. სახ. კომისარი ამხ. ა. მიქაძე.

◆ **პურის ცხობა.** კომისარიატმა ჯერჯერობით მიზან შეუწონლად სცნო თონეებში ძველი წესით პურის გამოცხობის აკრძალვა.

◆ **მუშათა ჯანმრთელობა.** შრ. კომისარიატმა გამოიმუშავა ღონისძიებები წარმოებებში სანიტ-ტეხნიკური პირობების გასაუმჯობესებლად და შრომის დაცვის განყოფილებას დაავალა ცხოვრებაში გაატაროს ისინი სამეურნეო ორგანოებთან შეთანხმებით.

სხვადასხვა

◆ **აბრეშუმის ქარხანა.** სახ. მეურ. უმ. საბჭო შეუდგა ქუთაისში აბრეშუმის ქარხნის ასაგებ გეგმის შემუშავებას. ქარხნის აგება დაჯდება 501,915 მანეთი.

◆ **დასავლეთ საქართველოს** საოლქო სასამართლოს წევრად დაინიშნა ტ. თუმანოვი.

◆ **გრეხილ ავეჯეულობის ქარხნები.** თბილისიდან ამ თვის ბოლო რიცხვებში გადატანილი იქნება მარელისში.

◆ **შეკეთება.** დამთავრდა ლითონის ქარხნის შეკეთება-გაფართოება.

— **სავაჭრო ქსელი.** მუშკოოპმა დაადგინა გააფართოოს ქალაქის განაპირა უბნებში სავაჭრო ქსელი, ახალი მაღაზიების გახსნით.

◆ **ახალი აფთიაქების გახსნა,** ან ძველი აფთიაქების დახურვა და ერთი ადგილიდან სხვა ადგილზე გადატანა, ჯანსახკომის დადგენილებით უნდა ხდებოდეს მხოლოდ ფარმაცევტიულ განყოფილების თანხმობით.

● **დამცველთა კოლეგიის წევრთა კრება.** კვირას, 17 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, დანიშნულია დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება.

— **ნავთით ვაჭრობა.** ახლო ხანში მუშკოოპი შეუდგება თბილისის ქუჩებში ნავთით წვრილმან ვაჭრობას.

შემთხვევები
მძარცველები ზაჰესში

როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, 11 ოქტომბერს ზაჰესში უცნობმა ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს მუშათა კომიტეტის ბინა და გაიტაცეს ფულის რკ. სალარო 6 ფუთის სიმძიმის.

შემთხვევის ადგილას გაემგზავრა სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მოადგილე რამოდენიმე თანამშრომელით. წინასწარი გამოძიებით გამოირკვა, რომ ბოროტგამზრახველნი შესულან შენობაში ფანჯრის გატეხის საშუალებით, იპოვნეს სისხლის კვალი და სხვა ნიშნები. დაწყებული იქნა დაქტილოსკოპიური გამოკვლევა.

აღმოჩნდა, რომ სალარო გაუტანია გიორგი გიჟიმურელს (ზაჰესის მუშა) და თბილისიდან სპეციალურად ჩასულ თომა სანგულაშვილს. მათ გაუტაციათ სალარო მინდორში, გაუტეხნიათ იგი რკინის ლომით და წაუღიათ 1.800 მანეთი. ბოროტგამზრახველებისათვის დახმარება აღმოუჩენიათ არჩილ დოლაბერიძეს და ს. ჩოლოყაშვილს.

მუშათა კომიტეტის ბუღალტრის ასათიანის ჩვენებით, სალაროში ყოფილა 1.800 მანეთი და არა 1.800-ხი.

◆ **ფანჯრის გაღების** საშუალებით 13 ოქტ. თეატრის შესახ. № 4 გაქურდეს ა. მაკანის ბინა.

◆ **შეპყრობა.** 13 ოქტ. ქურდობისათვის შეიპყრეს ვინმე შახაბაზიანი

◆ ამავე დღეს ქურდობისათვის შეიპყრეს დავით სამადაშვილი.

◆ **ქურდობა.** 13 ოქტ. გრაფის ქ. № 5 გაქურდეს მიხა გარსევანიძის ღვინის სარდაფი.

— ამავე დღეს პლეხ. გამზირი № 75 გაქურდეს არაქელოვის ღვინის სარდაფი.

თოვლი
მამისონის უღელტეხილზე

მამისონის უღელტეხილზე მოვიდა თოვლი, მაგრამ გზა ონიდან ჩრდილოეთ-კავკასიისაკენ გახსნილია. გრძელდება სიმინდის შემოზიდვა ჩრდილოეთ-კავკასიიდან.

თოვლი ზემო-აჭარაში

მიმდინარე წელში ზემო-აჭარაში ზამთარი (ხულოსა და ქედის მაზრაში) ნაადრევი მოვიდა. 11 ოქტომბერს ქედის მაზრაში მოვიდა თოვლი. ზოგან თოვლის სიღრმე უდრის ერთ არშინს. თუთუნისა და სიმინდის აუკრეფელი ნაწილი დარჩა თოვლს ქვეშ. დაზარალდა აგრეთვე წვრილი ჯოგი, რომელსაც თოვლმა მთებში მოუსწრო.

სიცივეები სამხრეთ-ოსეთში

6-დან 8 ოქტომბრამდე მთელ სამხრეთ-ოსეთში ამინდი ერთბაშად შეიცვალა. თოვლი მოვიდა ცხინვალის მახლობლადაც, სადაც სიცივემ დააზარალა ხილის ბაღები და გაანადგურა დაუმწიფებელი ყურძენი. როკის და კემულის ხეობაში აცივებას მოჰყვა ძლიერი გრიგალი. ნაადრევად აცივებამ დაღუპა ქერის მოსავალი, სამხრეთ-ოსეთის მთებში, სადაც მოსახლეობას სიმშილობა ემუქრება.

მტკვრის შეგუბება

გუშინ მტკვრის კალაპოტში წყალმა შესამჩნევად დაიკლო. ამ მოვლენის მიზეზი ის არის, რომ ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ხდება წყლის ნაწილობრივი შეგუბება „ზაჰეს"-ის წყალსაცავ აუზში. რამოდენიმე დღის წინად განათხარში ჩაუშვეს პირველი ფარი მისი გასინჯვის მიზნით. გუშინ მოხდა მეორე ფარის ჩაშვება. განათხარში ფარები ჩაშვებულია იმ სიღრმემდე, რომ არ მოხდეს წყლის ხავსებით შეგუბება და წყალსაცავი აუზი თანდათანობით აივსოს საგუბრის ნიჩბების სიმაღლემდე; ფარების ერთბაშად ჩაშვება მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რადგან ეს გამოიწვევდა წყლის დაწრეტას ზაჰესის ქვევით, რაც ერთი მხრივ შეაჩერებდა ქალაქისათვის წყლის მიწოდებას და მეორე მხრივ დააბრკოლებდა თევზების თავისუფალ მსვლელობას მტკვრის ქვედა ნაწილებში.

ხელოვნება
ჭიათურის აკადემიური თეატრი

1926—27 წ. სეზონის წინასწარი სამზადისი უკვე დამთავრდა. დასს ინახავს სამაზრო აღმასკომი.

დასის გამგედ და რეჟისორად მოწვეულია ახალგაზრდა მსახიობი პ. ფრანგიშვილი. დასში შედიან შემდეგი მსახიობნი: თამარ აბაშიძე, ნინო ნინონი, ინაიდა ბერძენიშვილი, ნატალია კაკაბაძე, ნატალია სიხარულიძე, მელიქიშვილი. ანტონ ლითანიშვილი, შალიკო ბეჟუაშვილი, გიორგი ნუცუბიძე, ლეჟავა, იასონ მჭედლიძე. მიხეილ ვაშაძე, სავლე ლეჟავა, ზაქარია ურუშაძე და პ. ფრანგიშვილი.

სუფლიორად მოწვეულია გიორგი გურული, რეჟისორის თანაშემწედ—ზ. ურუშაძე; დასი მუშაობას შეუდგა 1 ოქტომბერს. ამჟამად მზადდება ალ. შანშიაშვილის ახალი ორიგინალური დრამა გლეხთა ცხოვრებიდან „ამბოკარი" და მისივე „მთარახის პანაშვიდი", სინკევიჩის „ვიდრე ხვალ" ამ პიესებისათვის იხატება დეკორაციები და იკერება ტანსაცმელი. სეზონის განმავლობაში განზრახულია გასტროლები რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნინო ჩხეიძის, ცაცა ამირაჯიბის და ალ. იმედაშვილის.

სეზონი გაიხსნება 24 ოქტომბერს „ამბოკარი"-თ.

1926—27 წ. სეზონის რეპერტუარი წარდგენილია დასამტკიცებლად სახელოვნო კომიტეტში.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ხანუმა"-ს** ჩვენება გრძელდება ორ კინოში: არფასტოსა და აპოლოში.

◆ **„პროცესი 3 მილიონის შესახებ"** ორშაბათიდან წავა „არფასტოში".

◆ **ოპერის სეზონი.** ხვალ აბესალომ და ეთერით" გაიხსნება ოპერის სეზონი.

◆ **„ანნა სნეგინა".** პოეტმა გრიგოლ ცეცხლაძემ გადმოთარგმნა ს. ესენინის პოემა: „ანნა სნეგინა". პოემა გამოდის ცალკე წიგნათ.

◆ **მუშათა თეატრის** რუსული დრამის სეზონის გახსნის მეორე დღეს, კვირას, წარმოდგენილი იქნება: "დათვური ქორწილი".

◆ **ლექცია კინოზე.** ლელი ჯაფარიძე გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში, სადაც მის მიერ ქუთაისში, ბათომში, ფოთში, ჭიათურაში და სოხუმში წაკითხული იქნება ლექცია: „კინო უცხოეთში და საქართველოში".

ნარევი
ამერიკელი სტუდენტები

ბოსტონის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის გამგეობაში შეიტანა განცხადება თხოვნით—ნუღარ თვლიან მათ უნივერსიტეტის სტუდენტებათ. ასეთი განცხადების შეტანა გამოწვეული ყოფილა იმით, რომ უნივერსიტეტში მიუღიათ ბევრი ზანგი-სტუდენტები, რომლებთანაც სწავლა თურმე „შეურაცხყოფს" ზემოთ აღნიშნული განცხადების ავტორებს. როგორც „მუშათა ტრიბუნა" იუწყება, განცხადების ავტორები ყოფილან მილიონერების შვილები. ამიტომ ზანგ-სტუდენტებს მოელის დათხოვნა, ვინაიდან „უნივერსიტეტის გამგეობისათვის არ არის ხელსაყრელი ასეთი მდიდარი სტუდენტების დაკარგვა".

ელექტრო-სახლები

ინგლისში დაარსდა სააქციო საზოგადოება ელექტრო-სახლების ასაგებათ. ამ სახლებში ყველაფერი ელექტრონით გაკეთდება. გათბობა, განათება, საჭმელის დამზადება, რეცხვა,—ყველაფერი ეს შესრულებული იქნება ელექტრონის საშუალებით. თვითეულ სახლში, რომელიც რამოდენიმე ათეულ ათას მდგმურს დაიტევს. მოეწყობა ცალკე პატარა ელექტრონული სადგური. რამდენიმე ასეთი სახლის აგება უკვე დაიწყო.

მსოფლიო რეკორდი პლანერზე

ქ. კენიგსბერგის ახლო (გერმანიაში) ამ რამოდენიმე ხნის წინათ გაიმართა საპლანერო შეჯიბრება. ამ შეჯიბრებზე გერმანელმა მფრინავმა შულცმა დაამყარა პლანერით ფრენის ხანგრძლივობის ახალი რეკორდი. თავის პლანერით მან იფრინა 9 საათი და 21 წუთი და გაარა 330 კილომეტრი.

„ხელი მოითბეს"

ამერიკის გემი „მეჩეტ" ჩაიძირა პანამის არხის შუა-გულში. ამის გამო რამდენიმე დღით შეწყდა გემების მოძრაობა არხში. „ჩიკაგონიუს"-ის ცნობით, ეს კატასტროფა განზრახ მოაწყვეს იმ მიზნით, რომ ამერიკის ბაზარზე გამოეწვიათ ფასების გადიდება პირველი მოთხოვნილების საგნებზე, კერძოთ ცხიმებზე, რომელიც ჩრდილოეთიდან შემოაქვთ. „ზოგიერთებმა საკმაოთ მოითბეს ხელი ამ კატასტროფაზეო",—შენიშნავს გაზეთი.

ფიზკულტურა
ქუთაისი

ა.-წ. 10 ოქტომბერს დაიწყო პირველობის გათამაშება კალათ-ბურთში. პირველობისათვის შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 5 გუნდი. მესამე ლეგიონის 1-ლი გუნდი, „ტრიუმფი", პროფბიუროს მესამე გუნდი, ლეგიონის მე-2-რე გუნდი და მე-3-მე გუნდები.

პირველი კალენდარული შეჯიბრი მოხდა კვირას, დილის 12 საათზე მესამე ლეგიონის 1-ლ და მე-2 გუნდებს შორის. შეჯიბრს სჯიდა ნ. გვარამიძე; თამაში საინტერესო იყო, რადგან მესამე ლეგიონის გუნდი ერთი საუკეთესო გუნდთაგანია ქუთაისში. შეჯიბრი დამთავრდა 4:16 მესამე ლეგიონის პირველი გუნდის სასარგებლოდ.

ამავე დღეს დღის პირველ საათზე მოხდა კალენდარული შეჯიბრი „ტრიუმფი"-ს და პროფბიუროს კალათ-ბურთის გუნდებს შორის. თამაშს სჯიდა ბ. კილაძე. ეს თამაში მაყურებლობაში დიდ ინტერესს იწვევდა, რადგან ეს გუნდები სრულიად ახალი გუნდებია. შეჯიბრი დამთავრდა 5:3 „ტრიუმფი"-ს სასარგებლოდ.

ა.-წ. 10 ოქტომბერს, კვირას, დღის 4 ნახ. საათზე შესდგა შემოდგომის სეზონის შეჯიბრი „ტრიუმფი"-ს პროფბიუროს გუნდებს შორის. შეჯიბრს სჯიდა ნ. გვარამიძე. ამ დღეს „ტრიუმფი" არ გამოვიდა მთელი შემადგენლობით. აკლდა ორი ძირითადი მოთამაშე: ბ. გოგოძე და ს. ჯანელიძე. თამაში დაიწყო მოდუნებულად, თითქოს არც ერთ გუნდს არ ახალისებდა თამაში, მაგრამ შემდეგ „ტრიუმფი" იწყებს მძლავრ შეტევას პროფბიუროს კარზე და ხშირად საშიშ მდგომარეობაში აყენებს პროფბიუროს, მაგრამ უშედეგოთ. თამაშის მე-30 წუთზე ა. [illegible] აგდებს ერთ ბურთს პროფბიუროს კარში. მთელი ხაიტაიმის განმავლობაში თამაში [illegible] მიმდინარეობდა პროფბიუროს კართან. პირველი ტაიმი დამთავრდა 1:0 ტრიუმფის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი იწყება პროფბიუროს შეტევით; ზედიზედ მიაქვს იერიშები და [illegible] წუთზე აგდებს ერთი ბურთი „ტრიუმფის" კარში. მაგრამ ამის შემდეგ „ტრიუმფი" განაგრძობს შეტევას, მაგრამ უშედეგოდ. სიბნელის გამო შეჯიბრი შეწყვეტილ იქნა. შეჯიბრის დასრულებას დააკლდა 15 წუთი. ამრიგად შეჯიბრი დამთავრდა 1:1. უნდა აღინიშნოს, რომ პროფბიუროს ზოგიერთი მოთამაშე [illegible].

კარლოსი.

ბიბლიოგრაფია
„სოფლის კომუნისტი"
ს.კ.პ. (ბ) ცკას ორგანო, №8—9, აგვისტო—სექტემბერი

ჟურნალის ეს ნომერი სწორედ დროზე გამოვიდა. ე. წ. გაერთიანებული ოპოზიცია ჩვენი პარტიის ისტორიაში გაუგონარ გამთიშველ მუშაობას აწარმოებს. ის ფეხქვეშ თელავს ლენინიზმის ორგანიზაციულ პრინციპებს და ყოველნაირად ცდილობს პარტიის პოლიტიკის საფუძვლების შერყევას. ოპოზიციამ აქა-იქ ჩვენშიაც წამოჰყო თავი. მთელი პარტია, როგორც ერთი კაცი, აღსდგა გამთიშველების წინააღმდეგ და ისინი სამარცხვინო ბოძზე გააკრა.

„სოფლის კომუნისტს", რა თქმა უნდა, არ შეეძლო გვერდი აევლო ეხლანდელ შინაპარტიულ მდგომარეობისათვის და გასაგებია, რომ ამ საკითხს ეხება ჟურნალში მოთავსებულ მასალების თითქმის ნახევარი.

ჟურნალი იხსნება ჩვენი პარტიის მცხოვანი ბელადის, ამხ. ფ. მახარაძის წერილით: „ჯგუფებისა და ფრაქციების საკითხი კომუნისტურ პარტიაში". წერილი ამოღებულია ამხ. ფილიპეს მოხსენებიდან, რომელიც მან გააკეთა რკინის გზის მთავარ სახელოსნოს და საყუდის კომუჯრედების გაერთიანებულ კრებაზე, 1926 წ. 20 სექტემბერს. ეს მოხსენება მთლიანად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში და ცალკე წიგნაკადაც გამოვიდა. მიუხედავათ ამისა, კარგად მოიქცა „სოფლის კომუნისტი"-ს რედაქცია, როცა ამ მოხსენებიდან მოათავსა თავი ჯგუფებისა და ფრაქციების შესახებ. ოპოზიცია ცდილობს ჯგუფებისა და ფრაქციების დაკანონებას პარტიაში, კიდევ მეტი: ის „ცნობილ" ოსოვსკის პირით კონტრ-რევოლუციონურ პარტიების ლეგალიზაციას მოითხოვს. ოპოზიციის თვალსაზრისის მიღება იქნებოდა პროლეტარიატის დიქტატურის აღსასრულის დასაწყისი. ამხ. მახარაძე ჩერდება პარტიის მთლიანობის საკითხზე, განმარტავს პარტიაში ჯგუფების და ფრაქციების დაუშვებლობას, მოჰყავს ლენინის შეხედულება მთლიანობის შესახებ, იხსენებს ტროცკის ფრაქციულ მუშაობას წარსულში (1921 წ., პროფკავშირების საკითხის გარშემო), ლენინის ბრძოლას ტროცკის წინააღმდეგ, ბოლოს, არჩევს ოსოვსკის აღმაშფოთებელ ანტიპარტიულ გამოსვლებს.

ამხ. მახარაძის წერილს კარგად უნდა ჩაუკვირდეს პარტიის ყოველი წევრი, მუშა თუ გლეხი, რომ ერთხელ კიდევ დარწმუნდეს ოპოზიციის გამთიშველ და პარტიის დამანგრეველ მუშაობაში და სასტიკი მსჯავრი დასდოს მას.

შემდეგ მოთავსებულია ამხ. ალ. პაპავას წერილი: „პარტიის მთლიანობა და ოპოზიცია". ავტორი უმთავრესად ეხება იმ გარემოებას, რომ ზინოვიევი, კამენევი და სხვები, რომელნიც წინედ ტროცკიზმის და ფრაქციულობის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას აწარმოებდნენ, ბოლო დროს ჩამოშორდნენ ლენინიზმს და ტროცკიზმის ჭაობში ჩაეფლენ. ამხ. პაპავა ცალკე ჩერდება შინაპარტიულ დემოკრატიის საკითხზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ფრაქციების და ჯგუფების დაშვების მოთხოვნასთან, როგორც ამას ოპოზიცია სჩადის. „შინაპარტიული დემოკრატია გულისხმობს პარტიის მთლიანობას, რკინისებურ დისციპლინასა და ერთიან ხელმძღვანელობას",—სამართლიანად ამბობს ავტორი.

ამხ. აკ. ჭყონია თავის ვრცელ წერილში: „პარტია და ახალი ოპოზიცია" დასაწყისში განმარტავს საკავშირო კომპარტიის ცკას და ც. საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის დადგენილებას პარტიის მთლიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ და შემდეგ საფუძვლიანად არჩევს ოპოზიციის ეკონომიურ და პოლიტიკურ პლატფორმას. მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობის ურთიერთობა, ფასების პოლიტიკა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და უცხოეთის კაპიტალი. საგადასახადო პოლიტიკა სოფლად, საბჭოთა სახელმწიფოს ხასიათი, კულაკობის საშიშროება, საბჭოთა უკანასკნელი არჩევნების შედეგები, პურის მოსავლის რეალიზაცია, საბინაო მშენებლობა,—აი ის საკითხები, რომელთა შესახებ ავტორი იძლევა პარტიის ხაზის გაშუქებას. ამხ. ჭყონია ააშკარავებს ოპოზიციის ჯადაბრას პარტიის პოლიტიკის ძირითად საკითხებში და ნათელს ჰყოფს მის შეხედულებათა დამღუპველობას პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტურ მშენებლობისათვის.

ამხ. ლ. ჩ—ძე წერილში: **„მორიგი გაწვევა წითელ ჯარში"** მარტივი ენით მოგვითხრობს წითელ არმიის როლსა და მნიშვნელობაზე და ეხება იმ ამოცანებს, რომელნიც ჩვენს წინაშე დგანან ჯარში მორიგ გაწვევასთან დაკავშირებით.

საყურადღებოა ამხ. ი. ბუაჩიძის წერილი: **„სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები ჩვენში".** ავტორი გვაწვდის ფაქტიურ ცნობებს ამ კოლექტივების მდგომარეობის შესახებ და ასახელებს მთელ რიგ ღონისძიებებს კოლექტიურ მეურნეობათა გასაჯანსაღებლად.

მას მისდევს ამხ. შ. ანდღულაძის წერილი: **„კომკავშირის მორიგი ამოცანები სოფლად"** (დასასრული). ხელმძღვანელობა კომკავშირის ძირითად ორგანიზაციებზე, მონაწილეობა ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში, კომკავშირი და სას.-სამ. კოოპერაცია, კომკავშირი და აგრონომიული დახმარება, კომკავშირელი, როგორც მეურნე, დამოკიდებულება უპარტიო გლეხობასთან, მონაწილეობა საბჭოთა მუშაობაში. მოჯამაგირე ახალგაზრდობას შორის მუშაობა, ანტირელიგიური პროპაგანდა, ყოფა-ცხოვრება,—აი ის საკითხები, რომელთა შესახებ ავტორი განმარტავს პარტიის თვალსაზრისს.

ამხ. ნ. ვ.-ს „საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები" რამოდენიმედ ზერელე ხასიათს ატარებს და მასში მოთავსებული ფაქტიური ცნობები ნაწილობრივ მოძველებულია; საკითხების შერჩევაც არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი.

„ადგილობრივ ცხოვრებაში" მოთავსებულია რამოდენიმე წერილი, რომლებიც სოფლის პარტცხოვრების საჭირბოროტო პრაქტიკულ საკითხებს ეხებიან.

საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიული განყოფილება.

ჟურნალის ამ №-ს ნაკლად ჩაეთვლება ის, რომ მასში არ არის მოთავსებული წერილი აღორძინებითი პერიოდის და დასრულებული სამეურნეო წლის შედეგების შესახებ. ასეთი მასალა, გარდა იმისა, რომ თავის თავად უაღრესად საინტერესოა, საუკეთესო პასუხი იქნებოდა ოპოზიციის გამოსვლებზე, ოპოზიციის, რომელიც ეჭვის თვალით უყურებს სოციალისტურ მშენებლობის წარმატებას საბჭოთა კავშირში.

ჟურნალში კორექტურულ შეცდომებს ბლომად წააწყდებით, რასაც შემდეგისათვის სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

საერთოდ „სოფლის კომუნისტი"-ს ეს ნომერი შინაარსიანადაა შედგენილი და მისი გულდასმითი წაკითხვა სოფლის პარტიულ მუშაკებს გაუადვილებს დღეს ჩვენს წინაშე წამოჭრილ მრავალ საკითხში გარკვევას.

X.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი
დადგენილება № 54 *)

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საბინაო კოოპერაციისათვის ხე-ტყის მასალის საშეღავათო წესით მიცემის თაობაზე" 1926 წლ. იანვრის 11-ს თარიღით გამოცემული დადგენილების იმ სახელმწიფო [illegible]ზე გავრცელების შესახებ, რომელნიც მუშათა ბინებს აშენებენ.

სრულიად საქ. საბჭოთა ცენტრალური [illegible] და საქართველოს ს.ს. რ სახალხო კომისართა [illegible] ადგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1[illegible] წლ. იანვრის 11-ს დადგენილება: საბინაო კოოპერაციისათვის ხე-ტყის მასალის საშეღავათო წესით მიცემის შესახებ". გავრცელდეს იმ სახელმწიფო დაწესებულებებზე, რომელნიც მუშათა ბინებს აშენებენ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი— ს. თ[illegible]

1926 წ. აგვისტოს 1.
თბილისი—სასახლე.

---

*) დადგენილებას ვაქვეყნებთ ხელმეორედ, ვინაიდან 19 სექტ. №-ში გამოქვეყნებულ ტექსტში შეცდომები გაიპარა.

რედ.

იურიდიული დახ[illegible]

[illegible] სალარო[illegible] მოგეცემა თუ არა [illegible] დან ბავშვის მოსავლ[illegible] და ბავშვის [illegible]ლი და[illegible] საკვებად რძის ფ[illegible]ხვა

[illegible] უმუშევარი. წინეთ ვმსახურობდი [illegible] პროფკავშირის წევრი (წიგნაკის ნომერი 663[illegible]3870); ამჟამად მე [illegible] ვარ დაზღვეული (წიგნაკის [illegible]); მყავს ფეხმძიმე ცოლი. [illegible] მიეცემა თუ არა მას ბავშვის [illegible] დახმარება და რძის ფულ[illegible] ბავშვის საკვებად.

აბრამ მამულოვი.

პასუხი

თანახმად ამიერ-კავკასიის შრომის სახკომატის 1924 წლის 22 ნოემბრის დადგენილება № 180-ის თავი 4 მუხ. 10-ისა, შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 188-თან შეფარდებით, თქვენ აუცილებლად უნდა მოგეცეთ დამზღვევ სალაროდან ორივე სახის დახმარება (ე. ი. ბავშვის მოსავლელად ერთდროული დახმარება და ბავშვის საკვებად ცხრა თვის განმავლობაში რძის ფული.

დაზღვევა და კავშირის წევრობა
კითხვა

სრული სამი თვეა მას შემდეგ, რაც დავიწყე სამსახური საფოსტო კორესპონდენციის დამტარებელ-ფოსტალიონად სოფლებში. ჩემ მოვალეობას ვასრულებ პირნათლად.

გთხოვთ მიპასუხოთ: 1) კავშირის წევრი უნდა ვიყო თუ არა და 2) დაზღვეული უნდა ვიყო თუ არა? ჩვენ კი არ ვართ არც დაზღვეული და არც კავშირის წევრი.

დ. ხორაგაულის სოფლის საფოსტო აგენტი ფოსტალიონი ვლადიმერ ვეფხვაძე.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხლი 175-ისა, დამქირავებელი ვალდებულია თქვენ დაუყოვნებლივ დააზღვიოს, პროფკავშირის წევრობა ნებაყოფლობითია. ყოველი შეგნებული მუშა-მოსამსახურე უნდა იყოს კავშირის წევრი. კავშირის წევრად ჩარიცხვის შესახებ უნდა მიმართოთ ადგილკომს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

წინადადება ეძლევათ ამხ. ამხ. შალვა ცერაძის და ერასტი ჩოლოყავას ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ცკას სააღრიცხვო განყოფილებაში.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის აღმრიცხველ-გამანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს: ჯანჯღავას, თოლორდავას, ლეშხის, ლობჯანიძეს და ტალახაძეს ორი დღის ვადაში გამოცხადდენ ამხ. ეგოროვთან.

ქალაქის რაიკომი.

საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 15 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება [illegible] ქართველოს **ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება ინგლისის მუშა დელეგაციასთან თანდასწრებით.** შესვლა ბილეთებით.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ პარასკევს 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება შემდეგ **უჯრედთა გაერთიანებული კრება**

სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქარ. მუშფაკის, განათლების სახალხო კომისარიატის, ქალაქის აღმასკომის, შინაგან საქმეთა კომისარიატის, საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკური სამმართველოს, სოფლის კავშირის, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, საოლქო ფოსტის კანტორისა და მილიციის კოლექტივის.

დღის წესრიგი:

მოხსენება პარტიის სამეურნეო პოლიტიკისა და საკავშირო ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ.

ქალაქის რაიკომი.

თავზარდაცემულნი და გულდათუთქულნი მშობლები: პროკოფი მათეს ძე და ელისაბედ ნიკოლოზის ასული, დები: ზინა, ვარია, მერი, ძმები: კოწია, ვოლოდია და სიძეები: ნიკოლოზ გიორგის ძე ჩაჩანიძე და გრიგოლ იპოლიტეს ძე მერკვილაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

დავით (დათიკო) პროკოფის ძე
კალატოზი

დაკრძალვა მოხდება შაბათს 16 ოქტომბერს 3 საათზე ქ. ზესტაფონში.
195

თავზარდაცემული და გულდამწვარი მეუღლე ვერა სიმონის ასული, მამა სიმონ ბეჟანის ძე და შვილი გივი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას 17 ოქტომბერს დილის 12 საათზე გადახდილი იქნება გარდაცვალებულის

გიორგი სიმონის ძე სვანიძის

ექვსი თვის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე.
196

ღრმად დამწუხრებული მეუღლე, შუშანა, შვილები ლენა და სერიოჟა, დები: ანნა, ალათი, ვასასი, მარიამი და პისტი, ძმები: თედო და შალვა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულად უდროოდ დაღუპულ, პირველის უძვირფასესის ქმრის, მეორის საყვარელ მამის, მესამის და მეოთხის ძვირფასის ძმის ინჟენერ

კირილე იოსების ძის გოჭორიშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი საფიჩხიის სასაფლაოზედ კვირას 17 ოქტომბერს დილის 11 საათზე.
ნ. 67

სახელმწიფო ოპერა

16 ოქტომბერს **სეზონის გახსნა** აბესალომ და ეთერი
17 ოქტომბერს ბოგოლეპოვას, დამსახურებულ მსახიობ ქალის სკიბიცკაიას, ვიტინგის და შარაშიძის პირველი გამოსვლისათვის „ა ი დ ა"
19 ოქტომბერს „ევგენი ონეგინი"
ნ. 66

აპოლო
არფასტო
სოლეი

მესამე კვირა გრძელდება ჩვენება სურათის
„ხანუმა"-ს (ქეთო და კოტე)
რეჟის.—ა. რ. წუწუნავა. ოპერ.—ს. პ. ზაბოზლაევი.
სიმებიანი ორკესტრი და საზანდარი.
პრემიერა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
„ცნობილი უცხოელი"
2 სერიათ 12 ნაწ. მთავარ როლში—ბარ[illegible] პოლ ორივე სერია ერთად. სიმებიანი ორკესტრი რეიზნერის ხელმძღ.
ანონსი: ამ დღეებში „აპოლოში"—„ა ბ რ ე კ - ზ ა უ რ ი". „არფასტოში" და „სოლეიში" „პროცესი 3 მილიონის შესახებ". 0—13 ნ. 1833.

პირველ სახელმწიფო საბუღალტრო კურსებზე
გრძელდება ჩაწერა მესამე ჯგუფში. სწავლა დაიწყება 18 ოქტომბერს. კეცხოველის (ყოფ. ლორის-მელიქოვის) ქ. № 12
3—1
კურსების გამგე მ. თაქთაქიშვილი

იყიდება
წიგნის მაღაზიებში
ბალანსთცოდნეობის საფუძვლები
პროფ. ლე-კუტრე ფასი 1 მ. 50 კ.
შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ანგარიშწარმოებაში ფ. 60 კ.
წიგნები ნათარგმნია რუსულიდან ა. ინწკირველის რედ.
ბუხჰალტერიის ზოგადი კურსი
ა. ინწკირველის ფ. 2 მან.
შენიშვნები ანგარიშწარმოების შესახებ მისივე ფ. 50 კაპ.
1—1 49

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ ბედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 54825 —1

ქუთაისში
ექიმი ჩეჩელაშვილი
იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ჭავჭავაძის ქუჩა № 9
მიღება დილის 8—12 საათ.
საღამოს 6—8 საათ. 13—1

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში
ორშაბათს 18 ოქტომბერს
არაჩვეულებრივი
საღამო
სიმღერა. სიცილი.
ნ. 65. დაწვრილებით აფიშებში

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

„წარმოკავშირის" სალიკვიდაციო კომისია ამით აცხადებს, რომ კვირას, ოქტომბრის 24-ს, შუადღის 12 საათზე ცენტრალურ საწყობში (მალაკნის ქუჩა № 48)
საჯარო ვაჭრობით
გაიყიდება წარმოკავშირის კუთვნილი სხვადასხვა საქონელი: სასოფლო სამეურნეო იარაღი, რკინეულობა, შეკერილი ტანისამოსი და სხვა.
საქონლის წინასწარი დათვალიერება შეიძლება საწყობში ყოველ დღე, ნაშუადღევის 12-დან—3 საათ. ნ. 64

საქ. სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის
„ბრუზგოსტორგის"
მაღაზიებში № 5 სადგურის ქ. № 2 ტელ. 22—81
№ 6 თივის მოედანი № 80 ბახჩიევის ყოფ. ქარვასლა ტელ. № 15—61.
იყიდება ამერიკული ტიუკები
შეძენა შეუძლია ყველას
1—1 ნ. 41

ყველა სამეურნეო, კომუნალურ, კოოპერატიულ
დაწესებულებების და იმ პირთა
საყურადღებოთ
რომელთაც აქვთ კავშირი აღმშენებლობასთან
ცხადდება
რომ ა. წ. 1-ლ ოქტომბრიდან ყოფილი სამთოქიმიის აგურ-კრამიტის ქარხანა სადგურ ქსანში გადმოვიდა დუშეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში. ყოველგვარი შეკვეთებით და ცნობებისთვის მიმართეთ შემდეგი მისამართით: სადგ. ქსანი, აგურ-კრამიტის ქარხანა.
დუშეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი.
ქვ. 193

წალენჯიხის-ჩხოროწყუს უბანთა სასამ. აღმასრულებელი თ. ეფსია.
ამით აცხადებს რომ 28 ა[illegible] ოქტომბერს 10 საათზე დილისა დანიშნულია ს. ფახულანში **საჯარო ვაჭრობა** ფახულანის კოოპერ. „აღორძინების" მოძრავ ქონებისა, დასაკმაყოფილებლად საფეიქრო სინდიკატის ქუთაისის განყ. ვალისა. ქონება შეფასებულია 725 მ. 35 კ. რომელ თანხიდანაც ვაჭრობა დაიწყება. ნ. 62

ქ. თბილისის მე-4 რაიონ. სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი
ამით აცხადებს, რომ 21 ოქტომბერს, დღის 11 საათზე ის პირველ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის „ზაკმიასოტორგ"-ის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად მისაკ ასრას ძე მელკუმოვის შემდეგ ქონებას, რომელიც „ზაკმიასოტორგს" დაქირავებული აქვს 15,000 მანეთში: 1) ორსართულიანი ქვის სახლს სარდაფით და ქვედა სართულით, სახლი შეიცავს 28 ოთახს, აქვს 4 სამზარეულო, 4 ვანა, მისაღები ოთახი—2, საკუთარი შესავალი ქუჩიდან და 3 რკინის აივანი ქუჩისაკენ; 2) ორსართულიანი ქვის ფლიგელს, რომელშიაც არის 7 ოთახი. 2 სამზარეულო და ქვის სარაია, ყველა ეს შენობები შეფასებულია გასასყიდათ 6000 მანეთად და მოთავსებულია კალინინის (ყოფილი ნიკოლოევის) ქუჩაზე № 58, სადაც მოხდება მათი გაყიდვა, რომლის დროს დაცული იქნება სამოქალაქო პროცეს. კოდექსის 301, 311, 312, 313, 314 და 316 მუხლებში გათვალისწინებული წესები. ქვ. 194

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1.

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59, ნ. ღ

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—2

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. 348. 25—1

ექიმი
ლ. ა. სარალიძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. საბჭოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87

ექიმი
ე მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ა.ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 მიღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 12

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება. ყოველგვარ მედიკურ გამოკვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღე. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ექიმი
ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2. საღამოზე 4—6 საათამდე. 3896 25—2

ექ. ქ. ტყეშელაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1 1—25

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ფორმა № 4 საქო პაპავაძის სახელზე. ჩ. გ 198

დავკარგე უმუშევრობის წიგნაკი № 138 და საწევრო წიგნაკი დომენტი მიხეილის ძე ხუჭუას სახელზე, ჩ. გ. 197

დავკარგე პირადი სამხედრო წიგნაკი № 62 მოცემული დიდი-ჭყონის რაისამხედრო მაგიდიდან კლიმენტი ალექსის ძე გადილიას სახელზე, ჩ. გ. 197

დავკარგე პარტიული საკანდიდატო მოწმობა № 8941 მოცემული გორმაზრკომის ორგანიზაციიდან სიმონ ალექსის ძე ბიგანაშვილის სახელზე. ჩ. გ. 197

დავკარგე განათლების მუშ. კავშირის წიგნაკი № 13748, მატრონა სოლომონის ასული ბახტაძის სახელზე. ნ 67

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68